ეკა ავალიანი

ეტრუსკოლოგიის ნარკვევები

თბილისი
2005

რედაქტორი რისმაგ გორდეზიანი

რეცენზენტები: $\boxed{\text{გ. გიორგაძე}}$
გ. ქავთარია

© პროგრამა „ლოგოსი“
© ე. ავალიანი

ISBN 99940-31-02-3

გარეკანზე: ასალგაზრდა „ბიჭუნა-მ~~ეჯინთბეჯი“. ბრინჯაო. ბ.წ.ა.~~

შინაარსი

შინაარსი 3

თავი I. ეტრუსკოლოგიის შესავალი, დისციპლინა და ამოცანები 4

თავი II. ეტრუსკოლოგიის ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა, ანტიკური წყაროები ეტრუსკებზე 14

თავი III. შუა საუკუნეები, „მივიწყებული ეტრუსკების“ გახსენება .. 32

თავი IV. პირველი მეცნიერული ნაბიჯები 38

XVIII საუკუნე, „არქეოლოგიის საუკუნე“ 39

თავი V. XIX საუკუნე – ეტრუსკოლოგიის როგორც მეცნიერული დარგის ფორმირება 43

თავი VI. ეტრუსკოლოგია და XX საუკუნე 49

თავი VII. მედიტერანისტიკის თანამედროვე მეთოდები და პროგრესი ეტრუსკოლოგიაში 57

თავი VIII. სოციალური ურთიერთობები ეტრუსკულ სამყაროში 80

თავი IX. ეტრუსკული რელიგია 93

თავი X. ეტრუსკული ხელოვნება. 102

თავი X. "მარადიული ეტრუსკები"- თანამედროვეთა თვალით დანახული ეტრუსკული სამყარო 106

წყაროები, გამოყენებული ლიტერატურის სია 117

ილუსტრაციები 123

წინათქმა

ეტრუსკული კულტურა იტალიის კუთვნილებაა, მაგრამ ეს ფენომენი თავისი არაერთგვაროვანი კულტურული პლასტების გამო, შეიძლება ორიენტალური და დასავლური ცივილიზაციების ეროგვარ სინთეზად მოვიაზროთ. მედიტერანულ აუზში კულტურული სინთეზების შესახებ დღეს ბევრი საყურადღებო სამეცნიერო გამოკვლევები გვაქვს. ამ მიმართულებით არაერთი საინტერესო ნაშრომია გამოქვეყნებული, სადაც კლასიკური და ორიენტალური კულტურული ურთიერთკავშირებია შესწავლილი. ეტრუსკული კულტურაც სწორედ ამ ჭრილში უნდა იქნას განხილული, რომელიც, ერთის მხრივ, კლასიკური კულტურების გვერდით გაიფურჩქნა, ხოლო, მეორეს მხრივ, ორიენტალურ კულტურებთან იჩენდა განსაკუთრებულ მიმართებას. საყურადღებოა, კიდევ ერთი პრობლემა, ეტრუსკული ენის სხვა ენებთან შესაძლებელი ნათესაური კავშირებისა და მიმართებების საკითხი. დღეს თითქმის ყველა მეცნიერი იმ აზრისაა, რომ ეტრუსკული არც ინდოევროპული და არც სემიტური ჯგუფის ენაა.

თითქმის ყველა ახალგაზრდა მკვლევარი, ვინც ძველი მსოფლიოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებს სწავლობს, მოხიბლულია კლასიკური ბერძნული და რომაული კულტურებით. თავის დროზე სწორედ კლასიკური კულტურის სიყვარულმა, ამ დიდმა გატაცებამ მიგვიყვანა ეტრუსკულ საიდუმლოებებით აღვსილ სამყარომდე. ჩვენც ვერ დავაღწიეთ თავი იმ ცდუნებას, რასაც ეტრუსკული კულტურის კვლევა ჰქვია. ეს ინტერესი კიდევ უფრო გამძაფრდა, მას შემდეგ, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასპირანტურაში სწავლის დროს ვესწრებოდით ჩვენი მასწავლებლის რისმაგ გორდეზიანის სპეცკურს – "ეტრუსკულ კულტურასა და ენაში". სწორედ მაშინ გაეცანით ახალ თეორიას ეტრუსკული და ქართველური ენების მიმართების შესახებ. ამ თეორიას კვლევის წინაისტორია აქვს და უკავშირდება ვ.თომსენის სახელს. მან წამოაყენა მოსაზრება ეტრუსკულის კავკასიურ და ბასკურ ენებთან მიმართების თაობაზე. მოგვიანებით, ამ თეორიას თავისი მომხრეებიც გამოუჩნდა, ცნობილი მეცნიერები ისინი ვინც იკვლევენ ეტრუსკულ-ქართველურ ენობრივ პარალელებს.

1991 წელს ჩვენს მიერ მოამზადებული საკანდიდატო დისერტაციის სათაური იყო "ეტრუსკოლოგიის ძირითადი ასპექტები

თანამედროვე მედიტერანისტიკის მიღწევების ფონზე", რომელიც დღეს გადამუშავებული ვერსიით გვსურს წარმოვადგინოდ დარგით დაინტერესებული მკითხველისათვის. აღნიშნულ დისერტაციაზე მუშაობის დროს ჩვენ გვიწევდა უშუალო ხელმძღვანელობას პროფესორი რისმაგ გორდეზიანი. სწორედ ამ წიგნზე მუშაობის დროს მისგან არაერთი საყურადღებო, სასარგებლო რჩევა და იდეა მივიღეთ, რასაც მადლიერებით გვინდა ვუპასუხოთ. განსაკუთრებული სითბოთი და მადლიერების გრძნობით გვსურს გავიხსენოთ ჩვენი უფროსი კოლეგა და მასწავლებელი, ორიენტალური სამყაროს ბრწყინვალე ექსპერტი, აწგარდაცვლილი ბატონი გრიგოლ გიორგაძე. სწორედ მისგან ვიღებდით მეტად სასარგებლო შენიშვნებსა და რჩევებს ორიენტალური პრობლემატიკის კვლევის პროცესში. ბატონი გრიგოლი იყო ჩვენი საკანდიდატო დისერტაციის ერთ-ერთი ოპონენტი. ჩვენ დიდი მადლიერება გვსურს, გამოვსაგოთ პროფესორ გურამ ლორთქიფანიძის მიმართ, ვისი მეცადინეობითაც გავიარეთ კლასიკური არქეოლოგიის კურსი. სწორედ მან გამოიჩინა განსაკუთრებული ყურადღება ჩვენი კვლევის მიმართ და დაგვესმარა მუშაობის პროცესში არაერთი კეთილი რჩევითა და საინტერესო მასალებით. საუკეთესო სურვილებითა და კეთილი დამოკიდებულებით გვანებივრებდა ჩვენი უფროსი კოლეგა, სტუდენტობის დროს ჩვენი მსოფლიოს ისტორიის პედაგოგი, პროფესორი გრანი ქავთარია. გვსურს, განსაკუთრებული მადლიერება გამოვსაგოთ ამ მეცნიერის მიმართაც, ვისმა შრომებმაც შეგვაყვარა კიდევ ერთი იდუმალებით მოცული ხალხი–კართაგენელები, ეტრუსკების პოლიტიკური მოკავშირეები და კულტურული ტრადიციების გამზიარებლები.

ამ წიგნზე მუშაობის დროს გავითვალისწინეთ ახალი მიღწევები ეტრუსკოლოგიაში. ასალი არტეფაქტები და პალეოგრაფიული მასალა დღეს მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, ჩვენც შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად თავი მოგვეყარა და გაგვეშუქებინა სხვადასხვა პრობლემები "ეტრუსკოლოგიის ნარკვევებში".

დაბოლოს, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გამომცემლობა "ლოგოსის" თანამშრომლებს ალეკო ჯიქურიძეს და გოჩა კევლიშვილს, ვინც ერთგულად მუშაობდნენ ჩვენთან ერთად იმისათვის, რომ "ეტრუსკოლოგიის ნარკვევები" მოგვემზადებინა დარგით დაინტერესებული მკითხველისათვის.

წიგნში მედიტერანისტიკის თანამედროვე მიღწევების ფონზე, განხილულია ეტრუსკული კულტურისა და ისტორიის სხვადასხვა საკითხები. წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსების, აღმოსავლეთმცოდნეების, ფილოლოგებისათვის და ზოგადად ძველი მსოფლიოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

თავი I
ეტრუსკოლოგიის შესავალი, დისციპლინა და ამოცანები

ძველ ცივილიზაციათა შორის ეტრუსკულ კულტურას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს არის კულტურა, რომლის შესახებაც ერთი შეხედვით, საკმაოდ კარგად ვართ ინფორმირებული, (რადგანაც მოგვეპოვება: მატერიალური ძეგლები, ანტიკური ეპოქის ბერძნული და რომაული წერილობითი წყაროები და თავად ეტრუსკული წარწერები) ამასთანავე, ჩვენი ცოდნა ეტრუსკებზე ერთობ შეზღუდულია. პირველ რიგში ეს გამოწვეულია ეტრუსკული ენის „საიდუმლოების" ამოუხსნელობით და ეტრუსკთა შესახებ შემორჩენილი სხვა წყაროების არასაკმარისი სისრულით.

სწორედ ამიტომ, თანამედროვე ეტრუსკოლოგიას ამდენი საერთო აქვს ძველი საბერძნეთისა და რომის შემსწავლელ დისციპლინებთან და ამასთანავე, ესოდენ განსხვავდება მათგან. აქედან გამომდინარე, სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეტრუსკოლოგიას, როგორც მეცნიერების დარგს, თავისი დამოუკიდებელი ადგილი უკავია საერთოდ სიძველეთმცოდნეობაში და, შესაბამისად, განვითარების თავისი ისტორია აქვს.

ამ დისციპლინის მიზანს წარმოადგენს: მისი სხვადასხვა ასპექტების გამოკვლევა, ეტრუსკოლოგიის პრობლემატიკის წარმოდგენა და სისტემატიზაცია.

ეტრუსკოლოგია არის ისტორიული მეცნიერების დარგი, რომელიც იკვლევს ეტრუსკების წარმოშობას, განვითარებას, ისტორიას, ენას, მათ სულიერსა და მატერიალურ კულტურას. ეტრუსკოლოგიის დამოუკიდებელ საისტორიო მეცნიერებად ფორმირების პროცესი ჯერ კიდევ XIX ს. დაიწყო, მაშინ ეტრუსკოლოგია საკმაოდ შორს იყო ღრმა, თანამიმდევრული და კომპლექსური კვლევისაგან. ამ დარგის მეცნიერულ დონემდე ამაღლება მხოლოდ XX ს-ში მოხდა, როცა დასმულ პრობლემათა გადასაჭრელად ფართოდ იყენებენ მომიჯნავე დარგების მიღწევებს, ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებაში გამომუშავებულ ახალ მეთო-

დებს. დღეს ეტრუსკოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, განვითარება წარმოუდგენელია მონათესავე დარგებთან მჭიდრო კავშირის გარეშე; ამგვარად, ეტრუსკოლოგია ეგვიპტოლოგიისა და ასირიოლოგიის მსგავსად, ინტეგრალურ დისციპლინას წარმოადგენს და მასში ისტორია, ფილოლოგია, არქეოლოგია და სხვა მიმართულებები ჯერ კიდევ არ არის დამოუკიდებლად გამოყოფილი.

„დღეს გაძლიერებული სპეციალიზაციის ხანაში, ეტრუსკოლოგი კვლავ უნდა რჩებოდეს ე. წ. ფართო პროფილის სპეციალისტად, რადგანაც მის წინაში გამუდმებით წამოიჭრება ხოლმე ისტორიული, ენათმეცნიერული, თუ არქეოლოგიური პრობლემები, რომელთა ღრმა წვდომა და გააზრება აუცილებელია მისთვის როგორც მკვლევარისათვის; მას ცხადია, ექნება თავისი კვლევის კონკრეტული სფერო, მაგრამ კვლევის საგანი მთელი თავისი მრავალსახეობითა და სისრულით უნდა ჰქონდეს გასიგრძეგანებული" (114; 1). ასე განსაზღვრავს თანამედროვე ეტრუსკოლოგის მიზნებს ეტრუსკული ენისა და კულტურის ცნობილი მკვლევარი ა.ჯ. პფიფფიგი.

ეტრუსკოლოგიას, როგორც მეცნიერებას, არ შეუმუშავებია კვლევის საკუთარი, სპეციფიური მეთოდები. იგი ფართოდ მიმართავს კლასიკური არქეოლოგიის, კლასიკური ფილოლოგიის და ისტორიის მეთოდების გამოყენებას. ამ მეცნიერების დარგების დახმარებით ხდება ცალკეულ და კონკრეტულ საკითხებზე ამომწურავი პასუხის ძიება. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება, ეტრუსკოლოგს, ბერძნული და რომაული კულტურის მკვლევართან განსხვავებით, უხდება ისეთი მასალით ოპერირება, რომელიც კლასიკური დარგის მეთოდებისა და მიღწევების ხელაღებით გამოყენების საშუალებას არ იძლევა.

ეტრუსკოლოგმა გარკვეულ შემთხვევაში უარი უნდა თქვას მონათესავე დარგებში გამომუშავებული კვლევის პრინციპებზე და ეძიოს მეცნიერული ანალიზისა და შესწავლის მხოლოდ მისი სპეციფიკისათვის შესაბამისი გზები.

ეტრუსკოლოგი, როგორც კომპლექსური დისციპლინის წარმომადგენელი, თავის თავში უნდა აერთიანებდეს ისტორიკოს, არქეოლოგს, ენათმეცნიერსა და რელიგიის მკვლევარს. ცნობილ ეტრუსკოლოგს, ფ. შახერმეირს შემდეგნაირად აქვს გააზრებული ეტრუსკოლოგიის პრობლემათა გადაწყვეტის რთული პროცესი:

„ეტრუსკების საკითხში გარკვეული კონცეფციის შემუშავებას აძნელებს ის ფაქტი, რომ მისი დასაბუთებისათვის მოტანილი მასალა უძველესი ისტორიის სხვადასხვა დარგის კუთვნილებაა, ეს პრობლემები შეგვიძლია განვიხილოთ არქეოლოგიის, ისტორიის, ენათმეცნიერების, ან აღმოსავლეთმცოდნეობის პოზიციებიდან, მაგრამ უნდა განხილულ იქნეს ერთი შემაჯამებელი კუთხით, რომელიც გააერთიანებს ზემოთჩამოთვლილ მეცნიერებათა პოზიციებს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დაკმაყოფილდეს მეცნიერების ყველაზე მარტივი მოთხოვნა, სრულად და ამომწურავად იქნეს ათვისებული მთელი არსებული მასალა“ (116; 87).

ეტრუსკოლოგიის საკითხების კვლევა მსოფლიოს მრავალ ცენტრში სერიოზულ, აკადემიურ დონეზე მიმდინარეობს, როგორც უნივერსიტეტებში, ასევე სპეციალურად შექმნილ დამოუკიდებელ ცენტრებში – რომსა თუ ფლორენციაში, პარიზში, ბრიუსელში; გარკვეული წარმატებები აქვთ ქართველ და რუს მეცნიერებსაც. მნიშვნელოვანია ის მუშაობა, რაც ამ მხრივ წარმოებს მოსკოვის, ვორონეჟისა და თბილისის უნივერსიტეტებში (უფრო ვრცელი ინფორმაცია ეტრუსკოლოგიური კვლევის თანამედროვე ცენტრების შესახებ ქვემოთ იქნება წარმოდგენილი). სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ ეტრუსკოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩასახვისა და განვითარების, მისი ძირითადი პრობლემებისა და ეტრუსკოლოგიაში ახალი აღმოჩენების განხილვაზე, მოკლედ შევეხოთ სამყაროს, რომელშიც აღმოცენდა უნიკალური ეტრუსკული კულტურა და იარსება რვა საუკუნის განმავლობაში.

ქრონოლოგიურად ეტრუსკების გამოსვლა ისტორიულ ასპარეზზე კაცობრიობის ისტორიის იმ ეტაპს განეკუთვნება, რომელიც რკინის ფართო ათვისების ხანას ემთხვევა. ეს გახლავთ ძვ. წ. პირველი ათასწლეულის VIII საუკუნე.

თითქმის რვა საუკუნის განმავლობაში ეს ხალხი ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვითმყოფადი და, ამავე დროს, უნიკალური კულტურული ტრადიციების მატარებელი იყო მთელს ხმელთაშუა ზღვისპირეთში; ეს კულტურა ვითარდებოდა მაღალგანვითარებული ეგვიპტური, ბერძნული, ფინიკიური, რომაული, ურარტული, ანატოლიური ცივილიზაციების გვერდით და მაინც ახერხებდა თავისი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას თითქმის ყველა სფეროში.

მძლავრმა რომაულმა ექსპანსიამ, მოკავშირეების დაკარგვამ, სოციალურმა უთანხმოებებმა გამოიწვიეს ეტრუსკული ცივილიზაციის თანდათანობითი დასუსტება და კვდომა ახ. წ. I საუკუნეში. ეთნიკურად ეტრუსკი ხალხი შეერია მეზობელ იტალიკებს, თუმცა მათმა კულტურამ და ხელოვნებამ საუკუნეების გამოცდას გაუძლო და მომდევნო თაობათა აღიარება მოიპოვა.

ისტორიული პანორამა: ეტრურიის ტერიტორია მოიცავდა აპენინების ნახევარკუნძულის ჩრდილოეთსა და ცენტრალურ ნაწილებს. ამ ტერიტორიაზე მიედინებოდა იტალიის ორი დიდი მდინარე – არნო და ტიბრი. დასავლეთიდან ეტრურიას ეკვროდა ტირინეის ზღვა. ჩრდილო-აღმოსავლეთით აპენინების მთები და ადრიატიკის ზღვა. ჩრდილო-დასავლეთით ეტრუსკების ისტორიული მეზობლები იყვნენ ლიგურები, ჩრდილო-აღმოსავლეთით – უმბრები და სამნიტები. სამხრეთით – ლათინები, აგრეთვე სამხრეთ რაიონებში მათ ესაზღვრებოდა „დიდი საბერძნეთის“ ემპორიუმები.

რბილი ჰავა, ცხელი ზაფხული და ზომიერი ზამთარი, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის; ადგილობრივ პირობებში კარგ მოსავალს იძლეოდა ვაზი, ზეთისხილი, სორბალი, სელი, ხოლო მდინარეებით კარგად მორწყული მდელოები, შესანიშნავ საფუძველს წარმოადგენდა მეცხოველეობის განვითარებისათვის. ეტრუსკული მიწა-წყალის დიდი ღირსება ის იყო, რომ აქ უხვად მოიპოვებოდა მდიდარი წიაღისეული და მინერალური საბადოები. ლა-ტოლფას მთაში, კუნძულ ელბაზე (რომელიც ეტრურიას ეკუთვნოდა) არსებობდა მდიდარი რკინის საბადოები. აქვე იყო მდიდარი ვერცხლის საბადოები. ამ მეტალს ეტრუსკებთან დიდი გამოყენება ჰქონდა.

ბერძნები ამ ხალხს „ტირინიელებს“ უწოდებდნენ, რომაელები „ეტრუსკებს“ ანუ „ტუსკებს“, ისინი კი თავიანთ თავს „რასენას“ („რასნას“) ეძახდნენ. პირველი ათასწლეულის VIII ს. ჩვ.წ.-მდე სამხრეთ ეტრურიაში წარმოიშვა ქალაქი-სახელმწიფოები: ტარკვინია, ვეი, ვულჩი, ვოლსინი და სხვა. ამ ქალაქებმა ხელთ იგდეს წამყვანი პოზიციები და დაიწყეს თავიანთი გავლენის გავრცელება კამპანიაზე, კაპუაზე, პონტეკაგანოზე.

ბოლონიასა და ჩრდ. ეტრურიაში გაჩნდა ბევრი ახალი ურბანული ცენტრი, ამ ახალშენების პარალელურად, იწყება ბერძენი კოლონისტების მიერ სამხრეთ რაიონებში მიწების ათვისება; მათ

შემოაქვთ ბერძნული ხელოსნური ნაწარმი, იწყება გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობები, რამაც გარკვეულწილად დადებითი როლი შეასრულა ეტრურიის ეკონომიკის აღმავლობაზე. ძვ.წ. VI ს. ეტრუსკული ქალაქები თავიანთი საფორტიფიკაციო ნაგებობებით, კოშკებით და საზოგადო თავშეყრის ადგილებით, არხებითა და გზებით ბერძნულ კლასიკურ პოლისებს ემსგავსებოდნენ. იტალიაში ეტრუსკების გავლენა ძალზე ძლიერი იყო, ძვ.წ. VII ს. პირველ ნასევარში რომი ეტრუსკი მეფეების ხელში იყო. ეს პერიოდი იტალიის ისტორიაში ეტრუსკების აღზევების ხანად უნდა მიეიჩნიოთ.

ეტრუსკული ხელოვნება საკმაოდ კარგად ასახავს რეალობას, იმას თუ რა ფუფუნებაში უყვარდათ ცხოვრება ეტრუსკებს იმ პერიოდში, განსხვავებით, სპარტანული ცხოვრების წესის მქონე რომაელებისაგან; სწრაფი აღმავლობის პერიოდების გვერდით, ეტრუსკული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იყო მკვეთრი ჩავარდნების, სტაგნაციების პერიოდებიც.

პირველი დიდი „დანაკარგი" იყო რომიდან ეტრუსკი მეფეების გამოძევება და რომში რესპუბლიკური წყობილების გამარჯვება. ლაციუმზე კონტროლის დაკარგვას მოჰყვა უმბრებისა და საბინების გააქტიურება: ძვ.წ. 424 წელს მათ დაიპყრეს ქ. კუმე – კამპანიაში და აქედან გამოაძევეს ეტრუსკები, ხოლო ცოტა ადრე, ძვ.წ. 474 წ. ეტრუსკების და კართაგენის გემებმა კუმესთან საზღვაო ბრძოლაში ბერძნებისაგან მნიშვნელოვანი დარტყმა იგემეს.

ბერძნული სავაჭრო ემპორიუმები ღრმად შეიჭრნენ იტალიის ტერიტორიაზე და თაეისი მაღალხარისხიანი ხელოსნური ნაწარმით მნიშვნელოვანი კონკურენცია გაუწიეს ადგილობრივ ეტრუსკულ პროდუქციას. ეკონომიკური პოტენციალის დაქვეითებასთან ერთად, ეტრუსკულ ქალაქებში იწყება სოციალური უთანხმოებანიც. ამ დროს კი რომი – იტალიური მიწების გაერთიანებისათვის მებრძოლი ცენტრი – თავის მარწუხებში აქცევს ახალ მსხვერპლს, ქ. ვეის სახით. ძვ.წ. 396 წ. ეს უმდიდრესი და უძლიერესი ქალაქი, ხანგრძლივი ალყის შემდეგ, დაეცა. ეტრუსკები გრძნობდნენ კარსმომდგარი უბედურების მოახლოებას, ისინი ემზადებოდნენ ამისათვის. ცალკეულმა ეტრუსკულმა ქალაქებმა შეკრეს კავშირი, რის შემდეგადაც იქმნება „ეტრუსკული ქალაქების ლიგა". ძვ.წ. 397 წ. და 392 წ. გაჭირვე-

ბაში მყოფ ვეის დახმარება გაუწიეს ტარკვინიამ და ვოლსინმა, თუმცა ცერე, ძლიერი ეტრუსკული ქალაქი, ჯერ ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ახორციელებდა, ხოლო შემდეგ, 387 წ. გალების შემოსევის დროს, რომის მოკავშირე გახდა. ამ დაპირისპირებამ და უთანხმოებამ ეტრუსკელ ქალაქებს შორის, გამოიწვია ის საბედისწერო შედეგი, რასაც მოჰყვა ეტრურიის დამარცხება რომთან ბრძოლაში. ეტრურიის საბოლოო დაცემამდე, ძვ.წ. IV ს-ში, ეტრურიის ისტორიის ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი გაბრწყინების ხანა იყო. ამ დროს საფუძველი ჩაეყარა გრანდიოზულ საამშენებლო საქმიანობას, აიგო საზოგადოებრივი და რელიგიური ცენტრები, ქალაქების კედლები, სამლოცველოები, საზოგადო თავშეყრის ადგილები, კვლავ აყვავდა ადგილობრივი ხელოსნობა. ადრეულ ხანაში ესოდენ მოჭარბებული ბერძნული იმპორტი შესამჩნევად შემცირდა. აპენინების ქალაქ-სახელმწიფოებს შორის კვლავ გრძელდებოდა ბრძოლა პირველობისათვის. ამ ბრძოლაში ტარკვინია პირველობას არავის უთმობდა და ლიდერის როლში გამოდიოდა. ძვ.წ. 413 წ. ეტრუსკებმა დახმარების ხელი გაუწოდეს ათენელებს სირაკუზელებთან ბრძოლაში; ამ ექსპედიციას სათეევში ედგა ეტრუსკი მხედართმთავარი ტარკვინიიდან, ველთურ სპურინა. ვეის დაკარგვის შემდეგ, ტარკვინია ცდილობდა რომის გაბრდილი ამბიციების რამდენადმე შეკვეცას. თავის მხრივ, რომი უკან არ იხევდა და კვლავ ემზადებოდა ახალი მიწების დაპყრობისათვის. ძვ.წ. 358-351 წლებში ადგილი ჰქონდა არაერთ შეტაკებებს რომსა და ტარკვინიას შორის. ეს შეტაკებები ზავებით სრულდებოდა. ეტრუსკული ქალაქები კარგად აცნობიერებდნენ თუ რამდენად „საშიში მეზობელი" მოევლინათ მათ რომის სახით, ტიბრის მარჯვენა სანაპიროზე. ძვ.წ. 311 წ. რომსა და ტარკვინიას შორის დადებული ხელშეკრულება დაირღვა. ახალი კონფლიქტის მიზეზი გახდა ეტრუსკული ლიგის ქალაქების მიერ ქ. სუტრისზე ალყის შემორტყმა. ქ. სუტრი რომის საყრდენი პუნქტი იყო. ამდენად, რომმა თავისი ინტერესები შელახულად მიიჩნია, დაიწყო ახალი ომი (ძვ.წ. 311-308). სუტრის ალყა ჩაიშალა, დაიდო ხელახალი ხელშეკრულება რომსა და „ლიგას" შორის. მიუხედავად არსებული საზავო ხელშეკრულებებისა, რომი არ წყვეტდა აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებას ახალი მიწების დაპყრობისათვის. ძვ.წ. 295 წ. სენტინიუმთან მოხდა ახალი დიდი შეტაკება. ეტრუსკებმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს რომის წინააღმდეგ, ამ-

ჯერად მოკავშირე უმბრებთან, გალებთან და სამნიტებთან ერთად. ეს ომი თავისი მასშტაბებით გრანდიოზული იყო, სადაც ეტრუსკები მოკავშირეებითურთ კვლავ დამარცხდნენ. ამ ბრძოლამ განსაზღვრა ეტრურიის მომავალი და ბედი, ისინი მოკავშირეებთან ერთად „დააჩოქა" რომმა. რომი აქტიური საბრძოლო კამპანიების გვერდით, არ ერიდებოდა ვერაგული და მზაკვრული პოლიტიკის გატარებას. რომის ხელი ერია ქ. არეცოს მმართველ, არისტოკრატ ცილინებსა და ადგილობრივ პლებსს შორის პროვოცირებულ დაპირისპირებაში.

რომის ერთგვარი „დამსახურებაა" აგრეთვე ძვ.წ. 298 წ. ვოლტეროსა და ფალერის შორის ატეხილი კონფლიქტიც. ძვ.წ. 281 წ. ვადიმის ტბის მიდამოებში მოხდა ეტრუსკებისა და რომაელების კიდევ ერთი შეტაკება. ამჯერადაც რომის წარმატებით დასრულდა ეს კონფლიქტი. თანდათანობით დაიწყო ეტრუსკული დიდების მზის ჩასვენება; ძალიან მალე ამ საბედისწერო შეტაკების შემდეგ, ძვ.წ. 281 წ. დაეცა ვოლსინი და ვულჩი, ცოტა ადრე, ძვ.წ. 280 წელს ტარკვინია, ხოლო ძვ.წ. 273 წელს ცერე. სამხრეთ ეტრურიის ქალაქებმა რომს ხარკის გადახდა დაუწყეს, გარდა ამისა, ტერიტორიის დიდი ნაწილი დასთმეს რომის სასარგებლოდ.

რომი ახორციელებდა აქტიურ-შემტევ პოლიტიკას დაპყრობილი ხალხების მიმართ. ძვ.წ. III და II ს. იწყება აქტიური „რომანიზაციის" პროცესი, დაპყრობილ ქალაქებში ჩნდება რომაული გარნიზონები (Fregenae) ფრეეგინა (ძვ.წ. 245 წ.), (Alsuem) ალსიუმი (ძვ.წ. 247 წ.), (Castrum) კასტრუმი და (Novum) ნოვიუმი (264 წ.).

ძვ.წ. 181 წ. ტარკვინიის ტერიტორიაზე გაჩნდა გრავსიკას კოლონია, ხოლო ძვ.წ. 273 წ. ვულიჩის ტერიტორიაზე კოლონია-კოსა დაარსდა.

ძვ.წ. II ს-ში ეტრუსკულ ტერიტორიაზე შეიქმნა ლათინური კოლონიები – საატურნია, სტატონია-ნებე, ხოლო ვია კლოდია, ვია აურეტია და ვია კასსა, ახალი საკომუნიკაციო გზები იყო რომისათვის სამხრეთ ეტრუსკულ, ლათინიზირებულ რეგიონებთან დასაკავშირებლად.

თავი II
ეტრუსკოლოგიის ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა, ანტიკური წყაროები ეტრუსკებზე

უძველესი დროიდან დღემდე ეტრუსკების შესახებ ბევრი რამ დაწერილა, წერდნენ მათი მეზობლები, მათი თანამედროვენი და აგრეთვე, მათი კულტურის მემკვიდრენი. მოგვიანებით, შუა საუკუნეებში, როცა ამ ხალხის ისტორია დავიწყების წყედიადმა მოიცვა, ეტრუსკების ხელოვნებით დაინტერესდნენ იმ პერიოდის დიდი მხატვრები და არქიტექტორები. ეტრუსკული სიძველეებისა და ხელოვნების მიმართ ინტერესი გამძაფრდა ევროპულ საზოგადოებაში XIX საუკუნეში, როცა მეცნიერულ დონეზე იქნა დაყენებული ეტრუსკოლოგიის სხვადასხვა საკითხების შესწავლა-გამოკვლევა.

განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა ანტიკურ ეპოქაში ამ ხალხის წარსულის, ადათ-წესების, კულტურის მიმართ ეტრუსკების უშუალო მეზობლებმა, ამ კულტურის ტრადიციებს ნაზიარებმა რომმა და საბერძნეთმა.

რომაელებისა და ბერძნების დამოკიდებულება ეტრუსკებისადმი განსხვავებული იყო; ბერძნები არ იზიარებდნენ რომაულ სტერეოტიპს, მათ ახასიათებდათ „საკუთარი განსაკუთრებულობის შეგრძნება, რამაც გამოხატულება ჰპოვა ცნობილ დაპირისპირებაში: ელინი – ბარბაროსი, თუმცა ამავე დროს (ელინები) მესოპოტამიურ-ფინიკიური სილაღით შედიოდნენ ინტენსიურ კონტაქტებში მათ თვალსაწიერში მყოფ მრავალ ხალხთან, მათ აინტერესებდათ საკუთარი თავის შესახებ ინფორმაცია, თუმცა არანაკლებ მიისწრაფოდნენ სხვათა ამბების შეტყობისა, თუ აღწერისაკენ, ისინი ყოველთვის განადიდებდნენ წარსულში შექმნილ სიმაღლეებს" (35; 15). ეტრუსკული კულტურაც მათთვის მისაღები და საინტერესო „ფენომენი" იყო. სულ სხვა დამოკიდებულება ჰქონდა რომს ეტრუსკების მიმართ: როგორც მტერი და მოქიშპე, იგი ყოველნაირად ცდილობდა, რომაულ ისტო-

რიოგრაფიაში დაეკნინებინა ეტრუსკების როლი იტალიური კულტურის განვითარებაში. ეტრუსკული კულტურის ბევრმა ცნობილმა ძეგლმა რომის აღზევების ხანაში აშკარა „რომანიზაცია“ განიცადა. თვით „რესპუბლიკურმა რომმა“, – „დემოკრატიულმა სახელმწიფომ“, დუმილი არჩია თავისი ოდინდელი „მასწავლებლის“ დამსახურებებზე, ხოლო იქ, სადაც შეუძლებელი აღმოჩნდა ისტორიული მოვლენების მიჩქმალვა, უბრალოდ გააყალბა ისტორია.

ჩვენს ხელთ არსებული ანტიკური წყაროები შეიძლება დავაჯგუფოთ იმ ეტაპების მიხედვით, რომლებიც ანტიკური აზროვნების განვითარების სხვადასხვა საფეხურს წარმოგვიდგენენ: 1) კლასიკურამდელი ეპოქის ბერძნული წყაროები (უძველესი ხანიდან ძვ.წ. V ს. დასაწყისი) – მთლიანად ეფუძნება ლეგენდებსა და გადმოცემებს. ეს იყო მითოპოეტური აზროვნების ეტაპი, რა დროსაც არ იყო მკვეთრად გამიჯნული რეალური სამყარო გამონაგონისაგან, წარსული აწმყოსაგან, სულიერი უსულოსაგან 2) კლასიკური ხანის ბერძნულ წყაროებს (ძვ.წ. V-IV სს.) ახასიათებდა მოვლენებისა და ფაქტების მიმართ კრიტიკული, ანალიტიკური და არა მითოპოეტური დამოკიდებულება, მაგრამ ამ ეპოქის ავტორთა უმრავლესობისათვის წარსულისა და აწმყოს ცნება ტყდება ოპოზიციის ელინი-ბარბაროსის პრიზმაში. ყოველი უცხო ეთნიკური ჯგუფი განხილულია წყაროებში იმდენად, რამდენადაც ეს საკუთრივ ელინური სამყაროს წარმოჩენისათვის იყო აუცილებელი. ამდენად, ამ ხანის ცნობები ფრაგმენტულ და არასრულ ხასიათს ატარებენ 3) კლასიკურის შემდგომი პერიოდის, ბერძნულ-რომაული წყაროების (მოიცავს ძვ.წ. III და შემდგომ პერიოდს) თვალსაწიერი გაცილებით ფართოვდება. ამ ხანის ინფორმაცია გაცილებით მრავალფეროვანია, მასში წარმოდგენილია ეტრუსკული კულტურის სხვადასხვა ასპექტები, ამ ხალხთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი ფაქტები, ცნობები ეტრუსკებისა და მათი მონათესავე ტომების შესახებ.

პირველი პერიოდის უძველეს ძეგლებად ძვ.წ. VIII საუკუნის „ილიადა“ და „ოდისეა“ უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც ლეგენდარული მწერლის ჰომეროსის სახელს უკავშირდება. „ილიადაში“ აღწერილია ელენეს გატაცების მიზეზით ტროას მისადგომებთან აქაველებსა და ტროელებს შორის ატეხილი ომი.

პოემის მეორე სიმღერაში, „ხომალდთა კატალოგში“, სადაც ჩამოთვლილია ომში ერთმანეთთან დაპირისპირებული მხარეების

მეთაურები და ტომები, ტროელებისა და აქაველების მოკავშირეები, ავტორი ასახელებს პელასგებს (წყაროთა ერთი ნაწილის მიხედვით, ეტრუსკთა ნათესავებს). გარდა ამისა, „ილიადაში“ მოხსენიებულია „პელაზგური არგოსი“ (ჰომ. ილიადა II. II. 681), რომელიც ავტორთან თესალიის აღმნიშვნელია. ჰომეროსთან ტერმინი „პელაზგი“ სხვადასხვა კონტექსტში გვხვდება: მაგალითად, პელაზგური ზეესი (ჰომ. ილიადა II. XVI. 233-235), ან პელაზგური ლარისა (II. II. 840).

ჰომეროსი იცნობს პელაზგებს როგორც გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს. ეს ტომები მოსახლეობდნენ კ. კრეტაზე ეტეოკრეტელებთან, კიდონიელებთან, აქაელებთან და დორიელებთან ერთად (ჰომერ. ოდისეა XIX.177). ჰომეროსის მიხედვით, პელაზგები მცირე აზიაშიც იყვნენ დასახლებულნი, ისინი ტროას მოკავშირენი ყოფილან.

ჰომეროსი არსად არ მოიხსენიებს ეტრუსკებს ან ტირსენიელებს, არც აქაველების, არც ტროელების მოკავშირეთა ბანაკში. საგულისხმოა, რომ „ილიადას“ ავტორი არ იცნობს იმ ტრადიციას, რომლის მიხედვით ეტრუსკები თურმე ძველი ლიდიის მოსახლეობა ყოფილა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰომეროსი იცნობს ძველი ლიდიის სახელმწიფო ერთეულს, მასთან ლიდია ტერმინით – „მეონია“ მოიხსენიება (მოგვიანებით, ჰეროდოტესთან ლიდიელების სინონიმად ზოგჯერ „მეონიელები“ გამოიყენება) (1. 7). მეონიასა და ლიდიას აიგივებს აგრეთვე ბერძენი გეოგრაფი სტრაბონიც (XIII. 1,8; XIII. 64,5).

ჰომეროსის უმცროს თანამედროვესთან, ჰესიოდესთან პოემაში „თეოგონია“ (ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების მიჯნა) ჩვენთვის საყურადღებო ცნობაა დაცული: „ჰიპერიონიდი ჰელიოსის ასული კირკე, სიყვარულით დაუკავშირდა მედგარ ოდისევსს და ოქრო აფროდიტეს შემწეობით, შვა არგოსი, უძრახველი და ძლიერი ლატინოსი და ტელეგონე, ესენი ფრიად შორს, წმინდა კუნძულთა სიღრმეში მბრძანებლობდნენ სახელმოხვეჭილ ტირენებზე“ (Hesiod. 1011-1016). აღსანიშნავია, რომ კლასიკურამდელ ეპოქის წყაროებში გამოიკვეთა აზრი იმის შესახებ, რომ კოლხი კირკეს შთამომავლები გარკვეულ კავშირში იყვნენ ტირენებთან, უფრო მეტიც, მათზე ბატონობდნენ შორეულ კუნძულებზე.

კლასიკურამდელი ეპოქის ავტორი ჰეკატე მილეთელი (ძვ.წ. 546-480 წწ.) საინტერესო ცნობას გვაწვდის ჰელაზგების განსხლების შესახებ; იგი მათ ელადის უძველეს მოსახლეობად თვლის, რომლებიც თესალიაში ცხოვრობდნენ. მათი ქალაქი იყო კრანონი (FHGI Hec. frg. 112). ამავე დროს, ჰეკატეს ცნობით, ისინი მოსახლეობდნენ აგიკაშიც, საიდანაც ეს ხალხი ათენელებმა განდევნეს (Hec. frg. 362). ჰეკატეს ამ ცნობას გარკვეულწილად იმეორებს ამ პერიოდის კიდევ ერთი ლოგოგრაფოსი, ძვ.წ. V ს. ავტორი, ჰელანიკე ლესბოსელი. ოღონდ იგი აზუსტებს აზრს ტირენიელებისა და პელაზგების ნათესაობის შესახებ; იგი თვლის, რომ ტირენები თავდაპორველად იწოდებოდნენ პელაზგებად, სახელი „ტირენები", მათ მოგვიანებით, იტალიაში დასახლების შემდეგ დაერქვათ. ლოგოგრაფოსი აღადგენს პელაზგ მმართველთა გენეოლოგიას და თვლის, რომ მათი მეფის, ნანას დროს პელაზგები, რომლებიც შეავიწროვეს ელინებმა, იონიის ყურეში (ადრიატიკის ზღვა) გემებით შეეიდნენ და მიაღწიეს ქ. სპინას. აქ დატოვეს თავიანთი გემები და შეეიდნენ ქვეყნის სიღრმეში, აიღეს ქ. კროტონი. შემდგომ ხანებში უკვე ამ ქალაქებიდან ახორციელებდნენ ექსპანსიას, დაიპყრეს ახალი მიწები და შექმნეს სახელმწიფო – ეტრურია (FHGI Hellen. frg. I).

ჰელანიკესთან პელაზგების ლეგენდარულ წინაპრად დასახელებულია მეფე პელასგოსი და მენიპე, პენეისის ქალიშვილი. მათი მემკვიდრე იყო მეფე ნანასი, ვის დროსაც მოხდა პელაზგების განსახლება ახალ მიწებზე. ჰელანიკეს ზემოთ აღნიშნული ცნობა, რომლის თანახმად, ტირენები ადრე პელაზგებად იწოდებოდნენ და შეიცვალეს ადგილსაცხოვრისი, ეგეიდიდან იტალიაში გადასახლდნენ, ძალზე საყურადღებოა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კლასიკურამდელი ეპოქის ავტორები ძირითადად მითოპოეტური აზროვნების დონეზე განიხილავდნენ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს – ეხებოდნენ რა, ხალხის წარმომავლობას, ცალკეული გმირების გენეოლოგიას, ქვეყნისა და ქალაქის დაარსების ისტორიას.

ხშირად ლოგოგრაფოსები ამა თუ იმ ხალხის, ეთნიკური ჯგუფის გაჩენას უკავშირებდნენ ლეგენდარული წინაპრის – გმირის სახელს, ხოლო რაც შეეხება ქრონოლოგიის საკითხებს, სამწუხაროდ, „დროის კატეგორია" იმ დროის კატეგორებთან ძალზე ბუნდოვნად არის გააზრებული სხვა [illegible] ლ [illegible]ენები ერთმანეთის-

გან არ არის მკაფიოდ გამიჯნული და ხშირად ისეთი თანამიმდევრობით არის განხილული, თითქოს დროში მათ შორის არ არსებობდა რაიმე შუალედები. ალბათ, იგივე შეიძლება ითქვას „სივრცის ფენომენზე". იმ ხანის ავტორებთან აღრეულია ერთმანეთში სხვადასხვა გეოგრაფიული სიერცე, არ ხდება მოვლენის დაკავშირება კონკრეტულ რეგიონთან და გეოგრაფიულ გარემოსთან. არც თუ იშვიათად არის აღრეული რეგიონისა და სახელმწიფოს სახელწოდებებიც.

კლასიკური ხანის ბერძნული წყაროები ქრონოლოგიურად ძვ.წ. V-IV საუკუნეების ჩარჩოებში ექცევა. იმ პერიოდის ავტორებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ძვ.წ. V საუკუნის ავტორს, ისტორიკოსს ჰეროდოტეს. „ბერძენ-სპარსელთა ომების" პარალელურად, იგი აგვიწერს სამყაროს ძველ ხალხებს, მათ შორის იგი მოიხსენიებს ლიდიელებს, რომლებიც მოსახლეობდნენ მცირე აზიაში. ჰეროდოტე წერს: „ლიდიელები გადმოგვცემენ, რომ ატისის, მანას ძის დროს, მთელ ლიდიაში დიდი შიმშილობა ყოფილა, ერთხანს ხალხი მშვიდად ელოდა, აი ახლა მოელება ბოლო შიმშილობასო, რაკი შიმშილს დასასრული არ უჩანდა, გადაწყვიტეს როგორმე ეშველათ თავისათვის. სწორედ მაშინ მოიგონეს სხვადასხვა თამაშობები: რიკ-ტაფელა, კამათელი, ბურთაობა და სხვა გარდა შაშისა. ამ თამაშობებით ცდილობდნენ ისინი შიმშილის განდევნას. გაჭირვებამ უფრო იმატა. მეფე ადგა და ხალხი ორ ნაწილად გაპყო, მერე კი წინადადება მისცა მათ თვითონვე გადაეწყვიტათ – რომელი დატოვებდა სამშობლოს და რომელი დარჩებოდა. იმათ, რომელთა გადასახლება გადაწყდა, მეფემ სათავეში თავისი ვაჟი ტირსენი ჩაუყენა. გასახლებულებმა ქ. სმირნასთან ხომალდები ააგეს, რაც სჭირდებოდათ ყველაფერი გემებზე აზიდეს, აუშვეს აფრები და ახალი სამშობლოს საძიებლად გასწიეს; ბევრი ქვეყანა გაიარეს და ბოლოს მივიდნენ იქ, სადაც ომბრიკები სახლობდნენ. გააშენეს ქალაქები და დღემდე იქ ცხოვრობენ. თავიანთი სახელწოდება – ლიდიელები დაივიწყეს და მათი წინამძღოლის, მეფისწულის სახელის მიხედვით, ტირსენიელებად იწოდებოდნენ" (I. 94). თუ რამდენად არის სინამდვილეთან ახლოს ჰეროდოტეს მიერ აღწერილი ლიდიელი უფლისწულის იტალიაში გადასახლების ამბავი, ძნელი გასარკვევია, მაგრამ ანტიკურ ხანაში ეს ამბავი ბევრმა ირწმუნა და ამ ვერსიას მომხრეები მალე გამოუჩნდა. კლასიკური ხანის ავტორები ამ ისტორიის სხვადასხვა

ინტერპრეტაციებს გვთავაზობენ. ჰეროდოტეს მნიშვნელოვანი ცნობები აქვს პელაზგების შესახებაც; ჰეროდოტეს მიხედვით, პელაზგები ატიკიდან გამოაძევეს ათენელებმა, ისინი დასახლებულან კუნძულ ლემნოსზე (VI. 137). ჰეროდოტესთან პელაზგები და ტირინიელები მეზობელი ხალხებია: „რომელ ენაზე საუბრობენ პელაზგები ამის თქმა არ შეიძლება დანამდვილებით, ხოლო თუ შესაძლებელია მიხვედრა იმ პელაზგების მიხედვით, რომლებიც ეხლაც არიან და ცხოვრობენ ტირსენთა ზემოთ ქალაქ კრესტონში და რომლებიც ემეზობლებოდნენ ახლა დორიელებად წოდებულებს, ან თუ შეიძლება მიხვედრა იმ პელაზგების მიხედვით, რომლებიც პელეპონესოში ცხოვრობდნენ, პლაკიესა და სკილაკეში და, რომლებიც ათენელებთან იყვნენ მჭიდროდ დაკავშირებულნი, მაშინ პელაზგები ლაპარაკობდნენ ბარბაროსულ ენაზე, თუ მთელი პელაზგური ტომი ასეთი იყო, პელაზგური მოდგმის ატიკურმა ტომმა, ელინური რომ გახდა, თავისი ძველი ენაც დაივიწყა“(1, 57). ჰეროდოტეს მიხედვით, მრავალი წლის შემდეგ ათენელებმა, რომლებმაც მთელი პელეპონესოსი დაიპყრეს, არც კუნძულ ლემნოსზე გააჩერეს პელაზგები. მილტიადესმა, კიმონის ძემ, ხომალდებზე მისული ჯარით ლემნოსზე მცხოვრებ პელაზგებს უბრძანა ამ მიწების მიტოვება (VI, 140). ჰეროდოტეს აზრით, კუნძული იმბროსიც პელასგური დასახლება იყო (V, 26). საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ჰეროდოტე ტირენიელებისა და კართაგენელების ფოკაელებზე ერთობლივი გალაშქრების შესახებ: „ფოკაელებზე... ილაშქრეს ერთმანეთზე მოლაპარაკებულმა ტირსენიელებმა და კართაგენელებმა, თითოეულს ჰყავდა 60-60 ნავი, როდესაც ფოკაელები დამარცხდნენ, მათი ხალხი გამარჯვებულებმა ჩაქოლეს, ხოლო დაღუპილთა ნავები კართაგენელებმა და ტირსენიელებმა იგდეს ხელთ“ (1. 166, 167). იმ ხანის მეორე ბერძენ ავტორთან, თუკიდიდესთან პელაზგები ელადის უძველესი მოსახლეობაა, ისინი აქ ცხოვრობდნენ ელინებამდე და ამ მიწებს თავიანთი სახელი მისცეს (Thuc. 1, 3.2). ეტრუსკებისა და კართაგენელების საბრძოლო და პოლიტიკური კავშირების შესახებ ცნობები ჰეროდოტეს გარდა არისტოტელესაც აქვს დაფიქსირებული. იგი თავის „პოლიტიკაში“ მოგვითხრობს ამ ორი ხალხის პოლიტიკურ და სავაჭრო კავშირ-ურთიერთობებზე, აგრეთვე აღნიშნავს, რომ მათ შორის წარმოებდა მაღალი დონის მოლაპარაკებები (III. 9,36, 1280). ამ ხანის ავტორები ფრაგმენტულად,

თუმცა მაინც განიხილავდნენ ეტრუსკების სოციალური ყოფა-ცხოერების საკითხებს. მაგალითად, ათენაიოსი, მოგვიანო ხანის ავტორი, რომელიც ეყრდნობა თეოპომპე ქიოსელის XIII წიგნს, გაკვირვებული დასძენს ეტრუსკი ქალების შესახებ: – „მათ სულაც არ მიაჩნიათ საძრახისად საკუთარი სიშიშვლის გამომჭვეურება, გარდა ამისა ტირენიელი ქალები სადილობენ არა მხოლოდ ქმრებთან, არამედ პირველ შემხვედრებთანაც და იკმაყოფილებენ თავიანთი სქესის მოთხოვნილებებს (XV; 700). ამის გარდა, ტირენიელები განურჩევლად ზრდიან ოჯახში გაჩენილ ყველა ბავშვს, თუმცა ხშირად არც კი იციან, ვინ არის ბავშვის მამა. ათენაიოსი თეოპომპე ქიოსელის მონაცემებზე დაყრდნობით, გვაძლევს ერთ ცნობას, რომელიც დასაფლავების რიტუალებს ეხება. იგი მოგვითხრობს, რომ ტირენიელები საფლავის მორთულობასთან ერთად მიცვალებულებს ეროტიული სცენებით მოხატულ კორინთულ და ატიკურ ჭურჭელს ატანდნენ თან და ამაში ისინი ვერაფერ საძრახისს ვერ ხედავდნენ (XII, 517, 517).

კლასიკური პერიოდის ავტორებთან ყურადღება უკვე მახვილდება გეოგრაფიულ ასპექტებზე. ძვ.წ. IV ს. ავტორი, ფსევდო სკილაქსი „პერიპლუსში" აგვიწერს ადრიატიკის ჩრდილოეთი სანაპიროების ქალაქებს – სპინას, ადრიას, ამის პარალელურად – ამ ტერიტორიაზე განლაგებულ ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, ზღვის სანაპიროებზე მოსახლეობდნენ. ამ ცნობების თანახმად, „უმბრების მეზობლად დასახლებულები არიან ტირინიელები", რომლებიც სახლობდნენ სპინამდე, ხოლო სპინა, სკილაქსის მიხედვით, ბერძნული ქალაქია. სპინას ჩრდილოეთ ნაწილში კელტური დასახლებები ყოფილა (I. 16). ამ ეტაპის წყაროები, როგორც ვხედავთ, მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა პერიოდისაგან, როგორც თემატურად, ასევე მოელენისადმი მეცნიერული მიდგომის თვალსაზრისითაც. ლოგოგრაფოსებისგან განსხვავებით, კლასიკური ხანის ისტორიკოსები უკვე დაინტერესებულნი იყვნენ მოელენებს შორის კავშირების დადგენით, ისტორიული პერსპექტივის წარმოჩენით (მაგ. ჰეროდოტე ბერძენ-სპარსელთა ომების ფონზე, ბევრ საინტერესო ხალხს და ეთნიკურ ჯგუფს გვაცნობს), ისტორიულ მოვლენათა გარკვეულ გეოგრაფიულ კონტექსტში მოქცევით. ფრაგმენტულად, თუმცა მაინც, თავს იჩენს ეტრუსკთა ყოფის მომენტების ამსასველი ცნობებიც. ერთი სიტყვით, ამ ეტაპზე იკვეთება ფაქტებისა და მოელე-

ნების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება. ჰეროდოტე, მაგალითად, თავისი „ისტორიის“ შექმნისას ეფუძნება – „საკუთარი თვალით ნახულს“, „თვითმხილველთა ნაამბობს“ – თუმცა, როგორც თავად აღნიშნავს, ხშირად მიმართავს ლეგენდებსა და გადმოცემებსაც. ამ პერიოდში ბერძენი ისტორიკოსების თვალსაწიერი გასცდა უშუალოდ საბერძნეთის ფარგლებს და გაფართოვდა. მთელი ამხნის განმავლობაში მეზობელი ეთნოსები და მათი კულტურა ელინებისათვის საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც ამ ხალხთან უშუალო შეხება ჰქონდათ მათ. თავისთავად ეტრუსკების ყოფა-ცხოვრებიდან ბევრი რამ მიუღებელი იყო ესთეტი ბერძნებისათვის: ენა, მენტალიტეტი, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები. ცნობილია ის ფაქტი, რომ ბერძენისათვის ის ვინც არ მეტყველებდა ელინურ ენაზე, ბარბაროსი იყო – ეს დამოკიდებულება უცხოტომელთა მიმართ ხაზგასმულია კლასიკური პერიოდის ბერძნულ წყაროებში.

ყველაზე დიდი პერიოდი, რომელიც მოიცავს მდიდარ მასალას ტირენების ისტორიის, ყოფის, კულტურის შესახებ, ქრონოლოგიურად უკავშირდება ძვ.წ. III საუკუნეს და გრძელდება ახ.წ. II საუკუნემდე.

ამ ეტაპზე ბერძნული წყაროების პარალელურად, გვაქვს ლათინური ისტორიული დოკუმენტებიც, რომლებიც ხანგამოშვებით ავსებენ ბერძენთა ცნობებს, თუმცა, ამავე დროს, ხშირად საპირისპირო ინფორმაციასაც გვაწვდიან.

ძვ.წ. III ს. ავტორს ლიკოფრონს ეკუთვნის თხზულება „კასანდარა“, სადაც ავტორი ავითარებს საკუთარ ვერსიას ეტრუსკების ეთნოგენეზისის შესახებ: „ეტრუსკების მამამთავრები – ტარხონი და ტირსენი, ოქროსფერი მგლები, ჰერაკლეს სისხლის ნაშიერები არიან” (Lycophr. 1246). ისინი, ჰერაკლეს ვაჟის ტელეფოსის ძენი, გადმოსახლებულან იტალიაში, სადაც „მათ მიწები წაურთმევიათ ლიგურებისათვის, ხოლო პიზა კი, პელაზგებისათვის დაუტყუებიათ“ (Lycophr. 1359, 1250).

ამ პერიოდის ავტორებს კვლავ ცხოველი ინტერესი ამოძრავებთ, დაადგინონ ეტრუსკების წარმომავლობა და პირველსაცხოვრისი. ძვ.წ. III ს. ავტორი აპოლონიოს როდოსელი იმ რეგიონად, სადაც სახლობდა ეს ხალხი, მიიჩნევს კუნძულ ლემნოსს: თურმე იქ თავდაპირველად მოსახლეობდნენ მინიები, რომლებიც განდევნეს ტირენებმა (Apoll. Rhod. IV. 1760). დიოგენე

ლაერტიელიც, რომელც ძვ.წ. III ს. ავტორს არისტოქსენეს ეყრდნობა, თვლის, რომ ტირენები ძველად იმ კუნძულზე მოსახლეობდნენ, რომლებიც ათენელებმა დაიპყრეს. თვით ფილოსოფოსი პითაგორაც ტირენი ყოფილა, წარმოშობით ერთ-ერთი იმ კუნძულიდან, რომელიც ხელთ იგდეს ბერძნებმა (Diog. Laer. VIII. 1).

განსაკუთრებულია ის ცნობისმოყვარეობა და ინტერესი ეტრუსკებისადმი, რომელსაც ავლენდნენ რომაელი ისტორიკოსები. მათ თხზულებებში ბევრი საყურადღებო ცნობაა დაცული ეტრუსკების ცხოვრების, კულტურისა და ყოფის შესახებ.

დიოდორე სიცილიელი, ძვ.წ. I ს. ავტორი, ეყრდნობა რა ძვ.წ. II საუკუნის მწერალს, პოსიდონიოსს, გვაწვდის სხვადასხვა ცნობებს ეტრუსკების შესახებ: „ისინი გამოირჩევიან ვაჟკაცობით; დაიპყრეს დიდი ტერიტორია, დააარსეს ბევრი დიდი ქალაქი. ისინი აგრეთვე გამოირჩევიან თავიანთი სამხედრო ძალებით და ხანგრძლივად ბატონობდნენ ზღვებზე. მათ სახელს ატარებს იტალიის ზღვები – ტირენიის და ადრიატიკის. საბრძოლო საქმის სრულყოფის მიზნით, მათ გამოიგონეს საყვირი, რომელიც მათ ძალზე ეხმარებოდა ბრძოლების დროს. ტირენების უმაღლეს სამხედრო პირებს ჰქონდათ ტახტზე დაბრძანების უფლება, ეს ტახტი დამზადებული იყო სპილოს ძვლისაგან, მათ აგრეთვე ეძლეოდათ უფლება ეტარებინათ სამხედრო ტოგა, ბევრი წეს-ჩვეულება რომაელებმა გადაიღეს მათგან და დახვეწეს. ისინი გულმოდგინეთ ეუფლებოდნენ დამწერლობას, მეცნიერებებს ბუნებისა და ღმერთების შესახებ... ისინი სახლობდნენ ძალზე ნაყოფიერ მიწებზე, ეს მიწები ასაზრდოებდა მოსახლეობას არა მარტო საკვებით, არამედ უზრუნველყოფდა მათ კეთილდღეობასაც. ისინი ყიდულობდნენ ძვირფას ნაქარგ ზეწრებს, სხვადასხვა ვერცხლის ნივთებს და დიდი რაოდენობით მონებს. ნაწილი მონებისა გამოირჩეოდა სილამაზით. ისინი ჩაცმულნი იყვნენ გაცილებით ძვირფას ტანსაცმელში, ვიდრე ეს შეეფერებოდა მონების მდგომარეობას. ეტრუსკების სიძლიერე, რაც სხვებისათვის საშური იყო, თანდათან დაკნინდა, მათ დაკარგეს წინაპართა საომარი შემართება და დროს ორგიებსა და მამაკაცებისათვის შეუფერებელ დროსტარებაში ფლანგავდნენ (Diod. XIV, 113). დიოდორე გვაწვდის ცნობებს ალპებსა და აპენინებს შორის მოსახლე ტომებზე: „ეტრუსკები მოსახლეობდნენ აგრეთვე ტერიტორიაზე ალპებსა და აპენინებს შორის,

ერთნი ფიქრობდნენ რომ ისინი ეტრუსკელი 12 ქალაქიდან წამოსული მოსახლეობა იყო, მეორენი კი, თვლიდნენ, რომ ისინი პელასგები იყვნენ, რომლებიც ჯერ კიდევ ტროას ომამდე გამოექცნენ თესალიიდან წარღვნას, რომელიც დევკალიონის დროს დაიწყო (XIV, 113, 2). დიოდორე თვლიდა, რომ რომაელები ბევრ რამეში ბაძავდნენ ეტრუსკებს, მაგალითად, რომაელებს თავდაპირველად ჰქონდათ ოთხკუთხედი ფორმის ფარები. მათ ეტრუსკებისგან გადმოიღეს მრგვალი ფორმის ფარები და სწორად ამის გამო, ეტრუსკებმა ბრძოლებში განიცადეს მარცხი. (Diod. XXIII,3).

ძველ ავტორთა შორის ის, ვინც არ გაიზიარა ჰეროდოტეს ვერსია ეტრუსკების მცირეაზიული წარმოშობის შესახებ, იყო ძვ.წ. I ს. ისტორიკოსი, დიონისე პალიკარნასელი. მან თავისი ცხოვრების ბოლო წლები რომში გაატარა. დიონისე ხელაღებით მიჯნავდა პელასგებსა და ეტრუსკებს ერთმანეთისაგან და თვლიდა, რომ ისინი სხვადასხვა ხალხი იყო (Dion. Hal. I, 29). ეტრუსკების წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით იგი აცხადებდა: „მართალი მგონია უფრო იმათი აზრი, ვინც თვლის, რომ ისინი ადგილობრივი ხალხია და არა მოსული – არც ერთი სხვა ხალხის ენა არ ჰგავს მათ ენას, ეს ხალხი ძალზე ძველი წარმოშობისაა, არც მათი წესჩვეულებები ჰგავს სხვათა წესებს (I, 30). სწორედ დიონისე გვამცნობს, რომ ეტრუსკები თავიანთ თავს „რასენას“ უწოდებდნენ (Dion. Hal. I, 30, 3). ეს ისტორიკოსი გვთავაზობს ეთნონიმის -„ტუსკის“ განმარტებას და აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა „გუნდრუკს“ ნიშნავდა. ეს ტერმინი უკავშირდებოდა ეტრუსკების დივინაციის ხელოვნებას (I, 30, 3). დიონისე ჰალიკარნასელი რომის დაარსების საკუთარ ვერსიას გვთავაზობს და აქვე მიანიშნებს, ეტრუსკული კულტურის არსებით როლზე ამ ქალაქის ისტორიაში. დიონისეს მოჰყავს სხვადასხვა ავტორები, რომლებიც რომს „ტირენიულ პოლისს“ – ეტრუსკულ ქალაქს უწოდებდნენ (I, 29, 2). ისტორიკოსი ხატოვნად გადმოგვცემს ამბავს იმის შესახებ, თუ რომულუსის ძიძა – აკკე ლარენცია, როგორ გახდა ეტრუსკი ტარუტიუსის მეუღლე; ამ უკანასკნელმა კი, თავისი მამული, დიდი მიწები, დაუტოვა რომულუსს. როცა რომულუსი იბრძოდა ტიტუს ტაციუსის წინააღმდეგ, მისი მოკავშირე ყოფილა ეტრუსკული ჯარი, ცელიას მეთაურობით (II. 36. 37). საყურადღებოა, ცნობები ეტრუსკი მეფეების ინსიგნიების შესახებ: – „მას შემდეგ, რაც ტარკ-

ვინიუსი გახდა 12 ქალაქის მმართველი, მას მიართვეს ოქროს გვირგვინი, ტახტი სპილოს ძვლით შემკული, სკიპტრა, რომელზედაც არწივის თავი იყო გამოხატული, ოქროთი ნაქსოვი წითელი ტუნიკა და მოსაცმელი, რომელიც ჰგავდა ლიდიისა და სპარსეთის მეფეების მოსასხამებს". ავტორი აგრძელებს თხრობას და აგვიწერს იმ რიტუალებს, რომლებიც სრულდებოდა უზენაესი მმართველის – ეტრუსკების მეფის წინაშე: თორმეტი ეტრუსკული ქალაქიდან იგზავნებოდა 12 ნაჯახი. სახელმწიფო მოხელეს – ლიქტორს მეფის წინაშე მიჰქონდა წნული მათრახი და ნაჯახები, რაც მონარქის აღიარების სიმბოლო ყოფილა (III, 61).

ძველი ხანის ავტორები ყველანი ერთხმად აღიარებენ ეტრუსკების ღრმა განსწავლულობას ჰარუსპიციასა და დივინაციაში. „მარჩიელობის რთული მეცნიერების შესწავლისა და ღმერთების ნება-სურვილების ამოცნობისათვის ეტრუსკებს ჰქონდათ საგანგებო სკოლები" – წერს დიონისე ჰალიკარნასელი (III, 70). დიონისეს ეტრუსკების გარდა ცნობები აქვს პელაზგების შესახებ; ის მათ ეტრუსკებისაგან განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფად აღიქვამს. იგი აგვიწერს პელაზგების მოგზაურობას, რა დროსაც მათი ერთი ნაწილი მოხვდა იტალიაში, ისინი გადმოსხდნენ პადუსის ერთ-ერთ შენაკადთან, ამ რაიონს ეწოდებოდა სპინეტი და აქვე დააარსეს ქალაქი. ამ ხალხს მიუღწევია დიდი კეთილდღეობისათვის. ამ რაიონებიდან ისინი გაუძევებიათ ბარბაროსებს (I, 18, 10). ქალაქები – კორტონა, პიზა, საგურნია, ალსიუმი, დიონისეს მიხედვით, პელაზგური ქალაქებია (I. 20). დიონისეს „რომის ისტორია" – საყურადღებო წყაროა. ამ თხზულებაში ავტორი ხშირად იყენებს სხვა ავტორების შრომებს. მაგალითად, დიონისესთან შემონახულია ისტორიკოსს მურსილიოსის მონათხრობი, რომელიც ეხება ლესბოსის ისტორიას, სადაც მოსახლეობდნენ პელაზგები. ავტორის თანახმად, იქ დაწყებულა საშინელი ტრაგედიები, ჩნდებოდნენ მახინჯი ბავშვები, გახშირდა მგრების შემოსევები, დაიწყო შიმშილობაც (FHG IV. Myrs. frg. 2-3). მურსილოსთან ლესბოსის მოსახლეობას წარმოადგენდნენ ტირენები, „მათ მოგვიანებით ეწოდათ პელაზგები, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც (პელაზგებმა) დაიწყეს მოგზაურობა მიწებიდან მიწებზე, როგორც ჩიტებმა, ხოლო პელაზგები ბერძნულად „წეროს" ნიშნავდა (Myrs. frg. III).

ამ პერიოდის ცნობილი ავტორია რომაელი ტიტუს ლივიუსი. ამ ისტორიკოსს საყურადღებო მასალები აქვს ეტრუსკების ისტორიის, რელიგიის შესახებ:

„ეტრუსკები განფენილნი იყვნენ აპენინების მხარეში, ტირენიის ზღვამდე, პოს მიღამოებამდე, სადაც მათ გაიკაფეს ტერიტორია ვენეტების ქვეყნის გამოკლებით, ალპებამდე. ალპებში მოსახლე რეტებიც ეტრუსკული წარმომავლობისანი არიან, მაგრამ ეტრუსკების ეს მთამომავლები აქ გაველურებულან, მათ არაფერი შემორჩენიათ გარდა ენისა, რომელიც ნაწილობრივ შერყვნილი აქვთ" (Liv. IV, V, 33). მეორე ცნობის თანახმად: „ეტრუსკულმა სახელმწიფომ თავისი კოლონისტები გაგზავნა ჩრდილოეთში, სადაც მოხდა ადრიას დაარსება, აქვე დაარსებულა 12 ეტრუსკული ქალაქი" (IV.V 33 7-10). „ეტრუსკული იმპერია რომის იმპერიამდე მოიცავდა მნიშვნელოვან ტერიტორიებს, ზღვებსა თუ ხმელეთზე. ამ ზღვების სახელწოდებები მიგვანიშნებენ, რომ ისინი ბატონობდნენ ამ რაიონებზე" (IV. V. 34 7-9) – წერს ლივიუსი. ლივიუსი თვლიდა, რომ ეტრურიის მინდვრებზე და ველებზე იქაური მოსახლეობა დიდ მოსავალს იღებდა (ლივ. IX 36.11); ეს რაიონები მდიდარი იყო მარცვლეულით, საქონლით და სხვა სიმდიდრით (Liv. XXII 33). ლივიუსის მიხედვით, ეტრუსკული ქალაქები იყო ცერე, ვოლტერა, არეცო, პერუჯა, კლუზიუმი, რომლებიც რომს ამარაგებდნენ სხვადასხვა საქონელით (XI 34; IV, 12, 52; XXVII 4,5), უგზავნიდნენ იალქნებისათვის საჭირო მაღალი ხარისხის ქსოვილებს (Liv. XVIII 45).

ლივიუსი მოგვითხრობს, რომ: – „ტარკვინიუს ძველის დროს დაწყებულა არხის გაყვანა ტიბრზე, რათა აქაურ ველებზე ამოეშროთ ჭაობები; მისივე ბრძანებით მოხდა რომაული პლებსის გამოყვანა ამ რთულ სამუშაოებზე" (I, 38,2). იმ დროს თვით კორინთელი ლუკმოსი, დემარატოსის ვაჟი, თავის მეუღლე ტანაკუვილთან ერთად, რომელიც ეტრუსკი იყო, ჩადის რომში და მეფე ხდება (I, 34) – გადმოგვცემს ლივიუსი. ავტორის გადმოცემით, ეტრუსკ მეფეებს ქურუმის ტიტულიც ენიჭებოდათ (V.1).

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ისტორიკოსი ეტრუსკული რელიგიის შესახებ. იგი ეტრუსკებს ღვთისმსახურებაში ღრმად ჩახედულ ეთნოსად მიიჩნევს (V, 16) და მოგვითხრობს, რომ „ყოველი ახალი წელის დადგომას ეტრუსკები დიდი სიხარულით ხვდებოდნენ, ისინი აწყობდნენ სხვადასხვა რიტუალებს, ვოლსინში

ნორციას სახელობის ტაძარში არჭობდნენ ლურსმანს“ (II. 3,7), ხოლო რომში ორგიალური კულტის – „ბაკხანალიების გავრცელება, მსგავსად შავი ჭირისა“, ეტრურიიდან მომხდარა (XXIX 91).

ტიტუს ლივიუსთან არის დაცული ცნობები ეტრურიაში სამოქალაქო ომის დაწყების შესახებ. ავტორი დეტალურად გადმოგვცემს იმ ამბებს, თუ როგორ ხდება რომის ექსპანსია ეტრუსკულ ქალაქებში; თავდაპირველად რომი ამ შეტევას სხვისი ხელით, პლებსისა და ადგილობრივი ღატაკების დახმარებით ახორციელებდა. სწორედ, ამგვარი ხრიკებით რომმა გაიმარჯვა არეცოში, საიდანაც გაძევებულ იქნა უძველესი ცილინების საგვარეულო. იქ დიქტატორად ვალერიუს მაქსიმუსი იქნა დაყენებული (Liv. X, 3, 3).

ეტრუსკული რელიგიის შესახებ საინტერესო მასალას გვაწვდის ძვ.წ. I ს. ავტორი, ციცერონი თავის ტრაქტატებში. ნათელია, რომ ავტორი დიდ ინტერესს ავლენდა ამ სფეროს მიმართ. ციცერონი თვლიდა, რომ დივინიცია, ღმერთების სურვილის ამოცნობის ხელოვნება, ეტრუსკებთან მეცნიერების დონეზე იყო აყვანილი (Cic. Div. I. 41, 92). ეს ხელოვნება ეტრუსკებისათვის გენიუსის ვაქს, ტაგეს გაუცვნია (II, 23. 50). ეტრუსკების საკრალური დოქტრინები ჩამოყალიბებული იყო სპეციალურ ლიტერატურაში – „ავგურების პარუსპექსების წიგნებში“ (1,72), ხოლო ტაგესს ეს ტრადიციები ეტრუსკებისათვის სიმღერით უსწავლებია (II.50). მოგვიანებით, თურმე სენატის მითითებით, რომიდან სხვადასხვა ეტრუსკულ ქალაქებში გზავნიდნენ საუკეთესო ოჯახებიდან გამოსულ ვაქებს, რათა ისინი ეტრუსკულ რელიგიურ მეცნიერებას დაუფლებოდნენ. თავად ციცერონი კარგად იცნობდა ეტრუსკების რელიგიურ ლიტერატურას, ამ ცოდნას იგი იყენებდა თავის შრომებში „ჰარუსპექსების შესახებ“ (Cic. Har. 37). ძველი ხანის ავტორები ხშირად მოიხსენებენ ისეთ ტერმინებს, როგორიც არის – „ტირენეული სიმღერები“ და „ტაგესის ლექსები“ (Lucr. VI. 381, 54). ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ რომაელებთანაც დიდი პოპულარობით სარგებლობდა „ტაგესის სიმღერები“.

ძვ. წ. I საუკუნის ისტორიკოსი, გაიუს სალუსტიუს კრისპუსი საყურადღებო ისტორიულ მოვლენებს აღწერს: ეხება უშუალოდ კატილინას აჯანყებას, „იუგურთას ომის“ ამბებს, თუმცა პარალე-

ლურად, რომის უძველეს ისტორიასაც გადმოგვცემს: – „ქალაქი რომი, როგორც მე მესმის, თავდაპირველად დაასახლეს და დააარსეს ტროელებმა, რომლებიც ვამოიქცნენ თავიანთი წინამძღოლის ენეასის მეთაურობით, მათთან ერთად სხვა აბორიგენები და ბარბაროსებიც იყვნენ“ (6,(1)). ამ ისტორიკოსთან დაცულია ცნობები ეტრუსკების პოლიტიკური ორიენტაციის თაობაზე: „მარიუსის აჯანყების პერიოდში, სულასაგან შევიწროებული ეტრუსკები, მარიუსის მხარეზე იბრძვიან, ხოლო მოგვიანებით, მანილუსის აჯანყების დროს, ისინი კვლავ ხელისუფლებას აღუდგნენ წინ, დაკარგული მიწებისა და ქონების დაბრუნების მიზნით“ (28 (4)).

ძვ. I ს. ბოლოსა და ახ. წ. I ს. მოღვაწეობდა ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი. ის მხოლოდ გეოგრაფიული არეალის აღწერილობით არ კმაყოფილდებოდა და მოგვითხრობდა ძველი დასახლებების ისტორიასაც: „თავდაპირველად, როცა ეტრუსკების ერთი მმართველი ჰყავდათ, ისინი ძალიან ძლიერნი იყვნენ, შემდეგ მათი ერთიანობა დაიშალა ცალკეულ ქალაქებად. მათ, მეზობლებისაგან შევიწროებულებმა, დაიწყეს მეკობრეობა ზღვებზე. ისინი ხშირად აწყობდნენ შორეულ ექსპედიციებს (Str. V. 2.3). მისი ცნობის თანახმად: – „პელაზგები თავდაპირველად მოსახლეობდნენ თესალიაში და ეპირში, ისინი ამ რაიონებიდან გადავიდნენ იტალიაში და დააარსეს ქ. აგილა, რომელსაც მოგვიანებით ცერე ეწოდა“ (Str. V, 2-3; V, 2-4). ცერეს შესახებ სტრაბონი გადმოგვცემს: – „თანამედროვე ცერე (კერეა) ადრე იწოდებოდა აგილად და, როგორც ამბობენ, დაარსებული იყო პელაზგების მიერ, რომლებიც თესალიიდან იყვნენ, როცა ლიდიელებმა, რომლებმაც დაირქვეს ტირენების სახელი, ილაშქრეს აგილას წინააღმდეგ, ერთ-ერთმა მებრძოლმა, რომელიც მიუახლოვდა ქალაქის კედლებს, იკითხა ქალაქის სახელი, მაშინ ერთ-ერთმა თესალიელმა პასუხის ნაცვლად კითხვაზე, სალამი – „ხერე“ უთხრა. ტირენებმა ეს კეთილის მაუწყებლად მიიღეს და ქალაქს სახელი ამგვარად შეუცვალეს“ (Str.V. 2-3).

სტრაბონის მიხედვით, პელაზგური დასახლებები იყო ლემნოსზე, იმბროსზე, ხოლო ჰერკულანუმსა და პომპეიში, პელასგები ტირენებთან ერთად მოსახლეობდნენ (V.2,4, VI,4-8). ქ. კოზა თავდაპირველად პელაზგური ყოფილა, ეტრუსკების ბატონობის ხანაში მას ეს სახელწოდება შემორჩა, იგი მდებარეობდა ზღვის

ქანაპირიზე, პოპულონიიდან ჩრდილოეთით (Strabo. V. 2-8). ქ. ტირკვინიის დამაარსებლად სტრაბონი ტარხონს მიიჩნევდა, მის სახელს უკავშირებდნენ ეტრუსკული 12 ქალაქის კონფედარაციის შექმნასაც (Strabo. V. 2-2). ქ. პიზას გარშემო ხშირი ტყე ყოფილა, იქ მოპოვებული ხე-ტყის მასალა წარმატებით გამოიყენებოდა გემთმშენებლობის საქმეში (Strabo. V. 2,5).

პლუტარქე, რომლის კალამსაც ეკუთვნის „პარალელური ბიოგრაფიები", ახალი წელთაღრიცხვის I ს. ავტორია. მისი თხზულება მიზნად ისახავს გმირებისა და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფიების პარალელურ აღწერას და ეხება როგორც ბერძენ, ასევე რომელ მოღვაწეებს. საყურადღებო ცნობები მოიძიება ამ თხზულებაში ეტრუსკების შესახებ.

რომულუსის ბიოგრაფიაში ვხვდებით საინტერესო ფაქტებს ქალაქი რომის დაარსებისა და აქ ეტრუსკული ელემენტების არსებობის შესახებ: – „რომის დამფუძნებლად თვლიან ლათინთა მეფეს, ვინც გაანდევნა ტირენები, რომლებიც ლიდიაში თესალიდან ჩავიდნენ. ლიდიიდან ისინი იტალიაში გადმოსახლდნენ". პლუტარქეს თანახმად, რომულუს ქალაქის დაარსებაში დამხარება გაუწიეს ტირენეიდან გამოწვეულმა საგანგებო პირებმა, რომლებმაც „დაწვრილებით აუხსნეს წინაპართაგან დაწერილი წესები და ისე იქცეოდნენ ვით საიდუმლო სამსახურის აღსრულების ჟამს". მომდევნო პასაჟში პლუტარქე ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ ტირენები სარდეიდან არიან გადმოსახლებულნი, ხოლო ვეი კი, ტირენების ქალაქი ყოფილა (Rom. 2, 11,25). პლუტარქესთან აღწერილია ომები, რომელსაც რომი აწარმოებდა ეტრუსკული ქალაქების წინააღმდეგ. ასევე იგი გადმოგვცემს ეტრუსკი მეფეების ბატონობის ეპოქას. რომში: – „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მსხვერპლი დასჭირდა ვეის ალყას. ზოგიერთები ამ ქალაქს „ვიენტანას" უწოდებდნენ. იგი ტირინეის მმეენება გახლდათ, იარაღის სიმრავლით და მეომართა რაოდენობით რომს როდი ჩამოუვარდებოდა, განსაკუთრებით ბრწყინავდა სიმდიდრით, ფუფუნებითა და არაჩვეულებრივი სიუხვით. ქალაქი სამხედრო ძალამ დაამარცხა. რომაელებმა მისი ულევი სიმდიდრის გატაცება და გატანა დაიწყეს; ქალაქის დარბევის შემდეგ, ჰერას ქანდაკება რომში გადავიდა, როცა ტირენები მიხვდნენ თავიანთ მარცხს, ღორმუცელობისა და ლოთობისაგან ისე იყვნენ წამხდარნი, რომ ბრძოლის

თავი არ ჰქონდათ" წერს პლუტარქე „სუტრიუმის ბრძოლის" შესახებ (Cam. 2. 5-6).

პოპლიკოლას ბიოგრაფიის აღწერისას, პლუტარქე მოგვითხრობს მეფე ტარკვინიუს სუპერბუსის დამსობისა და ბრუტუსის მიერ მისი რომიდან გაძევების ამბავს. კონსულებმა სამეფო ქონება გაასაძარცვად გადასცეს რომაელებს, ხოლო მეფის სახლკარი სასტიკად დაარბიეს. მარსის ველის საუკეთესო ნაწილი, რომელიც ტარკვინიუსის საკუთრება იყო, ღმერთებს შესწირეს. პლუტარქეს თანახმად, ჯერ კიდევ ტარკვინიუსმა წამოიწყო კაპიტოლიუმზე იუპიტერის სახელობის ტაძრის მშენებლობა, ამბობენ, რომ ტაძრის საძირკველის მშენებლობაში ორმოცი ათასი გირვანქა ვერცხლი დაიხარჯა. მისი გაძევების შემდეგ, მეფე არ თმობდა ტახტს და ცდილობდა რომში დაბრუნებას. ბრუტუსთან შეტაკების შემდეგ, სადაც დაიღუპა ტარკვინიუსის ძე – არუნტი, მეფე იძულებული გახდა დახმარებისათვის მიემართა კლუზიუმის მეფისათვის, ლარს პორსენასთვის. მართლაც, ამ უკანასკნელმა დახმარების ხელი გაუწოდა თავის ეტრუსკ მოკავშირეს და იერიში მიიტანა რომზე. ამ ბრძოლებში ეტრუსკების ხუთი ათასი მეომარი შეიმუსრა – წერს პლუტარქე, (1,2,3,9,10,13,14,15,17).

ახალი წელთაღრიცხვის I ს. ისტორიკოსია პლინიუს უფროსი, მისი ცნობით: „ტუსკებმა სამასამდე ქალაქი წარსტაცეს უმბრებს" (III 15-17, 20-21). იგი დაწვრილებით აღწერს აგრეთვე ჩრ. იტალიაში მდინარეებზე აგებულ ჰიდრავლიკურ მოწყობილობებს, რომლებიც აღმართული იყო პადუსის შენაკადებზე ეტრუსკების მიერ. პლინიუსი ეხება ეტრუსკების რწმენა-წარმოდგენების სხვადასხვა ასპექტებს: – „ეტრუსკები ცას ჰყოფდნენ ოთხ ნაწილად, ეს ნაწილები, თავის მხრივ, კიდევ ოთხ ნაწილად იყოფოდა. ქურუმი დგებოდა სამხრეთის მიმართულებით. მარცხენა მსარე ნაწილობრივ კეთილდღეობის მომასწავებელი იყო იმიტომ, რომ ეს მხარე სამყაროს საწყისს წარმოადგენდა, ყველაზე მარცხიანი და ხიფათიანი მხარეები იყო დასავლეთით და ჩრდილოეთით – ამ მხარეებიდან გამოსული ელვა სხვადასხვა მოვლენების მაუწყებელი იყო" (Plin. Hist.Nat. II 32, 51; II 138).

პლინიუსის მიხედვით, სახელგანთქმული ეტრუსკი მეფის, პორსენას საფლავი იმყოფებოდა კლუზიუმში და იწოდებოდა „ლაბირინთად" (IV. XXXVI). ავტორს აქვს ცნობები პელაზგების შესახებ, მისი აზრით, ეს ხალხი იტალიაში მოსახლეობდა მანამ,

სანამ ლიდიიდან მოხდებოდა ტირენების გადმოსახლება (His. Nat. III. 56). ქალაქ ცერეს პლინიუსი პელასგური წარმოშობის ქალაქად მიიჩნევს (Hist.Nat. III. 8.51).

ისტორიკოსების გარდა, კლასიკური პერიოდის[1] შემდგომი ხანის პოეტებიდან ვხვდებით სხვადასხვა ცნობებს ეტრუსკების შესხებ. ავტორებს შორის აღსანიშნავია ვერგილიუსი, ჰორაციუსი, ოვიდიუსი. ისინი იზიარებდნეენ ჰეროდოტეს ვერსიას ეტრუსკების ლიდიური წარმოშობის შესახებ (Verg. Aen. II. 781. VIII 789, IX 11; Hor. Sat. 1, 6,1; Ov. Met. III. 6,362, III 476-483).

მოგვიანებით, სერვიუსმა, რომელმაც დაწერა ვერგილიუსის „ენეადას" კომანტარები, საყურადღებო მასალა მოგვაწოდა ეტრუსკების შესახებ. ვერგილიუსი იმპერატორ ავგუსტუსის (ძვ. წ. 27 – ახ. 14 წ.) ხანის ცნობილი პოეტი იყო. მან „ენეადაში" განადიდა იულიუსთა საგვარეულო, კერძოდ, გაიუს იულიუს ოქტავიანუს ავგუსტუსის საქმეები. იგი აგვიწერს, თუ როგორ ჩამოდის ტროელი ენეასი, ვენერასა და ანქიზეს ძე, თავის ვაჟთან იულიუსთან და ტროელ მებრძოლებთან ერთად იტალიაში. ძველი ტრადიციების მიხედვით, აქ მისმა ვაჟმა ალბალონგას მთასთან დააარსა ქ. ალბა-ლონგა, ხოლო სახელოვანმა ენეასმა კი, ქ. ლავინია. ნაწარმოებში ენეასის მოკავშირენი არიან ძლავამოსილი ეტრუსკები, რომლებსაც უკვე დაარსებული აქვთ საკუთარი ქალაქები. მაგალითად, ტარკვინია (მისი დამაარსებელი ყოფილა ლეგანდარული ტარხონი Verg. Aen., VIII 506). მეორე ეტრუსკელი დიდი ქალაქია ცერე (Verg. Aen. VII 698), რომლის მეფე, მეზენციუსი ენეასის მტერი ყოფილა. ვერგილიუსი აგვიწერს ეტრუსკების მდიდრულ საბრძოლო ეტლებსა და ძლევამოსილ სამხედრო ფლოტს. ავტორი გადმოგვცემს ამბებს ეტრუსკი მებრძოლი-ქურუმის, ასილას შესახებ, ვინც განსწავლული იყო მარჩიელობაში.

აღსანიშნავია, რომ ვერგილიუსის „ენეადას" მოგვიანებით სერვიუსმა მნიშვნელოვანი კომენტარები დაურთო და გაამდიდრა ახალი ფაქტებით; სერვიუსი სიტყვას „tusci" უკავშირებდა ბერძნულ სიტყვას – „მსხვერპლის გაღებას", და თვლიდა, რომ ამ ხალხის სახელწოდება როგორც – „მსხვერპლის შემწირველნი"

---

[1] ჩვენი კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც მთლიანად ანტიკურ კულტურას ჰყოფს ეტაპებად.

ისე უნდა იყოს გაგებული (Serv. Aen. II, 781). სერვიუსის მიხედვით, ყოველ გაზაფხულზე ვოლტუმნას საკურთხეველთან ვოლსინში იკრიბებოდნენ პრინცეფსები ეტრუსკული ქალაქებიდან; ტარდებოდა შეჯიბრები, ეწყობოდა ბაზრობები და მსხვერპლშეწირვის ცერემონიალები, და ბოლოს, ხალხი ირჩევდა რჩეულს სხვადასხვა მეფეთაგან (Serv. Aen. VIII.473).

ახ. წ. 41 წელს რომის იმპერატორი გახდა კლავდიუსი, ისტორიაში ეს კაცი შევიდა, როგორც მწიგნობარი იმპერატორი. მან დაწერა ორი ნაშრომი – „ტირენიეიკა" და „კართაგენიკა", ისტორიული თხზულებანი ეტრუსკებისა და კართაგენელების შესახებ. სვეტონიუსი, კლავდიუსის ისტორიკოსი, წერდა: – „კლავდიუსმა ძველ ალექსანდრიის მუზეუმს შემოუერთა ახალი, რომელსაც მისი სახელი ეწოდა, მან გასცა ბრძანება, რომ წლიდან წლამდე დაკანონებულ დღეებში მკითხველებს წაეკითხათ ხმამაღლა ეტრუსკებისა და კართაგენის ისტორია თავიდან ბოლომდე, წიგნების მიხედვით (Svet. Clau. 42). სამწუხაროდ, კლავდიუსის ეს შრომები დაიკარგა, რომლებიც საინტერესო წყარო გახდებოდა მეცნიერებისათვის ეტრუსკების ისტორიისა და კულტურის შესწავლის თვალსაზრისით.

კლასიკური პერიოდის შემდგომი ხანის ზემოთგანხილული წყაროები, თემატური თვალსაზრისით, მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ეს ცნობები ეხება ეტრუსკების კულტურას, ისტორიას, რელიგიას, ყოველდღიური ყოფის მომენტებს.

ამდენად, ანტიკური ეპოქის წყაროები საკმაოდ მდიდარ და მრავალფეროვან ინფორმაციას გვთავაზობენ ეტრუსკების შესახებ, ე. წ. „ანტიკური ეტრუსკოლოგიის მიღწევები" დღეს დარგისათვის ფასდაუდებელია.

თავი III
შუა საუკუნეები, „მივიწყებული ეტრუსკების“ გახსენება

შუა საუკუნეებში საზოგადოების ინტერესი ეტრუსკებისა და მათი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ კვლავ განახლდა.

ადრეული შუა საუკუნეები – ქრონოლოგიურად VII-XII სს. მოიცავს. ამ პერიოდიდან ჩნდება პირველი თხზულებები, სადაც ყურადღების ცენტრში ექცევიან ეტრუსკები.

სევილიის ეპისკოპოსი, ისიდორე, თავისი დროისათვის განსწავლული პიროვნება იყო. თეოლოგიის გვერდით, იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ანტიკური ხანის სიძველეებს, განსაკუთრებით კი, დაინტერესებული იყო წარმართული ეტრუსკული რელიგიური დოქტრინებით. იგი სწავლობდა წინასწარმეტყველი ტაგეტის ისტორიას, რომელსაც გაუნდვია ეტრუსკი ხალხისათვის დიდი ცოდნა, მას მერე, რაც სამყაროს მოვლენია მიწის ხნულიდან (107; 8-9, 34-35).

ეზოთერული საკითხების პარალელურად, ისიდორე თავის თხზულებაში ყურადღებას ამახვილებს ეტრუსკული კულტურის ძეგლებზე, კერძოდ, არეცოში აღმოჩენილ წითელლაკიან კერამიკაზე (107; 20, 35). იგი ამ ჭურჭელთან დაკავშირებით გამოთქვამს თავის აზრს და თვლის, რომ ეს პროდუქცია განეკუთვნება რომის ადრეული იმპერიის ხანას.

მეორე ავტორი, რომელიც ეხება ეტრუსკულ სიძველეებს, არის XII საუკუნის მწერალი, ვილიამ მალმესბური, თავის წიგნში – „ინგლისის მეფეთა ქრონიკაში“ იგი გადმოგვცემს ესპანელი ბერის მონათხრობს, რომელსაც მეგობრებთან ერთად მოუნახულებია ეტრუსკული სამარხები, თხზულების ავტორი ინგლისელია, ამდენად, მისთვის იტალიური გარემო უჩვეულო და საოცრებებით აღსავსე ქვეყანა იყო. მოთხრობა მისტიკურ-რელიგიური სიუჟეტებით არის სავსე, სადაც ისტორიული ფაქტები ზღაპრული ეპიზოდებით არის გაჯერებული. ამავე წიგნში ავტორი მოგვითხრობს მათემატიკოსის, ვინმე გერბერტის შესახებ, რომელიც მოგვიანე-

ბით თურმე, რომის პაპი სილვესტერ II (999-1003 წწ) გამხდარა. სილვესტერ II ჩაღრმავებია ეტრუსკული სიძველეების შესწავლას და ამ საქმით გატაცებულს, ხშირად ნახულობდნენ ეტრუსკულ სამარხებში. იგი თურმე მიმართავდა მაგიურ ხერხებს, რათა დახშული აკლდამის კარებები გაეხსნა და მისთვის სასურველ სამარხში შეეღწია.

საინტერესო საფეხური ეტრუსკოლოგიის კვლევის ისტორიაში რენესანსზე მოდის – ეს ეტაპი, როგორც ცნობილია, გულისხმობდა ანტიკური კულტურის ტრადიციების აღორძინებას. ამ საფეხურზე ხდება ანტიკური ესთეტიკური პრინციპების, ფორმების რენესანსი – აღორძინება, რაც განსაკუთრებით შეიმჩნევა ხელოვნებაში, კერძოდ, ფერწერასა და არქიტექტურაში. ბერძნულ-რომაული სტილის აღორძინების გვერდით, თავს იჩენს ეტრუსკული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი მოტივები და ფორმები. იმ დროს არქიტექტორები, კერძო ვილებისა თუ ტაძრების მშენებლობის პროცესში, იყენებდნენ ეტრუსკული არქიტექტურული ორდენისათვის დამახასიათებელ ელემენტებს.

წინარე რენესანსის ცნობილი მხატვარი იყო ნიკოლა პიზანო. მის მიერ არის მოხატული პიზის ბაპტისტური ეკლესია (99; 31). ეკლესიაში ერთ-ერთ კედელზე გამოხატულია ღვთისმშობლის სახე, რომლის პროტოტიპად მხატვარს ეტრუსკულ ურნაზე დახატული ქალის სახე გამოუყენებია. მსგავსება ძალზე დიდია, ჩაცმულობის სტილი, წოლის მანერა ისეთივეა, რაც ახასიათებდათ ურნებზე გამოხატულ ეტრუსკ მატრონებს. ამ ეკლესიაში პიზანოს მიერ არის შექმნილი „ძალის“ სიმბოლური გამოსახულება. მხატვარი ეტრუსკულ ტრადიციებს ითვალისწინებს და ფიგურა ჩაფსკვნილი, შიშველი მამაკაცის სახით არის წარმოდგენილი.

იმ ხანის მეორე ცნობილი მხატვარია არნოლფო დე კამბიო. მისი ფუნჯით არის მოხატული სან-დომენიკოს სახელობის ეკლესია ორვიეტოში. სან-დომენიკოს მადონა ყრმით (1282 წ.) მორთულია ეტრუსკი ქალის სამკაულით (99; 24), რაც მიგვანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ კამბიო კარგად იცნობდა ეტრუსკული სამარხების ფრესკებს.

წინარე რენესანსის მესამე ცნობილი მხატვარი იყო ჯოტო. პადუაში, კაპელა-დელ-არენაში კედელზე დახატულია ევანგელური ციკლი, ქრისტეს ცხოვრების ამსახველი სცენებით.

ერთ-ერთ ფრესკაზე წარმოჩენილია ტახტზე ასული ქრისტე, მის ქვემოთ კი, მხატვარს გამოხატული ჰყავს მოცეკვავეების, მუსიკოსების, ცხენოსნების ფიგურები. მოცეკვავეებისა და მუსიკოსების მოძრაობები მოგვაგონებს ეტრუსკული სამარხების ფრესკებზე ასახულ ფიგურების ფორმებს, ხოლო პეიზაჟი, რა ფონზეც არის წარმოდგენილი სცენები, ეტრუსკული ფრესკების პეიზაჟებით არის შთაგონებული; ჯოტოს იუდა დიდ მსგავსებას ავლენს ეტრუსკული სიკვდილის დემონის – „ხარუნის" სახესთან (93; 129), რომელიც ხშირად გვხვდება ეტრუსკული სამარხის ფერწერაში. ჯოტოს, რომელიც ტოსკანას მკვიდრი იყო, საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი ეტრუსკული სამარხები, ჩანს, რომ ამ შთაბეჭდილებებმა მის შემოქმედებაზე არსებითი გავლენა მოახდინეს (93; 167). სწორედ, აქედან უნდა მომდინარეობდეს ეტრუსკული სიუჟეტები, მოტივები და დინამიკა, რომელიც ასე ცხოველად იჩენს თავს მის ფრესკებზე.

ადრეული აღორძინება – კვატროჩენტო, ხელოვნების ისტორიაში შევიდა როგორც აღმავლობის ხანა იტალიური ხელოვნების განვითარებაში. მძლავრი რენესანსი განიცადა არქიტექტურამ, სკულპტურამ, ფერწერამ. თუკი კლასიკურ ათენს არ ჩავთვლით, არსად და არასდროს მოვლინებია კაცობრიობას ერთდროულად ამდენი ხელოვანი-გენიოსი, რომლებიც მოღვაწეობდნენ იმ დროს ფლორენციაში. მათ დიდ მფარველობას უწევდა ფლორენციის ფაქტიური გამგებლების – მედიჩთა საგვარეულო ოჯახი. ადრეული რენესანსის დასაწყისში გამოყოფენ იმ სამი ხელოვანის შემოქმედებას, რომლებიც მიჩნეულები არიან ამ ეტაპის წამყვან მოღვაწეებად, ესენია: ფლორენციელი მაზაჩო, სკულპტორი დონატელო, არქიტექტორი ბრუნელესხი. სამივე XV საუკუნის ფლორენციულ სკოლას მიეკუთვნებიან. ამ ხელოვანებთან განსაკუთრებით გამოიკვეთა ანტიკური თემატიკა. ისინი ხშირად მიმართავდნენ ბერძნულ, ეტრუსკულ, რომაულ სიუჟეტებს, იყენებდნენ ანტიკური არქიტექტურის ელემენტებს. ეტრუსკული ფრესკების გავლენა შეიმჩნევა დონატელოს წმინდა გიორგის სახის მოდელირებაში. წმინდა გიორგის სახე საოცრად მოგვაგონებს ერთ-ერთი ეტრუსკული სამარხის ფრესკაზე გამოხატული ბიჭის სახეს. ეტრუსკული არქიტექტურის შესანიშნავ მინაბაძს წარმოადგენს 1480 წელს კაიანოში ლორენცო მედიჩისათვის აგებული ვილა, რომლის არქიტექტორი იყო ჯულიანო დე სანგალო.

ხუროთმოძღვარს ბევრი ელემენტი ეტრუსკული ტაძრის არქიტექტურიდან აქვს ნასესხები – ფართო დაბალი ფრონტონი და ერცლად განფენილი კოლონები; ტერაკოტის ფრიზზე, კოლონადების მაღლა, წვეროსანი მამაკაცის ფიგურაა, რომელსაც ხელში გველები უჭირავს. ეს ფიგურა დიდ მსგავსებას ავლენს ეტრუსკულ დემონებთან, ხარუნთან და ტუხულხასთან (93; 224).

ეტრუსკული არქიტექტურის მიმართ იმხანად დიდი ინტერესი გამოიჩინა ცნობილმა მოღვაწემ, ლეონ ბატისტა ალბერტიმ. მას ეკუთვნის ნაშრომი „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ", სადაც ავტორს განხილული აქვს ეტრუსკული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. მას საკუთარი თვალით უხილავს ძველი ეტრუსკული ქალაქები და სამარხები, ქვის სტელები წარწერებით, მაგრამ მათი ამოკითხვა იმხანად უკვე შეუძლებელი ყოფილა (59). იგი მსჯელობს ეტრუსკული არქიტექტურისათვის დამახასიათებელ თავისებურებებზე; ეყრდნობა რა, ანტიკურ წერილობით წყაროებსა და ნივთიერ მასალას, თვლის, რომ ეტრუსკები მშენებლობაში იყენებდნენ ოთხკუთხედ ქვებს, ასევე ისინი აგებდნენ შენობებს დორიულ სტილში; იცნობდა რა, ვიტრუვიუსის შრომებს, იგი მსჯელობს იმ პროპორციებზე, რომლებსაც ეტრუსკები მიმართავდნენ ტაძრის მშენებლობისას და აგვიწერს ზოგიერთ დეტალს ლარს პორსენას სამარხიდან, რომელიც კლუზიუმში ყოფილა. ეტრუსკული სიძველეებით დაინტერესებული იყო დომინიკანელი ბერი ჯიოვანი ნანი (1432-1502). სამეცნიერო წრეებში იგი ცნობილია მეორე სახელით – ანიო ვიტერბოდან.

პირველი მცდელობა ეტრუსკული წარწერების გაშიფვრისა, სწორედ ამ ბერს ეკუთვნის. ანიო მიიჩნევდა, რომ ეტრუსკული ენა მომდინარეობდა ძველი ებრაულიდან, როგორც სხვა არქაული ენები.

სამეცნიერო წრეებში ანიო ნაკლებად პოპულარული პიროვნება გახლდათ. მას ბრალად ედებოდა რომის ისტორიის ფალსიფიცირება; ამბობდნენ, რომ მის მიერ რედაქტირებული ფაბიუს პიქტორის „რომის ისტორია" ნაყალბევი იყო. ასევე ეჭვს იწვევდა მის მიერ გამოქვეყნებული რომის რუკაც, რომელსაც აგრეთვე ფაბიუს პიქტორის ხელქმნილად აცხადებდა ანიო ვიტერბოელი (99; 28).

აღსანიშნავია, რომ ანიოსს უწარმოებია პირველი არქეოლოგიური გათხრები ვიტერბოს მისადგომებთან. ამ პიროვნებაზე

დადებითად მეტყველებს ის, რომ სხვა ოქროსმოყვარულ მაძიებლებისაგან განსხვავებით, ანიო „ჭეშმარიტი“ მეცნიერი აღმოჩნდა, მოპოვებული განძი არ მიუსაკუთრებია. მას სურდა, სახელი გაეთქვა თავისი ქალაქისათვის ევროპულ სამყაროში, და ამ მიზნით ფართო „რეკლამა“ გაუწია ვიტერბოს გათხრების დროს აღმოჩენილ სიძველეებს. ამ გათხრებს ესწრებოდა რომის კათოლიკური ეკლესიის თავი, პაპი ალექსანდრე VI.

ანიომ აქ აღმოჩენილი სკულპტურების ჯგუფი დაათარიღა რომის ისტორიის ადრეული ხანით (99; 29) – რაც თავისთავად მცდარი დასკვნა იყო.

ამ პერიოდის ჰუმანისტ-მეცნიერების ესოდენ დიდი ინტერესი ეტრუსკების მიმართ გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ეტრუსკებს ისინი მიიჩნევდნენ რომაული კულტურის წინამორბედებათ, რენესანსის ეპოქის მეცნიერები მათ თავიანთ წინაპრებადაც კი თვლიდნენ.

გვიანი რენესანსი ქრონოლოგიურად XV ს. ბოლოსა და XVI – 30-იან წლებს მოიცავს. ანტიკური თემატიკა კვლავ წამყვანია ამ ეტაპის მხატვრების შემოქმედებაში. ეტრუსკულ სიუჟეტებს მიმართავენ იმხანის ცნობილი მხატვრები: ალბერტო ანტონიო პოლაიოლო, ლეონარდო დევინჩი, მიქელანჯელო, ბრუნელესხი, ბენვენუტო ჩელინი, ჯორჯო ვაზარი, ანდრია სანსოვინო. ჯორჯო ვაზარი, ცნობილი მხატვარი და მოღვაწე, ეტრუსკული ქ. არეცოს მკვიდრი იყო. თავის წიგნში „ხელოვანთა ცხოვრება“ – იგი აგვიწერს ეტრუსკული კულტურის ძეგლებს. 1554 წ. არეცოში აღმოჩენილ იქნა ცნობილი ქიმერა. ვაზარიმ უშეცდომოდ განსაზღვრა მისი წარმომავლობა და იგი ეტრუსკული ძეგლების რიცხვს მიაკუთვნა. ეს ქიმერა, როგორც ვაზარი გადმოგვცემს, თავის დიდებულ სასახლეში მოუთავსებია დუკა კაზიმო მედიჩის; მხატვარი ზედმიწევნით აგვიწერს ქანდაკებას, ასკვნის, რომ თმის წყობის მიხედვით, ძეგლი არქაული ხანისაა. ასევე ყურადღებას იჩენს მასალის მიმართ, რისგანაც არის დამზადებული ქიმერა. იგი გვაძლევს სამარხის ზუსტ ლოკალიზაციას (99; 29). XVI საუკუნეში ბევრმა ეტრუსკულმა ძეგლმა იხილა ხელმეორედ დღის სინათლე. მათ შორის იყო მინევრას ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც დღეს ფლორენციის არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება. იგი აღმოჩენილი იქნა არეცოს მიდამოებში რამდენიმე წლის შემდეგ, რაც გაითხარა ცნობილი „ქიმერასა“ და „ორატორის“ ქანდაკებები (1573 წ.).

იმდროისათვის, მხატვართა და მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო „ეტრუსკულმა სარკეებმა", რომლებიც ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენდნენ; ფლორენცია კვლავ იმ ცენტრად რჩებოდა, სადაც წარმოებდა ძველ ნივთებზე ნაკვირვება და მათი შესწავლა. იმ ხანის ცნობილი მხატვარი და არქიტექტორი, მიქელანჯელო ეტრუსკული სამარხის ფრესკების მონახულების შემდეგ, ქმნის ეტრუსკული ქვესკნელის მეუფის – ჰადესის (ეტრუსკულად აიტას) სახეს (112; 250). იმ დროის ცნობილი სკულპტორი ანდრია სანსოვინო, მიქელანჯელოს მსგავსად კარგად იცნობდა ეტრუსკულ ურნებსა და სარკოფაგებს. იგი ოთავის შემოქმედებაში ხშირად მიმართავდა „ეტრუსკულ მოტივებს" მის მიერ შექმნილი (კარდინალ გილორამო ბასსა დელა როვერელას სამარხის კომპლექსი სანგა მარია დელ პოპოლო, რომის კარდინალის ფიგურა მოგვაგონებს ეტრუსკულ ურნებზე გამოხატული მამაკაცის გამოსახულებას (99; 30).

რენესანსის ეპოქაში განსაკუთრებით გამძაფრდა ინტერესი ეტრუსკული მონუმენტური და მცირე სკულპტურის მიმართ. ეტრუსკული ქანდაკებისათვის დამახასიათებელმა უჩვეულოდ ექსპრესიულმა ბუნებამ, ფორმის გამოხატვის თვითმყოფადმა მანერამ, მოხიბლა რენესანსის ხანის მოქანდაკეები. სამწუხაროდ, ამ ხელოვნების ქმნილებების ანალიზი, მეცნიერული შესწავლა, იმ ხანად არ მომხდარა.

თავი IV
პირველი მეცნიერული ნაბიჯები

17 საუკუნემ ეტრუსკოლოგიის ისტორიაში მოიტანა ახალი ძვრები. ეტრუსკების მიმართ ინტერესი გაცდა იტალიის საზღვრებს და მთელი ევროპა მოიცვა. პირველი ევროპელი, ვინც დაინტერესდა ეტრუსკული კულტურით, იყო შვედი ტომას დემპსტერი, პიზისა და ბოლონიის უნივერსიტეტების პროფესორი. კოზიმო II მედიჩი, ვის სამფლობელოსაც წარმოადგენდა ტოსკანა, ხელს უმართავდა ტომას დემპსტერს; მისი შეკვეთით მეცნიერი იწყებს წიგნზე მუშაობას, რომელშიც უნდა ყოფილიყო აღწერილი ეტრუსკების ისტორია – პარალელურად, უნდა გაშუქებულიყო კულტურის საკითხებიც. ამ დავალებას მეცნიერმა პირნათლად გაართვა თავი. 1616 წ. მან დაიწყო მუშაობა აღნიშნულ თემატიკაზე, ხოლო 1619 წლისათვის იგი ასრულებს თავის ნაშრომს – „შვიდი წიგნი ეტრურიის სამეფოზე". იმხანად ეს თხზულება არ გამოცემულა, მთელი საუკუნის განმავლობაში მის მიმართ არსებითი ყურადღება არავის გამოუჩენია, სანამ ფლორენციაში არ გამოჩნდა ინგლისელი ტომას კოკი; 1723 წელს კოკმა იტალიელ მეცნიერ ფილიპო ბუონაროტისთან ერთად შესწორებებით გამოსცა ეს ხელნაწერი, გამოცემას თან ერთვოდა დემპსტერის მიერ შესრულებული ილუსტრაციებიც (96; 577, 616).

დემპსტერის შრომა ძირითადად ანტიკურ წყაროებს ეყრდნობოდა და ნაკლებად იყო გამდიდრებული არქეოლოგიური მასალით. ამ გამოკვლევაში ავტორი ყურადღებას უთმობდა ხალხის ისტორიას, კულტურას, ზნე-ჩვეულებებს.

დემპსტერის შრომაში ცოტათი გაზვიადებულად არის წარმოდგენილი ეტრუსკების როლი მსოფლიოს ცივილიზაციის ისტორიაში; ვინც ამ შრომას გაეცნობა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, რომ ეტრუსკები ძველ სამყაროში ერთადერთი ცივილური ხალხი იყო, რომ მათ პირველებმა მოიტანეს იტალიაში

კანონები, რომ ისინი იყვნენ ძველი სამყაროს პირველი ფილოსოფოსები, მათემატიკოსები, ექიმები, გამომგონებლები.

დემპსტერი ნაკლებად ერკვეოდა ეტრუსკულ ქრონოლოგიაში, ეტრუსკულ კულტურასთან იგი აკავშირებდა გაცილებით გვიანი ხანის ფაქტებსაც, რა დროსაც ფაქტიურად ეტრუსკები, როგორც ეთნოსი, უკვე აღარ არსებობდა; მაგალითისათვის, დანტე და ბოკაჩო, დემპსტერის აზრით, ეტრურიის სახელმწიფოში ისეთივე ცნობილი მოღვაწენი იყვნენ, როგორც კლუზიუმის მეფე პორსენა იყო.

ეტრუსკული ენის „საიდუმლოების" გამოცნობის საკითხთან დაკავშირებით, დემპსტერმა აირჩია „შედარებითი ეტიმოლოგიური მეთოდი". იგი ცდილობდა ეტრუსკული სიტყვებისა და ტერმინების ახსნას ბერძნული და ლათინური ანალოგიებით. მან შეადგინა ეტრუსკული სიტყვების პირველი ლექსიკონი (96; 37), რომელშიც, რასაკვირველია, მრავალი უზუსტობა და შეცდომა აღმოჩნდა.

XVIII საუკუნე – „არქეოლოგიის საუკუნე"

XVIII საუკუნის დასაწყისიდან ტოსკანაში იწყება ინტენსიური არქეოლოგიური გათხრები. 1739 წ. ქალაქების – ვოლატერისა და ვოლტერას მისადგომებთან აღმოაჩინეს ცეცინების საგვარეულო სამარხი. ეს არისტოკრატიული ეტრუსკული გვარი განაგებდა ვოლატერს. სამარხში აღმოჩნდა 40-მდე ურნა. ეს ძეგლები გადაეცა ადგილობრივ ქალაქის მუზეუმს.

XVIII ს. მოღვაწე იყო, ფრანჩესკო გორი. იგი თავის თხზულებაში გარკვეულ ადგილს უთმობს ეტრუსკული კულტურის, კერძოდ, ხელოვნების განხილვას. ეს ტრაქტატი გაფორმებული იყო მრავალრიცხოვანი ილუსტრაციებით. წიგნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი გახლდათ ის, რომ ავტორი დილეტანტი ხელოვნებათმცოდნე აღმოჩნდა. იგი ხეირიანად ვერ ანსხვავებდა ერთმანეთისგან ბერძნულ, რომაულ და ეტრუსკულ ძეგლებს. წიგნში მოყვანილი და განხილული ყველა ნიმუში მას ეტრუსკული წარმომავლობისა ეგონა.

1726 წ. კორტონაში დაარსდა ეტრუსკული აკადემია, ხოლო მის პრეზიდენტს აკადემიის წევრებმა ძველი ეტრუსკი მეფეების სახელი – ტიტული – „ლუკმონი" მიანიჭეს. ნახევარი საუკუნის განმავ-

ლობაში აკადემია აწყობდა სისტემატიურ დისკუსიებს, კრებებს, შეხვედრებს. ამ აკადემიის მიერ გამოცემული მასალების 9 ტომი, დღეს მხოლოდ მეცნიერების ისტორიკოსს თუ დააინტერესებს, სხვამხრივ ისინი მოკლებულნი არიან მეცნიერულ ღირებულებას. იმ ხანის ისტორიკოსებისა და ხელოვნებათმცოდნეების საერთო „სენი" იყო ის, რომ იტალიაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ყველა მასალას, ყოველთვის ეტრუსკების სახელს უკავშირებდნენ.

კორტონას აკადემიის ბაზაზე შეიქმნა ეტრუსკული სიძველეთა კოლექცია, რომელიც 1750 წლიდან მუზეუმად იქცა. კორტონას მუზეუმის ექსპონატებიდან, მხოლოდ თხუთმეტი გახლდათ ეტრუსკული ხელოვნების ნიმუში.

აკადემიის წევრები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯეროვნად ვერ ანსხვავებდნენ ერთმანეთისგან ბერძნული და ეტრუსკული წარმოშობის ძეგლებს (92; 166-721, 197-98). იმხანად, ზედმეტად იქნა გაზვიადებული ეტრუსკების როლი კაცობრიობის ისტორიაშიც. ასეთმა არაობიექტურმა დამოკიდებულებამ უარყოფითი როლი შეასრულა ეტრუსკოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

დილეტანტებისა და მოყვარულების მიერ წარმოებულმა გათხრებმა ბევრი ძეგლის დაზიანება გამოიწვია. „ცრუ მეცნიერები" უმთავრესად ყურადღებას უთმობდნენ ძვირფას ნივთებს, უბრალო მასალისაგან დამზადებულ ნივთებზე ნაკლებად ამახვილებდნენ ყურადღებას, რის შედეგადაც სიენაში, კორტონაში და არეცოში გათხრების დროს მეცნიერებისათვის ბევრი საყურადღებო ძეგლი დაიღუპა. და მაინც, კორტონას აკადემიამ, მიუხედავად თავისი გამოუცდელობისა, პირველი ნაბიჯი გადადგა ახალ ევროპაში ეტრუსკოლოგიის, როგორც მეცნიერული დარგის, ფორმირებაში. მალე შესაძლებელი გახდა დაგროვებული მასალების სისტემაში მოყვანა – შეიქმნა პირველი მუზეუმები, სადაც ინახებოდა ეტრუსკული სიძველეები სხვა სიძველეებთან ერთად. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა გუარნაჩის მუზეუმი ვოლტერაში (95; 11-12). კორტონაში ეტრუსკული აკადემიის ბაზაზე დაარსდა მეორე მუზეუმიც – ხოლო ნაწილი კოლექციებისა კი, მოხვდა „პაპის მუზეუმებში" – კასიანო დელ პოცოში. იმ ხანის მეცნიერები გულმოდგინედ ცდილობდნენ შეესწავლათ ეტრუსკული არტეფაქტები. ისინი აღწერდნენ და აღნუსხავდნენ ძეგლებს. ამავე დროს იწყება

მუზეუმში არსებული კოლექციების გამოცემა, ეტრუსკებთან დაკავშირებული მასალები ხელმისაწვდომი ხდება მკითხველთა ფართო ფენებისათვის.

ანტონიო გორიმ, წარმოშობით ფლორენციელმა, 1737-1793 წწ. გამოსცა „Museum Etruscum", გემოვნებით ილუსტრირებული სამტომეული, ხოლო 1744-1750 წ. მან გამოსცა გუარნაჩის, კორტონასა და ფლორენციის მუზეუმების კოლექციებიც.

იმხანად დაიწერა კელევითი სახის მონოგრაფიებიც, ერთ-ერთი კელევის ავტორი იყო ლორენცო გუაჩეზი, რომელიც კორტონას აკადემიის ლუკმონი იყო (93; 182). თავის დისერტაციაში ავტორი განიხილავდა ეტრუსკების ყოფა-ცხოვრებას, კერძოდ კი, მათი ჩაცმულობის საკითხებზე აკეთებდა აქცენტებს.

XVII ს. მოღვაწეა აგრეთვე ცნობილი ფილოლოგი, ისტორიკოსი და არქეოლოგი ლუიჯი ლანცი (1732-1810). 1789 წ. გამოსცა სერიოზული ნაშრომი, სადაც ავტორი ეხებოდა ეტრუსკული ენის პრობლემებს, პარალელურად, განიხილავდა იტალიის ტერიტორიაზე სხვა ენობრივ ჯგუფებსაც.

ეტრუსკული ხელოვნებით დაინტერესებული იყო იმ დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, მრავალმხრივი მეცნიერი (ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, არქეოლოგი) იოჰან ვინკელმანი. თავის „უძველესი ხელოვნების ისტორიაში" (1764 წ.) მან ერთ-ერთი თავი დაუთმო ეტრუსკულ ხელოვნებას სათაურით – „ეტრურიისა და მისი მეზობელი ქვეყნების ხელოვნების შესახებ". აღსანიშნავია, რომ ვინკელმანი ძალზე მკაცრი შემფასებელი აღმოჩნდა ეტრუსკული ხელოვნებისა. იგი ეტრუსკულ ხელოვნებას ბერძნული ხელოვნების „განშტოებად" მიიჩნევდა, უფრო მეტიც, მას დამოუკიდებლად არ გამოჰყოფდა ბერძნული ხელოვნებიდან. იგი დასძენდა: – „მიუხედავად მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებისა, ეტრუსკ ოსტატებს მაინც აკლდათ სილამაზის შეგრძნებაო" – და ეტრუსკული ძეგლების შესახებ იყენებდა პლუტარქეს გამონათქვამს ვულკანუსზე: – „გრაციის გარეშე უშვიათო ღმერთებს".

ბუნებრივია, კლასიკური ხელოვნების ნიმუშების მოტრფიალე ვინკელმანი ეტრუსკულ ხელოვნებას ვერ გაუტოლებდა ბერძნული ხელოვნების უფაქიზეს ძეგლებს (99; 71). მიუხედავად მისი ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულებისა, იგი ეტრუსკული აკადემიის სა-

პატიო წევრი გახლდათ (99; 40), რაც იმხანად უდიდეს პატივად ითელებოდა უცხოელთათვის.

XVIII საუკუნის მეორე ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, ფრანგი ანტიკვარი, კომტე დე კაულუსი, თავის ნაშრომში ეტრუსკულ ხელოენებას განიხილავდა ეგვიპტური, რომაული, გალიური კულტურების გვერდით (99; 40).

XVIII საუკუნის ეტრუსკული სიძველეების მიმართ ფართო საზოგადოებამ განსაკუთრებული ინტერესი გამოავლინა, უფრო მეტიც, „ეტრუსკოლოგია" მოდად იქცა, გაჩნდა ბევრი „ვაი მეცნიერი", დილეტანტი, უცოდინარი ისტორიკოსი, თუმცაღა იყვნენ ისეთებიც, ვინც მთელი სიყვარულით ეძლეოდნენ ამ დარგის კვლევას და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ.

თავი V
XIX საუკუნე – ეტრუსკოლოგიის, როგორც მეცნიერული დარგის, ფორმირება

XIX საუკუნემ მთელს მსოფლიოში შემოიტანა ახალი ძერები, მოხდა ახალი აღმოჩენები საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ტექნიკის დარგებში. ეს საუკუნე გახლდათ დიდი არქეოლოგიური აღმოჩენათა ხანაც; არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა მცირე აზიაში, ეგვიპტეში, კრეტაზე, მიკენში, შუამდინარეთში. ამ დიდმა მეცნიერულმა წარმატებებმა, გარკვეულწილად, განაპირობეს ეტრუსკოლოგიის, ისტორიულ დისციპლინად ჩამოყალიბება. უკვე ფართო მეცნიერული წრეები დაინტერესდნენ ეტრუსკული კულტურის საკითხებით, გაჩნდა ეტრუსკულ პრობლემებზე მომუშავე პირველი მეცნიერული სკოლები გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, დანიაში, იტალიასა და რუსეთში. 1870 წელს გაიხსნა „არქეოლოგიური მუზეუმი" ფლორენციაში, 1889 წელს რომში გაიხსნა „ვილა ჯულიას" მუზეუმი, 1881 წელს კი, ბოლონიის არქეოლოგიური მუზეუმი დაარსდა. 1876 წლიდან იწყება არქეოლოგიური ბიულეტენების გამოცემა იტალიურ ენაზე, სადაც ხდებოდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის აღნუსხვა და ანალიზი. აღნიშნულ ეტრუსკოლოგიურ სკოლებში საფუძველი ეყრებოდა კვლევის ახალ მეთოდებსაც.

ინგლისური „სკოლა" ძირითადად ეტრუსკული კულტურის პოპულარიზაციის საქმეს ემსახურებოდა; ბრიტანელებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, ამ პუბლიკაციებით გასცნობოდნენ მეცნიერების ახალ აღმოჩენებს იტალიაში.

გერმანია ეტრუსკოლოგიური კვლევის ერთ-ერთი სერიოზული ცენტრი იყო იმხანად. ამ სკოლის მეცადინეობით, რომელსაც სათავეში ედგა ედუარდ გერჰარდი, 1829 წელს დაარსდა საერთაშორისო ინსტიტუტი – „Instituto di Corrispondenza Archeologica".

ამ ინსტიტუტის დაარსებაში მონაწილეობა მიიღეს გერმანელმა მეცნიერებმა: გერჰარდმა, ბუნზენმა და კიოსტნერმა, იტალიელმა დე ფეამ და დანიელმა ტორფალდსენმა. ინსტიტუტი აქვეყნებდა პერიოდულ გამოცემებს: „Anneli dell' Instituto di corrispondenza archeologica", „Bolletino degli annale", „Monumenti Inediti". 1884 წელს საერთაშორისო არქეოლოგიური ინსტიტუტი გადაიქცა გერმანიის საიმპერატორო მუზეუმად.

იტალიური სკოლის წარმომადგენლები აგრძელებდნენ წინა საუკუნეში მოღვაწე გორისა და ბუანაროტის ტრადიციებს, სწავლობდნენ და აქვეყნებდნენ ეტრუსკული ხელოვნების ძეგლებს (სამარხებს, წარწერებს, ფრესკებს).

საგულისხმოა, რომ XIX საუკუნეში ინტენსიური ხასიათი მიიღო არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ხმელთაშუა ზღვის აუზში, გათხრები მიმდინარეობდა აპენინების ნახევარკუნძულზეც.

1822 წელს პერუჯას მახლობლად აღმოჩნდა ქვაზე გაკეთებული ეტრუსკული წარწერა. ერთ მხარეს 46 სტრიქონიანი ტექსტი იყო დაწერილი, ხოლო მეორეზე კი, 22 სტრიქონიანი ტექსტი. ერთი წლის შემდგომ, 1823 წელს, კორენტოს მოქალაქემ, კარლო ავლოტამ, აღმოაჩინა ეტრუსკი მეომრის სამარხი. ამ ამბების შემდეგ, მიყოლებით, გაითხარა ახალი სამარხები: 1830 წელს კორენტოში – „ტრიკლინიუმის სამარხი" (ეს სახელწოდება მან ნადიმობის სცენის მიხედვით მიიღო), 1831 წელს გაითხარა „კვერჩოლის სამარხი", სადაც ანალოგიური ნადიმობის სცენებია გამოხატული, ხოლო 1832 წელს კი, ღლის სინათლე იხილა ე. წ. „მიცვალებულის სამარხმა", სადაც ცენტრალურ კედელზე სამარხის პატრონია ასახული. „ტიფონის" სახელწოდებით არის ცნობილი სამარხი, სადაც გამოხატულია „ფრთოსანი ურჩხული ქვეწარმავლებით".

XIX საუკუნის 20-იან წლებში ინტენსიური გათხრები მიმდინარეობდა კანინოს სამეფოში, რომელიც პრინც ლიუსიენ ბონაპარტის საკუთრებას წარმოადგენდა. გათხრები დაიწყო 1828 წლიდან ერთდროულად დოგანელის ველზე და კუკუმელას ბორცვზე. არქეოლოგებს ბედმა გაუღიმათ, მათ გათხარეს 20 ათასამდე სამარხი, დაწყებული ძვ.წ. VIII ს-დან დამთავრებული ძვ.წ. II ს-მდე. აღმოჩენილი მასალა უნიკალური იყო თავისი მრავალფეროვნებით; აქ აღმოჩნდა უამრავი ნივთი, ფუფუნების საგნები, ბრინჯაოსა და რკინის საჭურველები, სხვადასხვა წარმოების ლარნაკები. 1836 წელს ჩერვეტერისთან გაითხარა ყველაზე

მდიდრული სამარხი, რომლის სამუშაოსაც ხელმძღვანელობდა ორი ადამიანი, ეპისკოპოსი რეგოლინი და გენერალი გალასი. სამარხს მათ პატივსაცემად „რეგოლინი-გალასის“ სამარხი უწოდეს. ეს სამარხი წარმოადგენდა ვიწრო კამერას, რომლის სიგრძე 7,5 მ., ხოლო სიგანე 1 მ. 36 სმ. იყო. კამერა ტუფში იყო ნაკვეთი და ნაწილობრივ ტუფისავე ფილებით მოპირკეთებული. ცენტრალური სათავსოდან კარები მარჯვნივ და მარცხნივ გვერდითა, ოვალურ სათავსოებში გადიოდა. კამერის შიგნით, ქვის კატაფალკაზე დასვენებული იყო ქალი. მიცვალებულს დიდძალი სიმდიდრე ჰქონდა ჩატანებული, ხოლო ვერცხლის ერთ-ერთ ჭურჭელზე გაკეთებული იყო წარწერა – ლარცია. სამარხში კიდევ ორი მიცვალებული იყო. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი გარდაცვლილის ფერფლი, კრემაციის შემდეგ, სპეციალურ ურნაში იყო მოთავსებული. ეს ურნა მეომარს ეკუთვნოდა, იქვე მისი ძვირფასი საჭურველი იყო დადებული. მესამე ნეშტი მამაკაცისა იყო, რომელსაც აგრეთვე დიდძალი ძვირფასეულობა ჰქონდა ჩატანებული. ამ აღმოჩენის შემდეგ, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს სამარხი საგვარეულო იყო. სამარხში იყო ორი საბრძოლო ეტლი, მათ ამშვენებდათ ლომის თავის გამოსახულებები; „რეგოლინი-გალასის“ სამარხში აღმოჩენილი განძი 1837 წელს ვატიკანის – Museo Etrusco Gregoriane-ს საკუთრება გახდა. 1845 წელს ალექსანდრო ფრანსუას მიერ გაითხარა აკლდამა, რომელიც სამეცნიერო წრეებში „ფრანსუას აკლდამის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. აქ აღმოჩენილ ნივთებს შორის იყო ე. წ. „ფრანსუას ლარნაკი“ – რაფინირებული ფერწერით შესრულებული ეს ნივთი, მეცნიერებმა შეცდომით ეტრუსკული წარმოების ნიმუშად მიიჩნიეს. თავისი ნატიფი სტილითა და კლასიკური სისადავით, მთელი მსოფლიო მოხიბლა ხელოვნების ამ ნიმუშმა (სინამდვილეში იგი ბერძნული წარმოებისა აღმოჩნდა). ამ სამარხის ერთ-ერთ კედელზე ეტრუსკების ცხოვრების სცენა იყო გამოხატული: მზით გარუჯულ, ვაჟკაცური შესახედაობის მამაკაცს თავზე გვირგვინი ჰქონდა, ტანთ ემოსა ორნამენტებითა და „მეომარი ამორძალებით“ შემკული ტუნიკა. ფრესკაზე გაკეთებული წარწერა მიუთითებდა მის გვარზე – ველ სატიუსი. მამაკაცის წინ მსუქანი ბიჭუნა იყო გამოსახული, წითელქობიანი ტუნიკით. მას ხელში მტრედი ეჭირა. მეორე ფრესკაზე ასახულნი იყვნენ ცნობილი ეტრუსკი მეომრები: მასტარნა, ავლუს და ცელიუს ვიბენები,

აგრეთვე სხვა ეტრუსკი მხედართმთავრები. ერთ-ერთ ფრესკაზე აღბეჭდილი იყო საბრძოლო ეპიზოდი ამ გმირების ცხოვრებიდან: ცელიუსი სურათზე გამოსახულია უიარაღოდ, დატყვევებული და თოკით ხელებშეკრული. მას ათავისუფლებს მასტარნა, ხოლო ავლუს ვიბენა კი, კლავს ვოლსინელ ლარს პაპაციუს. გვერდითა ფრესკაზე გამოსახულია მარკუს კამილტერისა და გნეუს ტარკვინიუს „რომაელის" ორთაბრძოლის სცენები. ერთ-ერთი სურათი ეთმობა რომზე გალაშქრების სცენებს, რაც შესანიშნავ მასალას წარმოადგენს ეტრუსკების პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. 1846 წელს მიხეილ ბარიჩმა, რომელიც ხელოვნების სიძველეებით იყო გატაცებული, ეგვიპტიდან ჩამოიტანა ქალის მუმია, რომელიც გახვეული იყო გრძელ გრაგნილში. მუმიის სახეევებზე გაკეთებული იყო ეტრუსკული წარწერა. ეს გრაგნილი თავდაპირველად თხზულება უნდა ყოფილიყო, სადაც საგულდაგულოდ იყო დაწერილი თორმეტ სვეტად, წითელი მელნით შესრულებული ტექსტი. თვითონ გრაგნილი სამ მეტრზე მეტი სიგრძის სელის ტილოს ნაჭერს წარმოადგენდა. სავარაუდოდ, „წიგნი" ეგვიპტელი ქურუმის სახელოსნოში მოხვედრის შემდეგ, ვიწრო სახვევებად დაუჭრიათ და მუმიის გასახვევად გამოუყენებიათ. ეს იშვიათი გრაგნილი ზაგრების ეროვნულ მუზეუმში იქნა მოთავსებული.

გასული საუკუნის ბოლოს, ეტრუსკული ხელოვნების ძეგლების აღმოჩენის თვალსაზრისით, უნიკალური მონაპოვარი იყო „ძუ ლომისა" და „ნადირობისა და თევზაობის" სამარხების მიკვლევა-შესწავლა.

XIX საუკუნეში ეტრუსკები და მათი კულტურა ძალზე პოპულარული გახდა. ევროპელები დიდი ენთუზიაზმით იკვლევდნენ ამ ხალხის წარსულს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილმა მასალამ, ახალი მეცნიერული პრობლემები გამოკვეთა დარგში.

ეტრუსკული პრობლემების კვლევა ევროპაში დაიწყეს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებმა, მათ შორის აღსანიშნავია გერმანული სკოლა. გერმანიაში დაინერგა ეტრუსკული ენის კვლევის „ეტიმოლოგიური მეთოდი". ეტრუსკული ენა და ლექსიკა, ამ მეთოდის მიხედვით, ბევრ ძველ და ახალ ენებს შეუპირისპირეს. ეს ენები იყო ბერძნული, ლათინური, სემიტური, კავკასიური და გერმანულიც კი. მეორე მეთოდი, რომელიც ცნობილია – „კომბინატორული" მეთოდის სახელწოდებით, ეყრდნობოდა ეტრუსკული წარწერების

ურთიერთშეპირისპირებასა და კომბინირებას. გასული საუკუნის ცნობილი მკელევარები და ენათმეცნიერები იყვნენ: კ. კორსენი (იგი ეტრუსკულს ინდო-ევროპულ ენად მიიჩნევდა), ვ. დეეკე (იგი ამ ენას ბერძნულ-იტალიური ენების მონათესავედ მიიჩნევდა), კ. პაული (ეს მეცნიერი ეტრუსკულ ენას მცირეაზიულ ენებთან – ლიკიურთან, კარიულთან და ლიდიურთან ანათესავებდა), ს. ბუგე (ეტრუსკულს სომხური ენის განშტოებად თელიდა), ე. ლაგესი (ეტრუსკულ ენას ინდოევროპული ჯგუფის ენათა ოჯახში განიხილავა). XIX საუკუნის 50-იანი წლების ცნობილი ეტრუსკოლოგები იყვნენ შეველერი და მომზენი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის XIX ს. დანიელი მეცნიერის ვ. ტომსენის შრომა, სადაც ავტორი ეტრუსკულ ენას ანათესავებს იბერიულ-კავკასიურ ენებთან.

XIX საუკუნეში ფრანგული სკოლა განსაკუთრებით დაწინაურდა არქეოლოგიურ გათხრებში. 1886 წ. არქეოლოგებმა კუზენმა და დიურბაკმა კუნძულ ლემნოსზე აღმოაჩინეს დიდი ოთხკუთხა ქვა წარწერითა და მეომრის გამოსახულებით. ამ სტელას მოგვიანებით, „ლემნოსური სტელა" ეწოდა.

კუნძულ ლემნოსზე კამნიას რაიონში აღმოჩენილი სტელა, საფლავის მემორიალურ სტელათა რიგს განეკუთვნებოდა.[1] სტელა ძვ. წ. VI ს. თარიღდება და ამჟამად ინახება ათენის ნაციონალურ მუზეუმში. სტელაზე გაკეთებული წარწერა შესრულებულია ქალკედონური ანბანით, რომელიც გავრცელებული იყო მცირე აზიის დასავლეთ რეგიონებში და კუნძულებზე. მეცნიერები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ წარწერა ეტრუსკულ ენაზეა შესრულებული.

წარწერა შეიცავს 198 ნიშანს, რომელიც საერთო ჯამში ქმნის 40 სიტყვას. სიტყვები ერთმანეთისაგან გამიჯნულია ორი წერტილით და ხანგამოშვებით, თითო ან სამი წერტილით (ვერტიკალური მიმართულებით).

აღნიშნული მეომრის სტელა მსგავსებას ავლენს ვეტულონიაში აღმოჩენილ ავლუს ფელუსკეს სტელასთან.

---

[1] Reading of the Lemnos Island Inscription, by Polat Kaya, 1997. აღნიშნული სტატიის ინტერნეტული ვერსია იხ. საიტზე მისამართით: htt//www compmore.net/~tntr/ lemstelea.html (აქვე იხ. ტექსტის ტრანსკრიპცია და ტრანსლიტერაცია).

ცნობილი ფრანგი არქეოლოგი ე. პოტე აპენინებზე იკვლევდა „ვილანოვას კულტურას“, და თვლიდა, რომ ეს კულტურა ეტრუსკებს ეკუთვნოდათ.

XIX საუკუნის იტალიური სკოლის წარმომადგენლები იკვლევდნენ ეტრუსკული კულტურისა და ენის პრობლემებს, და პარალელურად, აწარმოებდნენ ინტენსიურ არქეოლოგიურ გათხრებს. იტალიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყვნენ: პიგორინი, ჯერარდინი (ცნობილი არქეოლოგი), ბრიციო და სხვანი.

თავი VI
ეტრუსკოლოგია და XX საუკუნე

XX საუკუნე მეცნიერების ისტორიაში ხასიათდება კვლევის ახალი ხერსებისა და მეთოდოლოგიის უფრო სრულყოფილი ფორმების დანერგვით. მოხდა დარგების შიგნით ვიწრო სპეციალიზაცია, ბევრი დამხმარე დისციპლინა დამოუკიდებელ მეცნიერებად გადაიქცა.

XX საუკუნით დაიწყო ახალი ეტაპი ეტრუსკოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის, განვითარებაში. ეტრუსკოლოგია, კლასიკური ფილოლოგიისა და კლასიკური არქეოლოგიის შემადგენელი ქვედისციპლინიდან, დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა – შესაბამისად, კონკრეტულად გამოიკვეთა კვლევის მთავარი ობიექტი და დაინერგა კვლევის ახალი მეთოდოლოგია.

აღსანიშნავია, რომ ეტრუსკოლოგია, ეგვიპტოლოგიისა და ასირიოლოგიის მსგავსად, ინტეგრალურ დისციპლინად ჩამოყალიბდა, რაც გულისხმობს იმას, რომ დარგის შიგნით ისტორია, ფილოლოგია, არქეოლოგია, კულტურის ისტორია, რელიგიის ისტორია და სხვა მიმართულებები არ არის გამიჯნული. „ეტრუსკოლოგი" გულისხმობს „ფართო პროფილის სპეციალისტს", რომელიც გათვითცნობიერებულია ეტრუსკულ არქეოლოგიაში, კულტურაში, ენათმეცნიერებასა და ისტორიის საკითხებში.

ეტრუსკოლოგიის აკადემიური კვლევის ცენტრები მიმოფანტულია მთელს მსოფლიოში; ეტრუსკოლოგიის პრობლემებზე მუშაობენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები. დღეისათვის მოქმედებენ კათედრები რომსა და ფლორენციაში, დოქტურანტურები – ბოლონიაში, ურბინოში, პარიზში, ბრიუსელში, ლუვენსა და პერუჯაში. ეტრუსკოლოგიის კურსი იკითხება ნიუ-იორკის უნივერსიტეტში. რუსეთში – ვორონეჟის უნივერსიტეტში, მომზადდა და დაინერგა ისტორიის ფაკულტეტზე „ეტრუსკოლოგიის სპეციალური კურსი". ეტრუსკოლოგიის პრობლემებზე სერიოზული კვლევა წარმოებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხმელთაშუა

ზღვის ქვეყნების შემსწავლელი ლაბორატორიის ბაზაზე (შედარებით დაწვრილებით ამ საკითხზე მსჯელობა გვექნება ქვემოთ).

XX საუკუნის შუა წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეტრუსკული კულტურის პოპულარიზაციას. 1927 წლიდან იტალიაში გამოდის ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი „Studi Etruschi", ხოლო 1932 წელს დაარსდა ეტრუსკოლოგიის მთავარი ცენტრი – „Instituto di Studi Etruschi".

დღეს „ეტრუსკული კოლექციებით" ამაყობენ მრავალი მუზეუმები, მათ შორის მსოფლიოში ცნობილი პარიზის „ლუვრის" ნაციონალური მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია ეტრუსკული პლასტიკის საუკეთესო ნიმუშები, ინგლისში „ბრიტანულ მუზეუმში" – ინახება ეტრუსკული ნუმიზმატიკური მასალა, ლივერპულისა და მანჩესტერის მუზეუმები ამაყობენ ეტრუსკული ბრინჯაოს სარკეების უნიკალური კოლექციებით. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ეტრუსკული ხელოვნების ნიმუშები ძირითადად, ლარნაკების კოლექციები, ინახება პეტერბურგის „ერმიტაჟისა" და ვორონეჟის სახვითი ხელოვნების მუზეუმებში. ყველაზე მდიდარი კოლექციების ექსპონატები წარმოდგენილია იტალიის მუზეუმების დარბაზებში, ესენია: „Soprintendenta alle Antichita dell' Etruria Meidionall", „Soprinendente Archeologica della Toscana", „Museo Civico Archeologico". ბოლონიაში, „Museo Archeologico" – ფლორენციაში, ვატიკანის – „Museo Gregoriano" და რომის – „Villa Giulia"-ს მუზეუმი.

დღეს ამ დარგში მეცნიერული კვლევა გაცილებით გაიოლებულია, არსებობს ეტრუსკული კულტურის ცალკეულ სფეროში გამოცემული ფუნდამენტური შრომები, როგორიცაა:

Thesaurus Linguae Etruscae (TLE)

Lecxicon Iconographicum Mythologiae Classicae (LIMC).

Corpus Inscriptionum Etruscarum (CIE).

ძირითადი გამოცემების გარდა, არსებობს საცნობარო ლიტერატურა და ინტერნეტული გვერდები, სადაც ახალგაზრდა მეცნიერებს შეუძლიათ, მოიძიონ ამა თუ იმ კოლექციების ადგილმდებარეობა და გაეცნონ მათ მოკლე ისტორიას.

XX-XXI საუკუნეებში კვლავ გრძელდება არქეოლოგიური გათხრების წარმოება ტოსკანაში, კერძოდ, ეტრურიაში და ეტრუსკული კოლონიზაციის რაიონებში. 1956 წ. იტალიელი

არქეოლოგი ნეირო ალფიერი აწარმოებდა გათხრებს მდინარე პოს შესართავებთან, სადაც ეძებდნენ ეტრუსკული ქალაქის – სპინას ნაშთებს, რომელიც ტრადიციის მიხედვით, ლეგენდარულ გმირს დიომიდეს დაუარსებია. ძველ დროში ეს გახლდათ მდიდარი ქალაქი – ნავსაყუდელი, რომელიც ბატონობდა მთელს ადრიატიკის ზღვაზე. ტრადიციის მიხედვით, ამ ქალაქში ბერძნების ბატონობისათვის ბოლო მოუღიათ „მეზობელ ბარბაროსებს". სავარაუდოდ, ეს მეზობლები სწორედ ეტრუსკები იყვნენ, რამეთუ მომდევნო ეტაპზე სპინა უკვე ეტრუსკული ქალაქი გახდა. ეს ქალაქი შესწავლილი იქნა ვენეციის მსგავსად, ქალაქი დაქსელილი იყო მრავალი არხით, რომლებიც სწორი კუთხით კვეთდნენ ერმანეთს და ქმნიდნენ ინსულებს. 1956 წლიდან შვეიცის არქეოლოგიური ინსტიტუტი აწარმოებს გათხრებს ვიტერბოს მისადგომებთან, სადაც გაითხარა ეტრუსკული ქალაქის აკროპოლისი, გამოვლენილ იქნა ძველი გზების, სამარხებისა და საცხოვრისების ნაშთები (ამ გათხრების შესახებ იხ. Etruscan Culture, Land and People, №4, 1960).

60-იან წლებში გაითხარა ეტრუსკული პორტი პირგი, რომელიც ქ. ცერეს ნავსაყუდელი იყო. ძველი ავტორი, ვერგილიუსი თავის „ენეადაში" იხსენიებს „ძველ პირგის" – ხოლო სხვა ავტორებთან, პირგი ეტრუსკების ერთ-ერთ ციხე-ქალაქად მოიხსენიება. ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იყო ცნობილი პირგის მდიდარი ტაძარი, რომელიც ქალღმერთ ლევკოთეას სახელზე იყო აგებული. გათხრების შემდეგ, მართლაც გამოვლინდა ტაძრის ნანგრევები. ტაძარი ტუფის მაღალ საძირკველზე იყო აღმართული და იქვე იპოვეს ტერაკოტას ფრაგმენტები, სადაც ასახული იყო ათენას ბრძოლის სცენები ტიტანებთან. 1964 წელს რომის უნივერსიტეტის ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა მ. პალოტინო, აღმოაჩინა პირგში სამი ოქროს ფირფიტა. ორ მათგანზე ამოტვიფრული იყო ეტრუსკული წარწერები, მესამეზე კი, ფინიკიური. ფინიკიური ტექსტი 40 სიტყვიანი იყო, ეტრუსკული კი – 36 და 16 სიტყვიანი. ეტრუსკულ და ფინიკურ გრაგნილებს თან ერთვოდა 20-20 ბრინჯაოს ლურსმანი. ეს ორი ფირფიტა მიმაგრებული უნდა ყოფილიყო ერთმანეთის გვერდით. დიდი ეტრუსკული ტექსტი ფინიკიურს შეესატყვისებოდა. ეს ტექსტები მიძღვნითი ხასიათისაა და ქალღმერთ იუნონა-ასტარტას პატივსაცემად იყო დაწერილი. ტექსტის ავტორი იყო ვინმე ტიბერიუს ველიანუსი. იგი მადლობას უხდიდა მის მფარველ ქალღმერთს და უძღვნიდა ტაძარსა და მის მიმდებარე ტერი-

ტორიას. ეს ორენოვანი წარწერა, სწორედ ის საოცნებო ბილინგვა აღმოჩნდა, რომლის გამოჩენაზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ ენათმეცნიერები. სამწუხაროდ, ამ ბილინგვაზე დამყარებულმა იმედებმა მხოლოდ ნაწილობრივ გაამართლა მეცნიერების მოლოდინი. ტექსტი საკმაოდ მოკლე აღმოჩნდა და მრავალი საკითხი ეტრუსკულ ენასთან დაკავშირებით კვლავ „გამოცანად" დარჩა. არქეოლოგიური გათხრების ასეთი წარმატებით წარმოება გარკვეულწილად გაპირობებული იყო ახალი არქეოლოგიური მეთოდოლოგიის დანერგვით, რაც ითვალისწინებდა ძიებისა და კვლევის სრულყოფილი ფორმების გამოყენებას. არქეოლოგიაში ფართოდ ინერგება აეროფოტოგადაღება და ფოტოზონდირებით პროექტირების მეთოდი – ეს უკანასკნელი აღმოჩენა ეკუთვნის იტალიერ ინჟინერს კ. ლერიჩის.

თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ენათმეცნიერებამ. ამ სფეროშიც ჩამოყალიბდა კვლევის ახალი მეთოდები. დღეს XIX საუკუნის ენათმეცნიერების გამოცდილებასთან ერთად, მრავალ ქვეყანაში ინერგება კვლევის უახლესი მიმართულებები. აშშ-ში ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხის შესწავლაში ფართოდ ინერგება ელექტროგმომთვლელი მანქანების გამოყენება – ხდება ძველი მეთოდების სრულყოფა და კვლევის ახალი ფორმების შემოღება. მეცნიერებს გამოცდილებამ უჩვენა, რომ ტექსტების გაშიფვრაში ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა „ეტიმოლოგიური" ანუ „შედარებითი მეთოდი". შედარებით უფრო გაამართლა „კომბინირებულმა მეთოდმა", რომლის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, ეტრუსკული ენა უნდა განვიხილოთ მხოლოდ საკუთარი სტრუქტურის ფარგლებში, თავად სხვადასხვა შინაარსის ეტრუსკული ტექსტების ყოველმხრივი შედარების საფუძველზე. ცნობილი ეტრუსკოლოგი მასიმო პალოტინო ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: „კონბინირებულმა მეთოდმა საგულისხმო შედეგებამდე მიგვიყვანა, მაგრამ მთლიანობაში ის არც ისე სანდო და ზუსტი აღმოჩნდა (ეს სტატია იხ. Kunst und Kultur der Etrusker. Unter Berücksichtigung der neuesten Funde. Kat. Ausst. Wien, Mai/Sept. 1966).

უახლესი მეთოდი არის „ბილინგვური" (სხვანაირად მას „ქვაბიბილინგვურს" უწოდებენ). პირველად ეს მეთოდი გამოიყენა ცნობილმა გერმანელმა ეტრუსკოლოგმა კ. ოლცშამ აგრამული მუმიის ტექსტის წაკითხვის დროს (Olzscha K., Interpretation der

Agramer Mumienbinde. Leipzig, 1939) დღეისათვის ბევრი ეტრუსკოლოგი ფართოდ იყენებს ამ მეთოდს. მისი არსი შემდგომში მდგომარეობს: ეტრუსკული ტექსტების შესწავლისათვის იყენებენ ლათინური, უმბრიული, ოსკური და ბერძნული ტექსტების უკვე ცნობილ ვერსიებს და ანალოგიურ გამოთქმებს. ეს მეთოდი ეყრდნობა იმ თეზას, რომლის მიხედვითაც მონათესაეე კულტურათა ფარგლებში ერგვაროვანი მოვლენებისა და სიტუაციების აღსაწერად გამოიყენებოდა ანალოგიური ფორმულები ან ტერმინები. ტერმინების ურთიერთმეპირისპირებით შეიძლება ამოიკითხოს და გაიშიფროს ეტრუსკული წარწერების შინაარსი.

1970 წლიდან ენათმეცნიერებაში დაინერგა ახალი ტიპის კომბინირებული მეთოდი, რომელიც ეტრუსკოლოგიის სპეციფიკისადმი მისადაგებულ კომპლექსურ „ფილოლოგიურ მეთოდს" წარმოადგენს. მას მეორენაერად „კომპლექსურ კომბინირებულ მეთოდს" უწოდებენ. იგი სამ ფაზად ხორციელდება: 1) არქეოლოგიურ-ანტიკვარული ანალიზი, 2) ფორმალურ-სტრუქტურული ანალიზი, 3) შინაარსობრივ კონტექსტური ანალიზი; აღნიშნული მეთოდების გამოყენებამ, მნიშვნელოვნად დააწინაურა ეტრუსკული ენის კვლევის საკითხები, მაგრამ „პრობლემა" ბოლომდე არ არის ამოწურული, რჩება ბევრი კითხვა, მათ შორის ეტრუსკული ენობრივი კუთვნილების საკითხისა. მეცნიერებს დღემდე აბრთასხვაობა აქვთ ამ საკითხის ირგვლივ.

ეტრუსკული ენათმეცნიერების ერთ-ერთი სერიოზული ცენტრი იყო XX საუკუნის დასაწყისში ეტრუსკოლოგიის იტალიური სკოლა. 1909 წელს გამოდის ა. ტრომბეტის ნაშრომი ("Sulle parentela della lingua Etrusca. Memacc", Seinze. di Bologna, 1909), სადაც ავტორი ეტრუსკულ ენას აცხადებს, როგორც კავკასიური ენების ასევე, ინდოევროპული ენების მონათესა

ეტრუსკულ ენას ძველ წინაინდოევროპულ „ტირინეულ-სიკანურ“ ძირებს მიაკუთვნებდა ("La originaria unita tirrera dell' Italia nella toponomastica" RI. YI 4. 1920,83).

საინტერესო გამოკვლევები ეტრუსკული ენის პრობლემების გარშემო აქვს მ. დურანტეს. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში საკმაოდ კომპეტენტური ნაშრომი გამოსცა ("Onsiderartioni intornoal problema della classificazione dell'Etrusco" Prate prima studi me edego Anatol 7. Roma, 1968.). მისი აზრით, ჩვენს ხელთ არსებული მასალის თვისობრივი შეზღუდულობა არ იძლევა საშუალებას მოვუძებნოთ გადაჭრით ეტრუსკულ ენას გენეოლოგიური საწყისები. იგი არ უარყოფს ინდოევროპულთან გარკვეულ მსგავსებებს, განსაკუთრებით ეს მსგავსებები მძაფრად იჩენს თავს ნაცვალსახელთა სისტემაში.

იტალიური სკოლის წამომადგენელი, ს. ფერი ეტრუსკულ ენას უკავშირებს კავკასიურ ენათა ჯგუფს. იგი იკვლევდა ეტრუსკულ დასახლებათა ეთნონიმებს. ისტორიულ დრომდე ამ პუნქტებს ორი სახელი შემორჩათ ერთი უძველესი, მეორე შედარებით ახალი. ძველ სახელებს ს. ფერიმ პარალელები კავკასიაში მოუნახა, იგი ამ მსგავსებებს მიაწერდა იმ მიგრაციებს, რომელიც კავკასიიდან მიმართული იყო ცენტრალური იტალიაში (S. Ferri, Citte' etrusche con due nomi Lincei – Rendiconti morali, 1954 Serie XIII vol IX. fase 56 – 245, S. Ferri, Opuscula, Firenze, 1962 181, 4 – 97).

XX საუკუნის 50 – წლებიდან იტალიური სკოლის წარმატებები აღსანიშნავია ეტრუსკოლოგიის კვლევის სხვადასხვა სფეროში. ამ მეცნიერთა შორის, ალბათ, უწინარეს ყოვლის უნდა მოვიხსენიოთ მ. პალოტინო – მრავალმხრივი მეცნიერი და მკვლევარი. გათხრებს, რომლებიც მიმიდინარეობდა პირგის რაიონში, ხელმძღვანელობდა მ. პალოტინო. სწორედ აქ აღმოჩენილი ძეგლების განხილვას ეხება მისი ერთ-ერთი კვლევა (Unaltra laminetta di bronzo con iscrizione etrusca, recuperate dal materiale di Pyrgi – ACI, 1967). მ. პალოტინოს ყველაზე დიდი და მრავალმხრივი ნაშრომი ეტრუსკებზე შესახებ ხუთჯერ გამოიცა შესწორებული ვარიანტით, მილანში. "Etruscologia"-ში ავტორი ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორც არის ენის, კულტურის, სოციალური ყოფის და რელიგიის პრობლემები. ამ შრომას თან ერთვის ეტრუსკული სიტყვების გამნარტებითი ლექსიკონი. მაშინ,

როდესაც საუბარი გვაქვს ეტრუსკოლოგიის იტალიურ სკოლის წარმომადგენლების შესახებ, შეუძლებელია, არ გავიხსენოთ ისეთი მეცნიერი – კორიფეები, როგორიც იყვნენ აწგარდაცვლილნი ქალბატონი ლუიზა ბანტი და ა. ნეპი მადონა.

მრავალმხრივი შრომების ავტორია ლარისა ბონფანტეც. ეს მეცნიერი იკვლევს ეტრუსკების სოციალურ ცხოვრებას, მათ ენასა და ისტორიის რთულ, იდუმალებით მოცულ პერიოდებს. (იხ. მისი შრომებია – Etruscan Dress, Baltemore London, 1975; Out of Etruria, 1981; Etruscan Influence North and South, Bar International Series, 103. 1987; Roman Trumphs and Etruscan Kings, J.R. S. 60, 1970). ლარისა ბონფანტე ქალიშვილია ცნობილი იტალიელი ლინგვისტის ჯულიანო ბონფანტესი. მამასთან ერთად გამოსცა ერთობლივი ნაშრომი ეტრუსკულ ენათმეცნიერების საკითხებზე – „Lingua e cultura degli Etruschi" (1985). პერუჯის უნივერსიტეტში მოღვაწეობს ავსტრიელი ეტრუსკოლოგი ა.ჯ. პფიფფიგი. იგი ავტორია სხვადასხვა საინტერესო გამოკვლევებისა: ეტრუსკულ ენაში, რელიგიაში, ისტორიაში და სხვა (114; 113).

ფრანგული სკოლის წარმომადგენლებს დღეს დიდი შესაძლებლობა ეძლევათ, კვლევა-ძიება წარმართონ ექსპონატებზე მსოფლიოს ისეთ უნიკალური კოლექციების მქონე მუზეუმში, როგორიც პარიზის ლუვრის – ნაციონალური მუზეუმია.

მარია ფრანკოს ბრიგიტი იკვლევს, ლუვრის კოლექციებზე დაყრდნობით, ეტრუსკული პლასტიკის ნიმუშებს. მას გამოცემული აქვს საინტერესო შრომები ეტრუსკული ურნების, სკულპტურის და სახეითი ხელოვნების თემატიკაზე (99).

ეტრუსკოლოგია, როგორც მეცნიერების დარგი პოპულარულია საქართველოშიც.

ეტრუსკოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობს ქ. თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი რ. გორდეზიანი – (მისი მოწაფეები ე. ავალიანი, ე. კობახიძე).

1969 და 1970 წლებში გამოდის რ. გორდეზიანის შრომები, სადაც ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქართველურ-ეგეოსურ და ქართველურ-ეტრუსკულ ენობრივ პარალელებზე. ავტორი ამ შრომებში თავს იკავებს რაიმე კონკრეტული დასკვნებისაგან. 1975 წ. გამოდის პროფესორ რ. გორდეზიანის მორიგი ნაშრომი – „Кавказ и проблемы древнейших средиземноморских языковых и

культурных взаимоотношений" – სადაც ავტორი ქართველურ-ეტრუსკულ ენობრივ პარალელებს უკვე უკავშირებს ხალხთა მიგრაციებს ნეოლითსა და ბრინჯაოს ხანაში. მისი აზრით, განსაკუთრებით ძლიერი ტალღა დაიძრა კავკასიიდან ადრებრინჯაოს ხანის დასაწყისში ეგეიდაში და დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში. 1980 წელს გამოდის „ეტრუსკული და ქართველური", – ძალზედ საინტერესოდ გააზრებული კვლევა, სადაც ავტორი ისტორიულ-არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით, განიხილავს ნეოლითსა და ბრინჯაოს ხანაში უძველეს კავკასიურ-მედიტერანულ ურთიერთობებს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შრომაში წარმოდგენილია ძალზე დამაჯერებლად ეტრუსკულ-ქართველური ენობრივი შეხვედრები.

ეტრუსკული ხელოვნების საკითხების შესახებ რუსეთში გამოცემულია საინტერესო წიგნები, სადაც გაშუქებულია ეტრუსკული ფერწერისა და პლასტიკის სხვადასხვა პერიოდის ნიმუშები (А. Чубова, А. Иванова «Античная живопись» М., 1966; Чубова А. «Этрусское искусство» М., 1972; Соколов Г. «Искусство Этрурии» М., 1990).

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში ეტრუსკების მიმათ ინტერესი არ განელებულა. ეტრუსკოლოგიის მნიშვნელოვანი ცენტრებია: კანადაში (ალბერტას უნივერსიტეტი, ისტორიისა და კლასიკური სამყაროს დეპარტამენტი), გერმანიაში (ტუბინგემის ეტრუსკოლოგიის ცენტრი, TSE), იტალიაში (მრავალი უნივერსიტეტი, მათ შორის პიზას უნივერსიტეტი, არქეოლოგიის დეპარტამენტი, სპეცკურსი „ეტრუსკოლოგია და არქეოლოგია) და აგრეთვე, დიდ ბრიტანეთში. ეტრუსკოლოგია, როგორც დისციპლინა, ისწავლება ამ სამეცნიერო-სასწავლო ცენტრებში.[1]

საერთაშორისო გამოფენები და ჩვენებები ეწყობა ევროპის დიდ მუზეუმებში. ამ გამოფენებს შორის აღსანიშნავია 2004 წელს ედინბურგის სამეფო მუზეუმის გამოფენა. ამ კოლექციაში წარმოდგენილი იყო 500-მდე ეტრუსკული არტეფაქტი, რომლებიც მანამდე არ ეხილა დიდი ბრიტანეთის (გაერთიანებული სამეფო) მოსახლეობას.

---

[1] იხ. ინტერნეტული ვერსიები მისამართზე: http://www.open.ac.uk/arts/etrweb/university.thm

თავი VII
მედიტერანისტიკის თანამედროვე მეთოდები და პროგრესი ეტრუსკოლოგიაში

ეტრუსკოლოგიის განვითარების უძველესი პერიოდიდან მისი თანამედროვე მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბების მომენტამდე, ამ დარგში არსებული საკვლევი საკითხები ერთ ძირითად პრობლემასთან იყრიდა თავს. ეს პრობლემა გახლავთ ეტრუსკების წარმომავლობა და შესაბამისად, მათი ენობრივი კუთვნილების დადგენის საკითხი.

ამჯერად, ჩვენ არ დავუბრუნდებით ამ პრობლემის ისტორიას, მოკლედ შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, როდესაც ეტრუსკები კელავ აქტიურად ფიგურირებდნენ ძველი სამყაროს პოლიტიკურ და კულტურულ ავანსცენაზე, ამ ეთნოსის წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა იყო თვით მათი თანამედროვე ისტორიკოსების შორის. ნაწილი მათ ავტოქთონებად მიიჩნევდა, ნაწილი კი, მცირე აზიიდან მიგრირებულ მოსახლეობად თვლიდა.

თანამედროვე მეცნიერების ბოლო აღმოჩენები ერთხმად მიუთითებენ ეტრუსკული კულტურის ჰომოგენურ ხასიათზე: სხვადასხვა პლასტების არსებობა ამ კულტურის წიაღში მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ ამ კულტურის შიგნით არსებული პლასტები ტოლფასად უნდა იქნეს შესწავლილი, რამეთუ სწორედ მათი შერწყმის შედეგად მიმდინარეობდა ეტრუსკული ცივილიზაციის ფორმირების ხანგრძლივი პროცესი.

ვფიქრობთ, ეტრუსკების „წარმომავლობის საიდუმლოებას" ფარდა აეხდება, როდესაც ძირეულად იქნება შესწავლილი ძველი სამყაროს ცივილიზაციები, ეისთანაც აქტიური შეხების წერტილი ჰქონდათ პროტოეტრუსკებს, რადგანაც ისინი თავად ამ სამყაროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდნენ.

დღეს მეცნიერები აღარ დავობენ იმ ფაქტზე, რომ „მთელი" ეტრუსკული მოსახლეობის მიგრაცია არ არის რეალური, მაგრამ

ასეევ უმართებულო იქნება ეტრუსკული „ფენომენის“ ფორმირებაში მრავალრიცხოვანი ეთნიკური, თუ კულტურული გაელენის გამორიცხვაც. ამ საკითხთან დაკავშირებით გვსურს მოვიყვანოთ ცნობილი ეტრუსკოლოგის პფიფფიგის ლაკონური გამოთქმა:

„ეტრუსკები არსაიდან არ მოსულან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ავტოქთონები, ტოსკანის უძველესი მკვიდრი მოსახლეობაა, ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც აზრი იმის შესახებ, რომ ფრანგები არსაიდან არ მოსულან, თუმცა ავტოქთონებად მათი მიჩნევა შეუძლებელია“ (114; 7). აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემის გარშემო აუცილებელია რიგი საკამათო საკითხების დაზუსტება: 1) თუ რამდენად ჰომოგენურია ეტრუსკული ფენომენი და უშუალოდ რომელი პლასტები გამოიყოფა ამ კულტურის ერთიანობის შიგნით 2) თავის მხრივ, როგორია ამ პლასტების გენეტიკური ფესვები, რომელ სამყაროსა და ცივილიზაციებს მიეკუთვნებიან ისინი და ბოლოს, 3) ეთნოგენეზისის საკითხთან მჭიდრო კავშირში იმყოფება ენის, მისი წარმომაელობისა და სხვა ენობრივ ჯგუფებთან მიმართების საკითხი; როგორია ეტრუსკული ენის ბუნება, რომელი პლასტები შეიმჩნევა მის წიაღში და რა მიმართებაში არიან ისინი ინდოევროპულ და წინაინდოევროპულ სუბსტრატულ ენებთან? ჩვენს წინაშე დასმული პრობლემები და მათთან მიმართებაში მყოფი საკითხები მოითხოვენ ძველი სამყაროს, კერძოდ, მცირე აზია – ეგეოსის და კავკასიის ცივილიზაციების ზედმიწევნით განხილვას, რაც გულისხმობს არქეოლოგიურ-ენობრივი მასალების შეფარდებას, ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენას, აგრეთვე, საკუთრივ იტალიისა და ეტრურიის არქეოლოგიური მონაცემების ანალიზს. მხოლოდ ამ მონაცემთა საფუძველზე გვექნება შესაძლებლობა, გავარკვიოთ კულტურებისა და ეთნიკური ელემენტების თანაფარდობის საკითხი, რომელთა უშუალო ზემოქმედების პროცესში მოხდა ეტრუსკული კულტურული ფენომენის ფორმირება. მედიტერანული სამყარო (მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი) – ეს თვალუწვდენელი არეალი იყო აკვანი უძველესი ცივილიზაციებისა; აქ ძვ.წ. IV ათასწლეულიდან მოყოლებული, ხანგრძლივი დროის განმაელობაში, განვითარდნენ უნიკალური ცივილიზაციები, რომლებმაც შემდგომში ბიძგი მისცეს უკვე სხვა კულტურების აღმოცენებას.

არქეოლოგიური თვალსაზრისით, მედიტერანული ერთიანობის მომხრეთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჯ. მე-

ლაარტის გათხრებს ანატოლიაში 50-იან წლებში, რის შედეგადაც გამოვლინდა მაღალგანვითარებული ნეოლითური კულტურა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიიდან გავრცელდა ეგეიდაში, კიკლადებზე, აპენინებიდან – ესპანეთამდე. ჩრდილოეთით კი, ამ კულტურის იმპულსები შეიმჩნეოდა კავკასიაშიც.

კულტურული ტრადიციების თვალსაზრისით, ანატოლიას ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომლის ფესვები ძვ.წ. VII ათასწლეულზე მოდის. მელაარტის მიერ გათხრილი ჩათალ-ჰუიუქის დასახლების ადრეული არქეოლოგიური ფენა, ადრეული ხანის მიწათმოქმედთა დასახლებაზე მიუთითებს (ძვ.წ. VII ათასწლეულით თარიღდება).

ძვ.წ. VII ათასწლეულის მეორე ნახევრიდან VI ათასწლეულის პირველ ნახევრამდე, მცირე აზიაში გაითხარა 22 ნამოსახლარი (12 ჰექტარ ფართობზე). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი გახლდათ ჩათალ-ჰუიუქში. აღმოჩენილია ტკეპნილი თიხით ნაგები საცხოვრებელი სახლები, მცირე ზომის საცხოვრებელი სახლების მსგავსი ნაგებობები, ალბათ, საკულტო ნაგებობები, მოხატული და თიხის რელიეფით დამშვენებული საკურთხეველები. აქვე მეცნიერებმა მიაკვლიეს ადრეული ხანის პლასტიკის ნიმუშებს, კერძოდ, ქალის ქანდაკებებს, მკვეთრად აქცენტირებული გენიტალიებით. ამ სკულპტურებს ნაყოფიერების კულტთან ჰქონდათ კავშირი. ქალები ხშირად ცხოველებთან ერთად არიან გამოხატულნი, ავაზა განსაკუთრებით ფიგურირებს აქ აღმოჩენილ პლასტიკის ნიმუშებში. ერთ-ერთ სკულპტურაზე მშობიარე ქალია გამოსახული. გვხვდება აგრეთვე ხარის კულტის ნაშთები (მოგვიანებით, ხარის კულტმა თავი იჩინა კავკასიაში, კრეტაზე – მინოსური კულტურის პერიოდში და ესპანეთში). ჩათალ-ჰუიუქის საკურთხეველებზე დიდი რაოდენობით გვხვდება შეწირული ხარის თავები, რქები. მცირე აზიის მიწათმოქმედი ტომები ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში სახლდებიან მახლობელი აღმოსავლეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე. ძვ.წ. V-IV ათასწლეულში მცირე აზია ეთნიკური თვალსაზრისით ჭრელი რეგიონი იყო. არქეოლოგებმა აქ აღმოაჩინეს სამი რეგიონალური კულტურა შესაბამისი ცენტრებით: ჰაჩილარი, მერსინი და ბეიჩსულთანი.

ძვ.წ. IV-III ათასწლეულით თარიღდება ჰაჯილარის კულტურა. ამ დასახლებას გარშემორტყმული ჰქონდა სამი მეტრის სისქის თიხის და ქვის ზღუდე, სამარხებში ჩნდება ჩატანებული იარაღები,

ხოლო თვით სამარსები კი, გათხრილია საცხოვრებელი სახლების იატაკქვეშ. დიდი რაოდენობით არის გამოვლენილი ქალისა და სარის საკულტო ქანდაკებები. ძვ.წ. III-II ათასწლეულებში სამარხებში უკვე ჩნდება ბრინჯაოს, ოქროს, ვერცხლის ნაკეთობანი. ხელოსნები ამ სამკაულების შესაქმნელად იყენებენ ნატიფ მეთოდს – ოქროთი ფილიგრინების ტექნიკას.

ნეოლითის ბოლოსა და ენეოლითის დასაწყისში მცირე აზიაში გარკვეულ ისტორიულ მოვლენებთან უნდა გვქონდეს საქმე; ამ პერიოდში კულტურული აღმავლობა თვალშისაცემად შეფერხდა; მკვლევარები თვლიან, რომ ადგილი ჰქონდა დიდ მიგრაციებს, ანატოლიურ ან ხეთურ-ლუვიური ინდოევროპული ტომების გადმონაცვლებას, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიური მიგრაციები, რაც გახდა მიზეზი ეგეიდაში ნეოლითისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ადრებრინჯაოს კულტურის განვითარების.

ძვ.წ. III ათასწლეულის I ნახევარში იწყებს განვითარებას ბრინჯაოს ხანის კულტურები: – ტროადაში და მცირე აზიაში – 2600/2200 წწ., კრეტაზე ადრემინოსური 2600 წ. და კიკლადებზე 2600/2200 წ.წ., უფრო მოგვიანებით კი, კონტინენტურ საბერძნეთში (მიმოხილვისათვის: რ. გორდეზიანი, ეგეოსური კულტურა ბრინჯაოს სანაში, „მიმომხილველი", 1968 წ. (4-5); აგრეთვე, დაწვრილებით ის. რ. გორდეზიანის შრომები: „წინაბერძნული და ქართველური", „ილიადა" და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიის და ეთნოგენეზის საკითხები").

ანატოლიური მიგრაციების კვალი შეიმჩნევა იტალიაშიც. პიტიონის მიხედვით (115; 157) იტალიაში განვითარებას იწყებს „გვიანკერამიკული პერიოდის კულტურა" (2700/2600-1800/1700), სადაც გვხვდება სპილენძის გამოყენების პირველი ცდები. იმხანად, არნოსა და ტიბრის აუზში ვრცელდება „რინალდონეს კულტურა" (114; 35). ამ კულტურის მატარებელი ხალხი ჩანს, იწყებს ტოსკანაში არსებული მინერალური რესურსების აქტიურ ათვისებას, ჩნდება სპილენძის ხანჯლები, ცულები, სადგისები; საგულისხმოა, რომ სწორედ ეს კულტურები კავშირში იმყოფებიან იმ მიგრაციებთან, რომლებიც აღმოსავლეთიდან ხორციელდებოდა და მოიტანეს თან სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის ნეოლითური კულტურის ტრადიციები (Jarmo, Jericho, Catal Huyuk). გარკვეული ცვლილებები ხდება ესპანეთშიც. ამ რეგიონში მოსახლეობა იწყებს

სპილენძის აქტიურ გადამუშავებას. ცნობილია, რომ იბერების ნახევარკუნძული მდიდარი იყო სპილენძის, ოქროს, ვერცხლის, კალის მადნებით. არ არის გამორიცხული, რომ ეგეიდისა და კიკლადების მოსახლეობის ნაწილი, სწორედ იბერიის ნახევარკუნძულზე დასახლდა და დაიწყო ადგილობრივი საბადოების აქტიური ათვისება (97; 50). ამ პერიოდისათვის სმელთაშუა ზღვის აუზში შეიქმნა გარკვეული კულტურული ერთიანობა, აღმოცენდა სხვადასხვა კულტურები, რომლებსაც აერთიანებდათ საერთო ნიშნები, რაც გამოიხატებოდა შემდეგ პარამეტრებში: – დედა ქალღმერთის კულტი, ხარის კულტი, საერთო სიმბოლიკა, არქიტექტურის (თავდაცვითი და საცხოვრებელი ნაგებობები) საერთო ფორმები და მეტალის დამუშავების ერთგვაროვანი ტექნოლოგია. სავარაუდოა, რომ ამავე წყაროამდე ადიოდა ხმელთაშუა ზღვის ენათა ზოგიერთი თავისებურებანიც. სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიურ კულტურებთან გარკვეული მიმართებები ჰქონდა კავკასიასაც; ძვ.წ. IV-III ათასწლეულის მიჯნაზე ამიერკავკასიაში განვითარებას იწყებს მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელსაც თუმცა აქვს მსგავსება წინამავალ ენეოლითურ კულტურასთან, მაგრამ ამავე დროს, არსებითად განსხვავდება მისგან. პირველ რიგში კი, ეს ეხება კერამიკასა და ნაგებობების სტილში არსებულ განსხვავებას. (34; 21).

სავარაუდოა, რომ შემოდის გარკვეული კულტურული ელემენტი, რომელიც ერწყმის ადგილობრივ ენეოლითურ ტრადიციებს, განიცდის ტრანსფორმაციასა და გვაძლევს სრულიად ახალ ფენომენს (34; 21). თავისი კერამიკით მტკვარ-არაქსის კულტურა მსგავსებას იჩენს წინა აზიის ენეოლითურ კულტურასთან. მტკვარ-არაქსის კულტურა დასავლეთ ანატოლიურსა და ეგეოსურ სამყაროსთან გვიჩვენებს საყურადღებო კავშირებსაც, განსაკუთრებით არქიტექტურულ ფორმებში (34; 22).

რ. გორდეზიანის აზრით: – „ბრინჯაოს ხანის დასაწყისი მტკვარ-არაქსის ორმდინარეთში აღინიშნა კულტურული ერთიანობით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისევე, როგორც ანატოლიასა და ეგეიდაში, ამიერკავკასიაში ბრინჯაოს ხანის დაწყებამ გამოიწვია გარკვეული კოინეს შექმნა" (34; 22).

იმხანად, ეგეიდასა და ანატოლიაში არსებობენ ავტოქთონური ნეოლითური და ენეოლითური კულტურები, რომლებიც დასაბამს იღებენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიური კულტურებიდან.

არქეოლოგიური პარალელების გარდა, ჩვენ მოგვეპოვება სხვა მნიშვნელოვანი მასალა, რაც მიგვანიშნებს მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირების პროცესში, მედიტერანული ეთნიკური ელემენტის მნიშვნელოვან მონაწილეობაზე. ენეოლითში ამიერკავკასიაში შეგვიძლია დავუშვათ ორი ენობრივი ჯგუფის არსებობა – დასავლეთ კავკასიური და აღმოსავლეთ კავკასიური, ამ ორი ჯგუფის საფუძველზე ჩამოყალიბდა იბერიულ-კავკასიურ ენათა დიდი ჯგუფი (აფხაზურ-ადიღეური, ქართველური, ნახურ-დაღესტნური) (34; 22). „ქართველური ჯგუფის ჩამოყალიბება, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, მიმდინარეობდა რომელიღაც იმ ენის გავლენის საფუძველზე, რომელსაც კავკასიურისაგან განსხვავებული სტრუქტურა ჰქონდა“ (34; 22). როგორც გამოკვლეულია, ქართველურ ენებს გარკვეული სიახლოვე ჰქონდათ მეზობელი ხალხების ენებთან: აღმოსავლეთ კავკასიურ, აფხაზურ-ადიღეურ, ნახურ-დაღესტნურ, ურარტულ-ხურიტულ ენებთან (34; 22).

ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვევისათვის, თვალი გადავაველოთ ამიერკავკასიაში ძვ.წ. III ათასწლეულის დამდეგს ქართველური ტომების და მათი მეზობლების გავრცელების გეოგრაფიულ არეალს:

ა) დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში და ჩრ. დასავლეთ კავკასიაში იმხანად განსახლებულნი უნდა ყოფილიყვნენ აფხაზურ-ადიღეურ ენაზე მოლაპარაკე ტომები. მათ კულტურას არავითარი კავშირი არ ჰქონდა მტკვარ-არაქსის კულტურასთან.

ბ) ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია ნახურ-დაღესტნური ტომებით იყო დასახლებული, სადაც გავრცელებული იყო მტკვარ-არაქსის კულტურა, ნახურ-ხურიტულ-ურარტული ენობრივი პარალელები მიგვითითებენ ამ ხალხებს შორის გარკვეულ ურთიერთობებზე.

გ) სამხრეთ ამიერკავკასია, მესხეთ-ჯავახეთი, შიდა ქართლი ქართული ტომებით უნდა ყოფილიყო დასახლებული. ეს რეგიონი მტკვარ-არაქსის გავრცელების ერთ-ერთი ცენტრალური არეალია.

დ) მდინარე ჰალისის აუზში მოსახლეობდნენ ხათები.

ე) მდ. ევფრატსა და ტიგროსს შორის მდებარე რაიონებში ცხოვრობდნენ ხურიტები, ეს ტომები აქტიურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ანატოლიურ-ეგეოსურ სამყაროსთან. თუკი თვალს გადავავლებთ კავკასიურ ენებს, ვნახავთ, რომ კავკასიის სამხრეთ რე-

გიონებში გავრცელებული ენები, ხურიტულ-ურარტული, ქართველური, რამდენადმე სათურიც, ყველაზე მეტად გვიჩვენებს გადახრას საერთოკავკასიური ტიპიდან. ეს ენები უფრო ახლოს დგანან ე. წ. მედიტერანულ ენობრივ ტიპთან, ისინი მეტ მიდრეკილებას ამჟღავნებენ კავკასიური კონსონანტიზმის გამარტივებისაკენ. პრეფიქსული წყობის გვერდით, სუფიქსურის განვითარებისაკენ და ა. შ. „ეს მოვლენა იმით შეიძლება ავხსნათ, რომ კავკასიური ენების დიფერენციაციის პროცესში სწორედ სამხრეთულმა მიგრაციებმა ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი" – აღნიშნავს პროფესორი რ. გორდეზიანი (34; 26). ამ ექსკურსის შემდეგ დავუბრუნდეთ ანატოლიურ კულტურებს; შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოს და III ათასწლეულის დასაწყისში, ხმელთაშუა ზღვის აუზში ნეოლითსა და ენეოლითში წამყვანი კომპონენტი გახლდათ სამხრეთ-აღმოსავლეთ-ანატოლიური, სწორედ მისგან მომდინარე იმპულსთა ინტენსიურობის შედეგად, შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ადრებრინჯაოს ხანის კულტურებზე გადასვლა ხმელთაშუა ზღვის უდიდეს ნაწილში, აღინიშნება კულტურული და ენობრივი ერთიანობისაკენ მიდრეკილებით.

ცნობილი მკვლევარი ფ. შახერმეიერი თვლის, რომ აღნიშნულ რეგიონში, აღნიშნულ ეტაპზე გავრცელებული იყო ამ ხალხთა არაინდოევროპული ენა (ან შესაძლოა მონათესავე ენებიც). ამ ენას მკვლევარი პირობითად „ეგეოსურს" – უწოდებს. მისი აზრით, ეგეოსური იბერიულ-კავკასიურ ენებს ენათესავებოდა. ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულს, თითქმის მთელი მცირე აზია, ბალკანეთის ნახევარკუნძული, ეგეოსის ზღვის კუნძულები ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხით იყო დასახლებული.[1]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება მედიტერანულ-წინაბერძნული ენებისა მდგომარეობს ფონეტიკური მოვლენების სისტემაში, კერძოდ, სპეციფიკურია ბგერათმონაცვლეობის ტიპი (34; 31). ცნობილმა მეცნიერმა, ფურნემ დეტალურად შეისწავლა თანხმოვნებისა და ხმოვნების მონაცვლეობის ტიპები წინაბერძნულში. დაახლოვებით 5000-მდე ლექსიკური ერთეულის შეპირისპირების საფუძველზე, იგი მივიდა დასკვნამდე, რომ წინაბერძნულისათვის, ისევე როგორც მრავალი მედიტერანული ენისათვის, დამახ-

---

[1] მკვლევარს თავისი თვალსაზრისი თანამიმდევრულად აქვს ჩამოყალიბებული ნაშრომებში: F. Schachermeyr "Prähistorische Kulturen Griechenlands, RE. 44 H1 bbd. 1954; Die ältesten Kulturen Griechenlands". Stuttgart, 1955

ასიათებელი ყოფილა ბგერათა მონაცვლეობის სრულიად თავისებური სისტემა, რომელსაც საფუძვლად ედო ე. წ. „ექსპრესიული მონაცვლეობა", ან „არაექსპრესიული ტენდენციები" (არტიკულაციის გადაადგილება, ევფონიური მომენტი და სხვა). ფურნე თავის ნაშრომში მიუთითებს რამდენიმე მსგავს მოვლენებზე ქართულსა და საერთოდ ქართველურ ენებში (102; 104).

როდესაც საუბარი გვაქვს ხმელთაშუა ზღვის ენებისათვის დამახასიათებელ უძველს ნიშნებზე, მხედველობაში გვაქვს ის მსგავსი მოვლენები, რომლებიც ნიშანდობლივი იყო ხმელთაშუა ზღვის ენებისათვის ძვ.წ. II ათასწლეულამდე დიდი ხნით ადრე, რამაც არეკლა პოვეს შუმერულში, ანატოლიურ ენებში, მთელს ეგეოსურ სამყაროში, დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის ჩათვლით. „იმ შემთხვევაში თუკი აღმოჩნდება, რომ ასეთიეე მოვლენები დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის და, რომ სწორედ ამით განსხვავდებიან ისინი სავარაუდო პროტოკავკასიური ტიპებისაგან, მაშინ თვალსაზრისს მედიტერანული მიგრაციების მნიშვნელობაზე ქართველური ენების ფორმირების პროცესში, სრულიად რეალური ღირსება მიენიჭებათ" – თვლის რ. გორდეზიანი (34; 26). ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო დასკვნების გაკეთება მხოლოდ ახალი მნიშვნელოვანი აღმოჩენების შედეგად იქნება შესაძლებელი.

ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოს და II ათასწლეულში მცირე აზია ეთნიკური სიჭრელით გამოირჩეოდა. მცირე აზიაში, ადგილობრივი ანატოლიური კულტურების ნამოსახლარზე, წარმოიქმნება ახალი სახელმწიფოები. ეგეოსის ზღვის კუნძულებზე წინაინდოევროპული მოსახლეობა (ეგულისხმობთ კრეტის უძველეს მოსახლეობას – ეტეოკრეტელებს, პელასგებს, კიდონებს) განიცდის ბერძნული ტომების, აქაელების შემოსევებს. კაცობრიობის ისტორიაში ეს ხანა ახალი სახელმწიფოების წარმოშობისა და ძველი კულტურების დაღუპვის, კატასტროფებისა და ახალი ეთნიკური ჯგუფების მიგრაციების პერიოდია. ერთი შეხედვით, მოვლენები სწრაფად ვითარდება: ძველი კულტურები ახალ პოლიტიკურ ერთეულებს უთმობენ ადგილს. ხათების უძველესმა წინაინდოევროპულმა კულტურამ ადგილი დაუთმო ხეთების ძლიერ იმპერიას (ძვ.წ. 1650-1500 წწ.), ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს ხურიტულმა ტომებმა, რომლებიც იმხანად მცირე აზიაში ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს ქმნიდნენ, დააარსეს თავიანთი სახელმწიფო – მითანი

(რომელთანაც კავშირში იმყოფებოდა ძვ.წ. I ათასწლეულიდან ურარტუ). იმხანად, ერთ-ერთ გავლენიან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა ეგვიპტის სახელმწიფო. ჩვენთვის საინტერესო რეგიონში, კერძოდ, მცირე აზიაში, ეგეიდასა და იტალიაში ფიგურირებს პელასგური ეთნიკური ელემენტიც.

მართალია, ამ ეთნიკურ ელემენტს არ შეუქმნია რაიმე პოლიტიკური – სახელმწიფოებრივი ერთეული, მაგრამ ამ პერიოდის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ეს ხალხი აქტიურად მონაწილეობდა.

წერილობითი წყაროები ერთხმად მიგვანიშნებენ, რომ პელასგები ძველი სამყაროს ერთ-ერთი უძველესი წარმოშობის ხალხია. პირველად პელასგებს (როგორც ზემოთ გექონდა აღნიშნული) მოიხსენიებს ჰომეროსი თავის „ილიადაში", ე. წ. „ხომალდთა კატალოგიის" იმ პასაჟებში, სადაც ჩამოთვლილია ტროას მოკავშირეები. ჰომეროსის მიხედვით, „პელასგური არგოსი", რომელიც აღმნიშვნელი იყო თესალიისა, შედიოდა აქილევსის საბრძანებლოში (ჰომ. II.II.861). „ილიადას" ერთ ეპოზოდში აქილევსი მიმართავს დოდონას „პელაზგურ ზევსს" (ჰომ. II.XVI – 233-235). ჰომეროსის აზრით, პელასგური ქალაქია აგრეთვე ლარისა (ჰომ. II.II. 840). პელასგური ლარისა, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ტროას მახლობლად ამავე სახელწოდების დასახლებულ პუნქტს შეესაბამებოდა (108; 337). უძველესი პელასგები მოსახლეობდნენ თურმე კრეტაზე ეტეოკრეტელებთან, კიდონელებთან, აქაელებთან და დორიელებთან ერთად (ოდისეა, XIX 177). პელასგები დასახლებულნი იყვნენ მცირე აზიაშიც, ისინი ტროას მოკავშირენი იყვნენ (ჰომ. II.X 429). ძველი ავტორების მიხედვით, პელასგები მოსახლეობდნენ: არკადიაში, თესალიაში, კრეტზე, იტალიაში ქ. კრესტონში (Hesiod. Frg. 43-44; Hec. Frg. 112; ჰეროდ. I 57, VIII 7,3, 14; Paus. V. I.1).

ანტიკური ავტორების გარდა, პელასგების შესახებ ცნობები დაცულია ძვ.წ. XIII-XII სს. ხეთურ-ეგვიპტურ წყაროებში. ხეთური წერილობითი წყაროების მიხედვით, ირკვევა, რომ მცირე აზიისა და სამხრეთ-დასავლეთი სანაპიროების ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალი ტომი უსსოვარი დროიდან მტრულ დამოკიდებულებაში ყოფილა ხეთებთან. იმპერიას დიდ ძალისხმევა სჭირდებოდა, რათა დაექვემდებარებინა და მორჩილებაში ჰყოლოდა ვასალური ქვეყნები. კადეშის ბრძოლამდე (ძვ.წ. XIII ს.) ეს ვასალური სახელმწი-

ფოები გარკვეულწილად ექვემდებარებოდნენ ხეთებს, მოგვიანებით კი, არძავა და ლუკას ქვეყნები მას განუდგნენ (104; 103). ამ ქვეყნებმა მეფე ტუდჰალია IV-ის დროს შექმნეს ძლიერი კოალიცია, ვისთანაც ხეთების მეფეს მოუხდა საომარი შეტაკება. ხეთურ ტექსტში მოხსენიებულია 22 ქვეყანა: Ugga, Kispuwa, Dura, Kakakisa, Halluwa, Parista, Dunda, Adadura, Waa, Wariya, Kuruppiya, Lusa, Altara, Parurina (მთის ქვეყანა) Pasuhalta, Wilusiya და სხვა. ზემოჩამოთვლილი ქვეყნების სათავეში მდგარა „Aššuwa". მეცნიერებაში არაერთხელ აღინიშნა, რომ აღნიშნული სია დიდ მსგავსებას ავლენს „ილიადაში" მოხსენიებულ ტროელთა მოკავშირეებთან. „აშშუაეა", რაც კრებითი სახელია, კოალიციის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა იყოს და შესაძლებელია, მოგვიანო ხანის Asia-ს ნიშნავდეს (104; 107). ამ კოალიციის წევრები შეიძლება დავუკავშიროთ ძველი მსოფლიოს შემდეგ ცენტრებს: „Taruisa" და „Wilusa" – ვარაუდობენ, რომ შეესატყვისება ტროასა და ილიონს. „Halluwa" – „ალიბეს"-ს უნდა შეესაბამებოდეს, Karakisa – კარიას (110; 106), ხოლო ხეთური ქრონიკის – parista კატალოგის პელასგებს შეესატყვისება (32; 143).

ჰომეროსის კატალოგის და ხეთური ქრონიკების გარდა, მცირე აზიაში არსებული ამ ტომების გაერთიანებული კოალიციის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ეგვიპტურ წარწერებშიც.

დაახლოვებით, ძვ.წ. 1230 წელს პერ-ირთან მოხდა საომარი შეტაკება ეგვიპტის ფარაონ მირნეპტაჰსა და ლიბიელებს შორის. ლიბიელთა მეფე ჯართან ერთად, რომელსაც თან ახლდა აგრეთვე „ზღვის ხალხები", შეიჭრნენ ეგვიპტის ტერიტორიაზე და დაბანაკდნენ იქვე. „ზღვის ხალხები" იყვნენ: ლუკკა, შერდენები, აქაივაშა, შექელშა, პელეშეტი და ტურშა. რამზეს III-ის მეფობისას „ზღვის ხალსების" შემოსევები კვლავ გრძელდება, რომელთა სათავეში იდგნენ შექელშა და შარდენები, ზემოჩამოთვლილ ტომებს შეუერთდნენ ტეკრა და დანუნა. Lukka=uqqa – ლიკიაა, და ე. წ. „ზღვის ხალხების" სიებში RK ან IK ფორმით გვხვდება. keka=krks ეგვიპტური ფორმა karakisa=კარიას ნიშნავს, šrdn=კი, სარდინიელებს უნდა გულისსმობდეს (32; 145). „ზღვის ხალხებს" შორის მოხსენიებული იყვნენ „Tjekker", ბერძნული წყაროთი ტევკრები, ან ტროადელები უნდა იყვნენ (34; 162). რაც შეეხება „Pw-rst-y"-ს

(პელეშეტი „peleset"), მეცნიერები მათ ფილისტიმელებს უკავშირებენ ბიბლიის მიხედვით, ფილისტიმელები ეგეიდის კუნძულების მოსახლეობა იყო. ფილისტიმელები და ქაფთორები (კრეტელები) იყვნენ შთამომავალნი პატრუსისა და კასლუხისა (დაბადება, X.14.). ფილისტიმელები დასახლებული ყოფილან სანაპირო ზოლში, რომელიც „კრეტის სამხრეთით" მდებარეობდა (წიგნი I მეფეთა XXX, 14). მეცნიერები „ბიბლიურ ფილისტიმელებში" პელასგებს ხედავენ (ზოგიერთი ბერძენი ავტორისათვის ცნობილია პელასგების სახელწოდების სხვა – „pelestikon" ფორმა) (Hesiod. 1296 და „pelastica" ჰომ. II.XVI 233). Danuna-ს გაერთიანებაში დღეს მეცნიერები ხურიტული ტომების გაერთიანებას ხედავენ (34; 163), რომელიც „ზღვის ხალხებს" მოგვიანო ხანებში შეუერთდა.

„ზღვის ხალხების" სიაში მოხსენიებულნი არიან „a-q-ja-wa-ša" – აქაველები. რასაკვირველია, ერთი შეხედვით, საეჭვოა აქაველების ჩაბმა იმ ექსპედიციაში, რომელიც მიმართული იყო ეგვიპტის წინააღმდეგ, მაგრამ დასაშვებია, აქაველების ერთი ნაწილი, რომ მართლაც „ზღვის ხალხების" მოკავშირე ყოფილიყო (32; 147, 148,149). იმხანად, აქაველები სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ ეგეოსის ზღვის აუზში, მოგვიანებით კი, ისინი უპირისპირდებიან მთელს წინაინდოევროპულ მოსახლეობას. აღსანიშნავია, რომ „ტურშას" (Trš) მეცნიერები უკავშირებენ ტირსენიელების სახელს და თვლიან, რომ ეს ტირსენიელების პირველი და უკანასკნელი მოხსენიებაა ეგეიდაში.

ზემოთ წარმოდგენილი ტომთა სახელები მეტნაკლებად წარმოგვიჩენს ეთნიკურ-პოლიტიკურ სურათს ძვ.წ. II ათასწლეულის განმავლობაში მცირე-აზია-ეგეიდის რეგიონში. წერილობითი წყაროების მიხედვით, აქტიური პოლიტიკური და სამხედრო შეტაკებებით გამოირჩეოდა ეს რეგიონი. ძლიერი ხეთების და ეგვიპტის გვერდით, ფიგურირებდნენ აგრეთვე აქაელები – კონტინენტური საბერძნეთიდან და ე. წ. „ზღვის ხალხები". ბუნებრივია, გვიჩნდება მრავალი კითხვა, საინტერესოა, თუ რამდენად ენათესავებოდა ერთმანეთს „ზღვის ხალხების" კულტურა, რა კავშირები ჰქონდათ მათ ამიერკავკასიასთან, ასევე მცირე აზიის, კრეტის, ეგეოსის ზღვის აუზის, იტალიის კულტურებთან ძვ.წ. II ათასწლეულის განმავლობაში?

არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის ცენტრები, საბერძნეთში, კრეტაზე, ეგეოსის აუზის კუნძულებსა და დასავლეთ მცირე აზიაში. ა. ევანსის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა კრეტაზე, ხეთური კულტურის ძეგლებისა და ბოღაზქოის არქივის დოკუმენტების შესწავლამ, ეგეოსის აუზში წარმოებულმა გათხრებმა და აღმოჩენებმა ტროასა და მცირე აზიაში, აგრეთვე აპენინებზე, საბოლოოდ დაადასტურეს ძვ.წ. II ათასწლეულში მთელს ხმელთაშუა ზღვის რაიონში მაღალგანვითარებული ცივილიზაციების არსებობის ფაქტები.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან, იმ დროიდან როდესაც პელაზგები გამოდიან ასპარეზზე საბერძნეთსა და ტროადაში, აღმავლობას იწყებს შუა ჰელადური კულტურა. ამ კულტურის ფორმირების თავდაპირველი რეგიონი პელეპონესი ყოფილა.

ამ კულტურას ჰქონდა სპეციფიური ნიშნები, რითაც განსხვავდებოდა წინამორბედი კულტურებისაგან: 1) ცხენის გამოყენება 2) საძერწი ჩარხის შემოღება. გამოჩარხული ჭურჭლის წარმოება 3) ძალზე დახვეწილი კერამიკა ა) ნაცრისფერი მინიური და ბ) მქრალად მოხატული ნივთები (მასზე გამოხატული იყო სწორხაზოვანი ორნამენტი სპირალებითა და ადამიანების მცირე გამოსახულებით) 4) დასახლებული ადგილების გამაგრება თავისებური ნაგებობებით ე. წ. მეგარონებით, რომლებიც გაცილებით ადრე ჩანს თესალიასა და ტროადაში. ძვ. წ. 1600-1500 წწ. განვითარებას იწყებს უკვე ჰელადური ანუ მიკენური კულტურა.

მიკენური კულტურის განვითარების ეტაპები შემდეგნაირად წარმოგვიდგება (32; 114):

მიკენური	I – 1500
	II – 1500
	III A – 1400
	III B – 1300
	III C – 1200

I-II პერიოდში კრეტის „მინოსურმა" კულტურამ კელავ იმძლავრა „ჰელადურ" კულტურაზე. ამ დროისათვის კრეტა პოლიტიკურად თუ არა, კულტურულად მაინც ბატონობდა საბერძნეთზე (32; 115).

რამდენიმე დასასლება იმ რეგიონში გვიჩვენებს დამოუკიდებელი განვითარების ნიშნებს – ეს დამოუკიდებლობა იმდენად ნიშანდობლივია, რომ ახალი ეთნიკური ელემენტების მომძლავრე-

ბაზეც კი შეიძლება საუბარი. ეს ცვლილებები მძაფრად იჩენს თავს დასახლებების ტიპებში. ეს გახლავთ ფერდობზე შემოდგმული სასახლე ციხე-სიმაგრის კომპლექსით და მის ძირში განფენილი საკმაოდ მჭიდრო დასახლება. ჩნდება „მაღაროს ტიპის" სამარხები. მიკენში და შემდეგ სხვაგანაც ჩნდება ე. წ. „გუმბათოვანი" სამარხები. III B პერიოდში საბერძნეთში ჩანს, მეტად მომძლავრდა ახალი ეთნიკური ელემენტი, ხდება ადგილობრივი მოსახლეობის ახალმოსულებთან ასიმილაცია (32; 115). ამ დროისათვის სავარაუდოა, რომ მიკენის პოლიტიკური გაელენის ქვეშ ექცევა საბერძნეთის ელინური და არაელინური მოსახლეობა. ძვ.წ. XIII ს. გვიან ჰელადურ კულტურაში, ერთი მხრივ, საქმე გვაქვს შემკვიდრეობით მიღებული ბრწყინვალე ეგეოსური ცივილიზაციის ტრადიციებთან, მეორეს მხრივ, კი, მოსული ტომების მიერ მოტანილ კულტურასთან (32; 116). ამ მოელენების პარალელურად, იტალიაში ბრინჯაოს ხანისათვის, პიტიონის მისედვით, სხვადასხვა რეგიონებში შეიძლება, გამოიყოს რამდენიმე კულტურა. ჩრდილოეთში ადგილი აქვს შუაევროპული „დასაკრძალავ ურნათა ველების კულტურის" განვითარებას, სამხრეთში შეიმჩნევა მიკენური (ეგეოსური) კულტურის გავრცელება, ხოლო ჩვენთვის საინტერესო რაიონში კი, „აპენინების კულტურაა", რომელმაც „შუა ჰელადური" კულტურის გაელენა განიცადა. აპენინების კულტურის ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. 1800/1700–1100/1000 წლებით განისაზღვრება. მისი გავრცელების რეგიონი შუა და სამხრეთ იტალიაა, აპულიის ჩრდ. საზღვრებამდე.

აპენინების კულტურას ახასიათებს მეტად ნატიფი ფორმის კერამიკა, ძირითადად ჭარბობს გეომეტრიული ფორმები, წერტილები, რკალები, სახელურები ნახევარმთვარისებრია. გავრცელებულია ვიოლინოს ფორმის ბალთები. გვხვდება აგრეთვე ჩარჩოში ჩასმული სპირალისებრი ფორმის ნაყშებით და თეთრად ინკრუსტირებული ორნამენტით შემკული ჭედურობა, ასევე ხეში კვეთით მოკაზმული ნატიფი ნივთები. ბიედასთან არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ძვ.წ. 1400-700 წლებით დათარიღებული აპენინების კულტურისა და ვილანოვას კულტურის არქეოლოგიური ფენები. „ვილანოვას" ფენას ზემოდან უკვე მეგარონის ტიპის სახლებიანი ეტრუსკული დასახლება მოსდევს.

აპენინური კულტურა აშკარა მიმართებას ავლენს შუა ჰელადურ კულტურასთან. მეცნიერების ერთი ნაწილი თელის, რომ ამ

კულტურის აღმავლობა იტალიაში უკავშირდება ეგეიდიდან მომდინარე ხალხთა ტალღებს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ შუა ჰელადურმა კულტურამ თავის გაელენას დაუქვემდებარა აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის უკიდურესი დასავლეთი რეგიონი – ესპანეთი. ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარში ამ ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში გავრცელებული „ელ-არგარის" კულტურა აშკარა მიმართებაში იყო შუა-ჰელადურ კულტურასთან, ეს მსგავსება შეიმჩნევა განსაკუთრებით კერამიკაში.

იმხანად, ამიერკავკასიაში გავრცელებული კულტურები გარკვეულწილად აგრძელებენ მტკვარ-არაქსის კულტურის ტრადიციებს, თუმცა ადგილობრივი კერამიკა დიდ მსგავსებას ავლენს შუა ჰელადურ კერამიკასთან. ეს მსგავსება თავს იჩენს შავ და წითელპრიალა, მქრალად მოხატულ საგნებზე, რომლებსაც აქვთ ხაზისებრი და ტალღისებრი, ჭადრაკისა და რომბის ორნამენტები. არსებული არქეოლოგიური მასალის გათვალისწინების საფუძველზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო რეგიონში, ძვ.წ. II ათასწლეულის განმავლობაში აღგილი ჰქონდა შუა ჰელადური და მისი მონათესავე კულტურების გავრცელებას.

ძვ.წ. I ათასწლეულის VIII – საუკუნეში ცენტრალურ იტალიაში, მდინარეებს – არნოსა და ტიბრის შორის აღმოცენდა ეტრუსკული კულტურა. იმ ხანის არქეოლოგიური მასალა შემდეგ სურათს წარმოგვიდგენს რეგიონში; ტირინეის ზღვის სანაპირო ზოლში, ტოლფას მთის და მის ზემოთ რაიონებში – პოპულონიამდე, არსებობდა დასახლება, რომელსაც „Grotto ferrata Tarquinia"-ს უწოდებენ. იგი აგრძელებდა აპენინის კულტურისათვის დამახასიათებელ ტრადიციებს. აღსანიშნავია, რომ კრემაციის პარალელურად, აქ მიმართავდნენ ინგუმაციის წესებს. აქ აღმოჩენილი „ბიკონისებრი" ჭურჭლის ზედაპირი დეკორატიული ფიგურებით არის მორთული, სახელურები კი, ჰორიზონტალური ფორმისა აქვთ – ყოველივე ეს უკვე მეტყველებს „აპენინურ სუბსტრატის" არსებობაზე ამ ტერიტორიაზე.

ძვ.წ. 1250-1100 წწ. პოს ველებიდან ჩრდილოეთით – კალამბრიამდე, გავრცელებული იყო „დასაკრძალავ ურნათა ველების" კულტურა. ამ ხალხის ნაწილი ჩრდილოეთში შეერწყა „ტერამარების" მოსახლეობას, ხოლო მოგვიანებით, ბოლონიის რაიონში „ტერამარების კულტურის" ტრანფორმაციის შედეგად, წარმოიქმნა „პროტო ვილანოვა" და შემდგომ „ვილანოვა" (97; 11-12).

„დასაკრძალავ ურნათა ველების“ კულტურა არ იცნობდა მეტალის დამუშავების რაიმე ტექნოლოგიას, დაკრძალვაში გავრცელებული იყო კრემეციის ფორმა, მიცვალებულის ფერფლს კი, ინახავდნენ ბიკონისებრ ურნებში. ეს ურნები თავისი სტილითა და ფორმით გარკვეულ პარალელებს ავლენს ევროპაში გავრცელებულ დასაკრძალავ ურნებთან. არქეოლოგები თვლიან, რომ აღნიშნული კულტურა და ტრადიციები ევროპის სხვადასხვა რაიონებიდან მოსული მოსახლეობის კუთვნილებაა.

ძვ.წ. 915-+80 825+-80 წწ. ჩრდილოეთში განვითარებას იწყებს „პროტოვილანოვა“ (99; 50); ეს კულტურა ტერიტორიალურად ერცელდება: ემილიის, ტოსკანასა და ლაციუმის მიწებზე. ამ რეგიონებში გამოვლინდა საცხოვრებელი – ურბანული ტიპის დასახლებები, რომლებიც გაშენებულნი იყვნენ ამაღლებულ ბორცვებზე და გარშემორტყმული საფორტიფიკაციო ნაგებობებით. გავრცელებული იყო „იმპასტოს ტიპის“ კერამიკა. მეცნიერები თვლიან, რომ „ვილანოვას“ კულტურა ინდოევროპული საწყისებიდან მომდინარეობდა. არქეოლოგიური მასალების შესწავლის შედეგად, შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპზე, ვიდრე დაიწყებოდა რკინის ხანა, ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე არ არის დაფიქსირებული რაიმე ახალი კულტურის შეჭრის კვალი. სავარაუდოა, თუ იმხანად მართლა მოხდა ხალხთა მიგრაცია, საუბარი უნდა იყოს მხოლოდ ხალხთა მცირე ჯგუფებზე, რომელთა რიცხვი ძალზე უმნიშვნელო იყო. ამდენად, მათ არ შეეძლოთ, შეეტანათ მნიშვნელოვანი და რადიკალური ცვლილებები „იტალიკური კულტურების“ განვითარებაში (114).

ძვ.წ. IX-VIII ს. ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე, კერძოდ, ეტრურიაში, ჩრდ. პოს აუზში, ნაწილობრივ ბოლონიასა და რიმინში, სამხრეთ კამპანიაში, კაპუასა და პალერმოში განვითარებას იწყებს „ვილანოვას კულტურა“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „პროტოვილანოვას“ და „ვილანოვას“ შორის იყო მჭიდრო კავშირი. მათ ჰქონდათ საერთო მახასიათებლები დასაფლავების წესში, ბრინჯაოს დამუშავების ტექნოლოგიაში, კერამიკაში, ყოველივე ზემოთჩამოთვლილი, მკვეთრად განასხვავებდა ამ კულტურას „აპენინური კულტურისაგან“. საცხოვრისს მრგვალი ხის სახლი წარმოადგენდა, ტკეპნილი მიწაყრილითა და თიხის ამოყვანილი კედლებით. სახურავი დაფარული იყო გამსმარი ბალახით.

სახლის შუაში თიხის კერა იყო მოთავსებული. მოსახლეობა მისდევდა მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენებას და აგრარულ საქმიანობას. ვილანოველები კარგად ფლობდნენ მეტალურგიის რთულ ტექნოლოგიებს. ბოლონიიდან, ვილანოვას მეტალურგიული ცენტრიდან, მთელს იტალიაში ხდება ბრინჯაოსაგან დამზადებული ნივთების ექსპორტირება. ტერაკოტის ურნები მოთავსებული იყო „ჭის სამარხებში" – „tomba a pozzo". ხშირად ფართო ჭის ქვემ გათხრილი იყო მცირე ჭა, რომელიც დახურული იყო ქვის ფილით. კერამიკა ხელით იძერწებოდა, მომდევნო ეტაპზე კი, დაიწყეს ჩარხზე გამოძერწვა. კერამიკის ფერი დამოკიდებული იყო გამოწვის ტექნოლოგიაზე, ამის შესაბამისად იღებდნენ: მოწითალო, შავყვითელ და ნაცრისფერ გამებს. ეს ტიპი კერამიკისა ცნობილია „იმპასტოს" სახელწოდებით. ამ ნაწარმის გაფორმება ხდებოდა გეომეტრიული ორნამენტითა და ინკრუსტირებული მეტალით. ურნები იხუფებოდა მეტალის ჩაფხუტით, ან თიხის იმიტაციით. მეცნიერებაში მიღებულია „ვილანოვას კულტურის" შენდეგი პერიოდიზაცია:

ბენეჩი	I ძვ.წ. 900-750 წწ.
	II ძვ.წ. 750-636 წწ.
არნოლდი	I ძვ.წ. 630-525 წწ.
	II ძვ.წ. 525-400 წწ.

ვილანოვას კულტურის მიმართ ჩვენი ინტერესი გაპირობებულია, იმდენად, რამდენადაც ეს კულტურა წინ უსწრებდა ეტრუსკულ კულტურას იმ რეგიონებში, სადაც მოხდა ეტრუსკული ქალაქების აღმოცენება. ვილანოვას პირველ ეტაპზე არ შეიმჩნევა სოციალური უთანასწორობა. სამარხეული ინვენტარი ძალზე ღარიბულია. მამაკაცები მეომრები, ხოლო ქალები ოჯახის დიასახლისები იყვნენ. ვილანოვას მეორე ფაზაში კი (ძვ.წ. VIII ს.), ეს თანასწორობა ირღვევა და ჩნდება ცალკეულ ჯგუფებში დიდი სიმდიდრე, რიგი სამარხებისა გამოირჩევა ძვირფასი ნივთებით, იმპორტით ევბეიდან და კიკლადებიდან. არქეოლოგიური მასალა მიგვანიშნებს კავშირებზე სარდინიასთანაც. როგორც ზემოთ გვქონდა მითითებული, ეტრუსკული ცივილიზაციის ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. VIII ს. – I – სს., მოიცავს. ძვ. წ. VIII ს., ჩვენთვის საინტერესო რეგიონში შეიმჩნევა განვითარების არაერთგვაროვნება. სამხრეთი ეტრურია, რომლის ცენტრები იყო ტარკვინია, ვეი, ვულიჩი – მნიშვნელოვნად დაწინაურდა. ეტრუსკულმა კულ-

ტურამ თავისი გავლენა განავრცო კამპანიაზე, კაპუაზე, პონტეკა-განოზე. ბოლონია, ცენტრალური და ჩრდილო ეტრურია შედარებით ჩამორჩებოდნენ სამხრეთ რეგიონს (99; 51) იმხანად, აპენინების ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილის ათვისება დაიწყეს ბერძნებმა. ამ რაიონში დაარსდა ბერძნული კოლონიები. ძვ.წ. 775 წ. პიტეკუსაი მოექცა ამ კოლონიების სათავეში. ეს ქალაქი ტერიტორიალურად ემიჯნებოდა ეტრურიის მიწა-წყალს, რაც ხელსაყრელ საფუძველს ქმნიდა მათს შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობის წარმართვისათვის (99; 69).

ძვ.წ. VII ს-ში ეტრუსკული საზოგადოება გაცილებით დაწინაურებული ჩანს. ჩნდება სამარხები, სადაც ჭარბობს ძვირფასი ნივთები. ხელოვნებაში იწყება ე. წ. „ორიენტალიზმის პერიოდი". ორიენტალისტური სტილი, როგორც ცნობილია, სათავეს ილებდა აღმოსავლეთიდან. ლიდიაში, ურარტუში, პალესტინაში, სირიასა და ეგვიპტეში იმხანად გავრცელებული იყო ეს უჩვეულო სტილი. მაღალი ხელოსნური დონით დამზადებული ნაწარმი მასობრივ ხასიათს ატარებდა (99; 52).

ძალზე პოპულარული იყო ე. წ. „ასურული", „ხეთურ-არამეული" ვარიანტები. თავს იჩენს აგრეთვე ხეთურ-ხურიტული მანერით შესრულებული სხვადასხვა არტეფაქტები.

დასაფლავების ძირითადი ფორმა იყო ინგუმაცია. ეტრურიაში ხშირი იყო კლდეში ნაკვეთი სამარხებიც (ანალოგიები – ფრიგიის კლდეში ნაკვეთი აკლდამები – „ნიში", „მეფე მიდასის კარი", პაფლაგონიაში – „გამმარკაის აკლდამა", ხოლო ლიბიაში „მირასა" და „პინარის" – აკლდამები). ეტრურიაში საამშენებლო ტექნიკის სხვადასხვა სახეებია გამოყენებული აკლდამებში: ტუმულუსები, სამარხი სენაკები, დრომოსები (მიკენური აკლდამის მსგავსად) ცრუ თაღები, ცრუ კარებები. შენობები მორთული იყო სტილიზირებული მცენარეული ორნამენტით.

დღეს კარგად არის ცნობილი ურარტული ბრინჯაოს ნაკეთობათა დამზადების ტექნიკა. ურარტული ხელოვნებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ე. წ. „ქვაბები". ეს ქვაბები ძვ.წ. I ათასწლეულში ვრცელდება მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთის მასშტაბით. ბრინჯაოსაგან დამზადებული ქვაბები გემოვნებით იყო მორთული ადამიანებისა და ცხოველების თავებით, დეკორატიული ორნამენტებით 69.

ანალოგიური ტიპის ქვაბები გავრცელდა ანატოლიაში, ეგეიდაში, იტალიის ტერიტორიაზე. ამ ქვაბების „გავრცელების გზა" უნდა ყოფილიყო: ვანი, კარხემიში, ალმინა, როდოსი, კორინთო, იტალია, რამეთუ სწორედ ამ მარსშრუტზე აღმოჩნდა ურარტული ტიპის ქვაბები. დასავლეთ რეგიონებში ურარტული კულტურის გამავრცელებელი ცენტრი ფრიგია იყო. სამსუნის რაიონში ხდებოდა ურარტულ-ეტრუსკული ცივილიზაციების შეხვედრები. აქ აღმოჩენილი ორი აკლდამა თავისი კედლის მოხატულობით ეტრუსკულ ფერწერასთან იჩენს მიმართებას.

ეკლექტიკური სტილი, რომელიც ასე აერთიანებდა აღმოსავლეთის კულტურებს, განსაკუთრებით „ახლობელი" აღმოჩნდა ეტრუსკული სამყაროსათვის. ეტრურიის მიწა-წყალზე ამ სტილმა ხაზგასმული ფუფუნებისა და ექსტრავაგანტულობის ფორმები მიიღო, რაც, ერთი შეხედვით, ეტრურიის პერიფერიულ დონეს არ შეესაბამებოდა. ეტრურიაში დასაფლავების წესში ძირითადად დომინირებდა ინგუმაცია (ადგილი აქვს კრემაციასაც, ჩნდება ინდივიდუალური სამარხები საგვარეულო სამარხების გვერდით). გავრცელებულია შემდეგი ტიპის სამარხები – „ჭისებრი" – tomba a pozzo, „ორმოსამარხი" – tomba fossa, „კამერის სამარხი" – tomba a camera (99; 177). ეს სამარხები, როგორც აღვნიშნეთ, თავისი არქიტექტურული ფორმებით ახლოსაა აღმოსავლურ სტილთან, ასეთია მაგალითად, არქაული ხანის თაღოვანი სამარხი: „tomba della monta Agnola" – ფლორენციის ჩრ. დასავლეთით მდებარე კვინტო ფიორენტინის მახლობლად. აქვეა აღმოჩენილი (ძვ.წ. VII ს.) ორიენტალისტურ სტილში შესრულებული ოქროს, ბრინჯაოს და სპილოს ძვლის ნაკეთობანი. „Tomba Regolini Galass"-ის სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს ქვაბები ლომების თავებით; ანალოგიური ქვაბები აღმოჩენილია ურარტუში, რომელზედაც ურარტუს მეფის სარდურ II-ის წარწერაა. ეტრუსკული წარმოშობის უნდა იყოს ნახევარმთვარისებრი ფორმის საყურეები, მოკაზმული ოქროს ფილიგრიმით, რომლებიც ძვ.წ. VIII-VII სს. გვხვდება მთელს ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. აღსანიშნავია, რომ ეტრუსკული ბრინჯაოს სარტყელები დიდ მსგავსებას ავლენენ ამიერკავკასიაში აღმოჩენილ რიტუალურ სარტყელებთან.

იმხანის ეტრუსკული ქალაქები დაცული იყო საიმედო კედლებით. ქალაქის შიგნით იყო არხებისა და კანალიზაციის სისტემა.

ქალაქების უმრავლესობა მდინარეებთან ახლოს იყო გაშენებული. რიგი ქალაქებისა კი, გამენებულია ზღვასთან ახლოს. თავდაცვითი კედლები ძირითადად მზეზე გამომწვარი ტალახის აგურისაგან იყო დამზადებული. საბუნსაროდ, ეტრუსკული ქალაქებისა და მისი დაგეგმარების შესახებ შედარებით მწირი მასალა მოგვეპოვება, რამეთუ ქალაქში აგებული შენობები ძირითადად მალეხრწნადი და ადვილად ფუჭებადი მასალისაგან იყო დამზადებული (ხე, ტალახის აგურები). შემორჩენილია, ამ შენობების მხოლოდ ქვის ფუნდამენტები (99; 175).

ეტრუსკულ ქალაქებს ჰქონდათ ორთოგონალური დაგეგმარება. ქალაქები შენდებოდა „ეტრუსკული დისციპლინის" მიხედვით, ცის თაღზე ორიენტირით. ამ ქალაქში ქუჩები განლაგებული იყო ერთმანეთის პარალელურად, ბადისმაგვარი სისტემით, ასევე ჩრდილო-სამხრეთისა და დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძების მიმართულებით. სახლები თავიანთი ფორმით შეეფერებოდა ადგილმდებარეობას და კლიმატურ პირობებს; მომდევნო ეტაპზე წრიული ფორმის სახლები შეიცვალა მართკუთხა ფორმის სახლებით, რომლებიც შედგებოდა სხვადასხვა ოთახებისა და შიდა ეზოსაგან (99; 175). ამგვარი დაგეგმარება სახლებისა, მომდევნო ხანებში ეტრუსკებისაგან გადაიღეს რომაელებმაც.

საერთოდ, ანტიკური ხანის ავტორები, ყველა ერთხმად, მიუთითებენ ეტრუსკების საამშენებლო საქმეში ღრმა განსწავლულობაზე. მათ სახელს მიეწერება ისეთი გრანდიოზული სამუშაოების წარმოება როგორიც იყო კაპიტოლიუმის ტაძრის აშენება და უზარმაზარი არხების გაყვანა ლაციუმში.

ზემოთწარმოდგენილი სურათი კარგად ასახავს ხმელთაშუა ზღვისპირეთში სხვადასხვა ეპოქაში კულტურების განვითარებისა და ფორმირების პროცესებს. აქ გამოკვეთილი მიგრაციების კვალი ნათლად გვიჩვენებს, რომ ამ რეგიონში არსებითად შეუძლებელია ლაპარაკი ე. წ. „წმინდა ეთნიკური ჯგუფების" შესახებ. ეს კი ნიშნავს, რომ ამა თუ იმ რეგიონში, ამა თუ იმ ეთნოსის ჩამოყალიბება ხდებოდა სხვადასხვა კომპონენტთა შერწყმის – ურთიერთქმედების საფუძველზე. სწორედ ამ კონტექსტში განიხილება ეტრუსკების, როგორც ეთნოსის ფორმირებისა და ჩამოყალიბების, საკითხიც. იტალიის ტერიტორიაზე ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში გამოჩენილი ეტრუსკული ეთნოსი, რომელიც აშკარა კავშირებს გვიჩვენებს ხმელთაშუა ზღვისპირეთის სხვადასხვა კულტურულ

შრეებთან, ბუნებრივია, თავად წარმოადგენს სხვადასხვა ელემენტთა სინთეზის პროდუქტს.

როგორც ზემოთ ვნახეთ, იტალიის ტერიტორიაზე ეტრუსკებამდე ხალხთა მიგრაციის რამდენიმე ძირითად ტალღას შემოუღწევია, ესენია: 1) უძველესი მედიტერანული, რომელიც თავისი ძირებით ადის სამხრეთ აღმოსავლეთ ანატოლიურ კულტურებამდე. ეს ტალღა პირობითად აღვნიშნოთ „მ" (მედიტერანული) სიმბოლოთი. 2) ე. წ. პელასგური – კავკასიური, რომელსაც ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევარში უნდა შეეღწია იტალიაში. ეს ტალღა აღვნიშნოთ „პ"-თი (პელასგური) 3) ე. წ. ჩრდილოური, რომელიც იტალიაში ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარში გამოჩნდა და რომელიც წარმომავლობით ინდოევროპული იყო, აღვნიშნოთ „ჩ"-თი (ჩრდილოური) და ბოლოს 4) ტირსენიული, რომელიც „ზღვის ხალხების" მიგრაციების ეპოქასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რაც დაახლოვებით ძვ.წ. XII საუკუნით თარიღდება, პირობითი ნიშანია – „ტ" (ტირსენიული).

არც ერთ ცალკე არსებულ ამ ელემენტთან არ შეიძლება ეტრუსკების მექანიკური გათანაბრება. ეტრუსკული ეთნოსი – აღვნიშნოთ „ე"-თი (ეტრუსკული) ამ ელემენტების გარკვეული სინთეზის საფუძველზე არის ჩამოყალიბებული საკუთრივ იტალიის ტერიტორიაზე და, ამდენად, ბუნებრივია, რომ ეტრუსკები უნდა იყვნენ განხილულნი როგორც აუტოქთონები.

რასაკვირველია, ეტრუსკული კულტურა, როგორც შედეგი სხვადასხვა ელემენტთა სინთეზისა, შეიძლება მეტ სიახლოვეს აღენდეს რომელიმე კონკრეტულ კომპონენტთან და შედარებით ნაკლებს სხვა დანარჩენთან, ხოლო თუ როგორია ამ კომპონენტების ხვედრითი წილი ეტრუსკების ფორმირების პროცესი, ამას მომავლის კვლევა გვიჩვენებს.

როდესაც ეტრუსკოლოგიის პრობლემატიკას განვიხილავთ მედიტერანისტიკის მიღწევის საერთო კონტექსტში, უთუოდ ცალკე უნდა გამოიყოს ეტრუსკული ენის პრობლემა, ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ არა მის გენეტიკურ წარმომავლობას, არამედ უკვე ფორმირებულ ეტრუსკულ ენას, რომელზედაც არის შესრულებული მრავალრიცხოვანი მეტწილად, ჩვენთვის ძნელად გასარკვევი, ან ამოუცნობი წარწერები. ის, რომ ეტრუსკულ ენას შეიძლება ჰქონდეს გენეტიკური, ტიპოლოგიური, თუ კონტაქტების შედეგად შეძენილი მიმართებები ხმელთაშუა ზღვის აუზის სხვადასხვა

ენებთან, სრულიად ნათელია. დღეისათვის ძნელია ზუსტად იმის თქმა, შეიძლება თუ არა ეტრუსკული ენა მოვაქციოთ ენათა რომელიმე ცნობილ ოჯახში, ან მისი ფორმირების სპეციფიკის გამო, იგი სრულიად დამოუკიდებელ ენად უნდა ვაღიაროთ.

დღეს გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ეტრუსკული ანბანი, რომელიც აშკარად ბერძნული ანბანის ვარიანტს წარმოადგენს, ვერ ასახავს სრულყოფილად მის ფონოლოგიურ სისტემას. აშკარაა, რომ ზოგიერთ ასოს ეკისრება არა ერთი, არამედ ორი და ზოგჯერ მეტი ბგერის ფუნქცია.

ეტრუსკულ ფონოლოგიაში ყურადღებას იქცევს სიახლოვე ეგრეთწოდებულ წინაბერძნულ ბგერათა მონაცვლეობის ტიპებთან, რაც ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ასევე უნდა დამახასიათებელი იყოს ქართველური ენებისათვის. (იხ. რ. გორდეზიანი 33).

ბრუნვათა სისტემაში, როგორც უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევები გვიჩვენებს, ეტრუსკულს ახასიათებს ეგრეთწოდებული ნომინატივ-ერგატიული სტრუქტურა, ეს იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი შეიძლება იდგეს როგორც სახელობით, ასევე ერგატიულ ბრუნვაში.

ეტრუსკული ზმნა, როგორც ჩანს, თავისი მრავალრიცხოვანი და დიფერენცირებული დაბოლოებებით გადმოგვცემდა არა მარტო სუბიექტსა და ობიექტს შორის არსებულ მიმართებებს, არამედ სხვადასხვა დროის კატეგორიებსაც. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მასში არის კაუზატივის ფორმატი, აგრეთვე ახასიათებს სხვადასხვა გვარებისათვის დამახასიათებელი სუფიქსალური ელემენტებიც.

ეტრუსკული ენა აშკარა სუფიქსური წყობის ენაა. ჯერჯერობით მეცნიერებამ ვერ შესძლო მასში რაიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პრეფიქსის გამოყოფა.

რაც შეეხება ეტრუსკულ ლექსიკას, იგი მრავალფეროვანია, მასში გვხვდება აშკარად ის შრეები, რომლებიც, როგორც ჩანს გარკვეულწილად ასახავდნენ ეტრუსკთა მიმართებებს სხვადასხვა ხალხებთან; ამ შრეებიდან შეიძლება გამოვყოთ, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი – ბერძნული, ლათინური და სხვა. უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ საკმაოდ მნიშვნელოვან ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ეტრუსკულს, ერთი მხრივ, წინაბერძნულთან, მეორეს მხრივ, კი ქართველურ

ენებთან აკავშირებენ. როგორც მეცნიერებმა შენიშნეს, ეტრუსკული, წინაბერძნული, ქართველური ლექსიკური პარალელების შემთხვევაში, თითქმის ყოველთვის ამოსავალი ქართველურია (ფურნე, გორდეზიანი). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ეტრუსკული გვიჩვენებს, როგორც გარკვეულ ენობრივ ოჯახებთან, მაგალითად, ქართველურთან მიახლოვების ტენდენციებს, ასევე იმ ნიშნებსაც, რომელიც მათ აშკარად განასხვავებს. ასე, მაგალითად, პრეფიქსაციის სრული იგნორირება, ბგერათა სისტემების შედარებითი სიმარტივე.

მედიტერანისტიკის უდიდესი სტიმული გახდა ახალი აღმოჩენები ეტრუსკოლოგიაში. ეს სიახლე უკავშირდება კორტონას (კორტონენსის) ტაბულას, რომელიც არქეოლოგებმა იპოვნეს კორტონას მახლობლად 1992 წელს. ამ აღმოჩენის შესახებ მასალა მოგვიანებით, 1999 წელს გამოქვეყნდა. ეს იყო ბრინჯაოს ფირფიტა (50/30 სმ., 2-3 მმ. სისქის), რომელიც დანაწევრებული იყო რვა ფრაგმენტად, საიდანაც ერთი ნაწილი, სამწუხაროდ, დაკარგული აღმოჩნდა.

აღნიშნული წარწერა შედგება 40 ხაზისაგან და ერთ-ერთი დიდი მოცულობის ტექსტია ეტრუსკულ ენაზე, ზაგრების წარწერისა და კაპუას ტაბულას გვერდით. აღნიშნული ტექსტი იურიდიული სახის დოკუმენტს წარმოადგენს, შედგენილია ორ მხარეს შორის მიწის გადაცემის საკითხთან დაკავშირებით. ეს არის ე. წ. იურიდიული ხელშეკრულება. ამ ტექსტზე მუშაობა გასწიეს იტალიელმა ლინგვისტმა ლ. აგოსტინიანიმ და არქეოლოგმა ფ. ნიკოსიამ. ორივე მეცნიერი ერთხმად მივიდა დასკვნამდე, რომ დოკუმენტი მაღალ დონეზე იყო შესრულებული. საეარაუდოდ, ის არ იყო ერთადერთი ნიმუში და წარმოადგენდა „მასობრივი წარმოების პროდუქციას", რაშიც დახელოვნებულნი იყვნენ ეტრუსკები. ისინი ხშირად მუშაობდნენ ამგვარ ხელშეკრულებებზე. ფირფიტას თავზე გაკეთებული ჰქონდა საკიდი, რაც მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ამგვარი „ხელშეკრულებები" იკიდებოდა კედელზე ან სხვა ადგილას. თანამედროვე მეცნიერების აზრით, წარწერა მაღალ დონეზე და გასაგებ ენაზეა დაწერილი, თუმცა გაპარულია შეცდომებიც მართწერაში (მაგ. thuchti/ thucht, spante/spanthi, zal/sal). შესაძლებელია, რომ ეს ლაპსუსები გაპირობებულია, ეტრუსკულ ენაში არ არსებული ე. წ. სტანდარტული ნორმების გამო, ანდა მწერალი, ვინც აღნიშნული ტექსტი შეადგინა, არ იყო ამ რეგიონის

მკვიდრი. აგოსტინიანის აზრით, ტექსტის ლინგვისტურმა ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშნული ტექსტი მომდინარეობს კორტონადან, ეტრურიის ჩრდილოეთი ნაწილიდან.

წარწერაში აღწერილია კარ-მიდამოს სახე და ჩამოთვლილია მეპატრონეთა სია და გენეოლოგია.

კორტონას ტაბულის გვერდით, კვლავ მნიშვნელოვან პალეოგრაფიულ მასალად რჩება ეტრუსკოლოგიაში:

1) ზაგრების მუმიის გრაგნილი, რომელიც აღმოჩნდა ეგვიპტეში და დღეს ინახება ზაგრების ნაციონალურ მუზეუმში. წარწერაში მოცემულია 1,300 სიტყვა. ტექსტი შავი მელნით არის შესრულებული. ძირითადი ტექსტის გვერდით, მიყვანილია კალენდარი და მოცემულია რელიგიური სახის დარიგებები (თუ როდის უნდა ჩატარდეს მსხვერპლშეწირვის რიტუალები);

2) ტექსტები კამპანიიდან, რელიგიური ტექსტები (კაპუა);

3) ეტრუსკულ-ლათინური მცირე ზომის ბილინგვური ტექსტები, ძირითადად დასაკრძალავი თემატიკით ჯამოირჩევა;

4) ეტრუსკულ-ფინიკიური ბილინგვური ტექსტები, პირგის უძველესი ტაძრიდან. ორ ენაზე შესრულებული მიძღვნითი წარწერაა.

თავი VIII
სოციალური ურთიერთობები ეტრუსკულ სამყაროში

ეტრუსკული საზოგადოება თავისი განვითარების დონით, სტრუქტურითა და სოციალური ურთიერთობების ფორმით ერთ-ერთი საინტერესო და, ამავე დროს, როგორც ფიქრობენ, სოციალური ცხოვრების რამდენადმე უჩვეულო მოდელს გვთავაზობს ანტიკური სამყაროსათვის.

ეტრუსკული საზოგადოება თითქმის ყველა პარამეტრით – სოციალური სტრუქტურით, კანონებით, რელიგიით, მსოფლმხედველობით, მკვეთრად განსხვავდებოდა მისი თანამედროვე ციივილიზაციებისაგან, თუმცა ამავე დროს, მის ტრადიციებს ღრმად ჰქონდათ ფესვები გადგმული მედიტერანულ სამყაროში და გენეტიკურ კავშირში იმყოფებოდა ამ უკანასკნელთან.[1]

ეტრუსკული საზოგადოების მოდელი უცხო და მიუღებელი დარჩა (რასაკვირველია, არ ვგულისხმობთ ცალკეული ტრადიციების ათვისებას რომაელთა მიერ) ბერძენ-რომაული სამყაროსათვის, უფრო მეტიც, ამ ხალხებთან ეტრუსკული სტერეოტიპი შემდეგნაირად იკვეთებოდა – „ეტრუსკები ტირანიის მოყვარულნი, ზედმეტად აეხორცნი და ფუფუნების მოტრფიალე ხალხი იყო“ (99; 232).

ეტრუსკული რელიგია, პანთეონი, ჰარუსპექსების ინსტიტუტი, მედიცინის მიღწევები, ჩაცმის კულტურა, ტრიუმფებისა და დღესასწაულების მოწყობის ტრადიცია, გლადიატორთა შერკინებები, ხელოსნების ოსტატობის გამოცდილება – ყოველივე ზემოთჩამოთვლილი, რომაელებმა გადაიღეს და გაითავისეს, ამდენად, ეტრუსკების ეს მემკვიდრეობა ნაკლებად დაიკარგა, მაგრამ ის, რაც მიუღებელი აღმოჩნდა რესპუბლიკური რომისათვის, უგულებელყოფილი და განადგურებული იქნა.

---

[1] ანტიკური სამყაროს სოციალური ისტორიის ზოგადი მიმოხილვისათვის იხ. N. Brockmeyer "Sozialgeschichte der Antike" Stuttgart 1972.

არქეოლოგიური მასალა და წერილობითი წყაროები, ნაწილობრივ ავსებენ ერთმანეთს და გარკვეულწილად წარმოგვიდგენენ იმ სამყაროს, სადაც მიედინებოდა ეტრუსკების ყოველდღიური „წვრილმანებითა“ თუ „ექსცესებით“ აღსავსე ცხოვრება; აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ჩვენს მიერ ქვემოთ შემოთავაზებული სურთი ეტრუსკული ცხოვრების წესისა (ტრადიციებისა და მსოფლმხედველობის სისტემის), შეიძლება, არ იყოს ყოვლისმომცველი, ბოლომდე გარკვეული და ახსნილი. მაგრამ ეს გასაგებიცაა, რადგან ეტრუსკული საზოგადოების აღნიშნული მხარეები, სხვადასხვა ასპექტები ერთობ პრობლემატური და ნაკლებად შესწავლილია.[1]

ანტიკური ხანის წერილობითი წყაროების ცნობები ფრაგმენტული ხასიათისაა, აქ დაცულია ცნობები ეტრუსკული რელიგიის, ჰარუსპექსების, მეფის ინსიგნიების, ქალის მდგომარეობისა და სოციალური უთანხმოებების შესახებ. აგრეთვე, გაზვიადებული სახით არის დახატული ეტრუსკების გადაჭარბებული ტრფობა ფუფუნებისა და დროსტარების მიმართ. მაშინ, როცა ფაქტიურად ცნობები არ მოგვეპოვება პოლიტიკური ორგანიზაციის, მეფის ხელისუფლების ხასიათის, მოხელეთა აპარატის, სამართლისა და მართლმსაჯულების სისტემის შესახებ (ასევე ბურუსით არის მოცული საკითხები წარმოებითი ურთიერთობის ხასიათისა და კლასების შესახებ, თუ ვინ აწარმოებდა ძირითად მატერიალურ დოვლათს).

„ერთიანი ეტრუსკული სახელმწიფო არასდროს არსებულა, ის, რასაც ანტიკოსი მწერლები „ეტრურიას“ უწოდებენ სინამდვილეში დაქსაქსული ქალაქი-სახელმწიფოების რელიგიურ-კულტურულ კავშირს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე გარკვეულ პოლიტიკურ ერთეულს“ (114; 42). უძველეს დროში მათ სათავეში მეფეები (Lycumones) იდგნენ – მოგვიანებით, პატრიცი მოხელეები. ძვ.წ. III ს. მოსახლეობის მესამე წოდებას მოქალაქეობრივი უფლებების მოპოვების საფუძველზე, მიუღია მონაწილეობა ქალაქ-სახელმწიფოთა მართველობაში (114; 43).

---

[1] არსებითად ეტრუსკული საზოგადოების სოციალური ორგანიზაციების შესახებ, დღემდე ძირითად ნაშრომებად რჩება სპეციალური მიმოხილვითი თავები J.Heurgon, Die Etrusker (თარგმანი ფრანგულიდან) Stuttgart, 1971; M. Pallotino, Etruscologia, Milano, 1973.

ეტრუსკული ქალაქები, რიცხვით 12, მდებარეობდნენ ცენტრალურ იტალიაში, არნოსა და ტიბრის ორმდინარეთში. მოგვიანებით, 12 ქალაქი დაარსდა ჩრდილოეთ იტალიაში და კამპანიაში; არნოსა და ტიბრის ორმდინარეთში მყოფი ქალაქები ქმნიდნენ ლიგას, რომლის სათაეეში იდგა მეფე, რომელსაც ირჩევდნენ 12 ქალაქის წარმომადგენლები. ამ მეფის ხელისუფლება ნომინალური უნდა ყოფილიყო, რადგანაც თითოეულ ქალაქს ჰყავდა თავისი მეფე, რომელიც სარდლობდა ჯარს და მართავდა თავის ქალაქს.

დღეს, განელილი დროის სიმაღლიდან, ძნელია ბოლომდე განისაზღვროს „არჩეეითი მეფის" სტატუსი და დანიშნულება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ეტრუსკული ქალაქების ჯარები იშვიათად გამოდიოდნენ ერთიანი მხედართმთავრის დროშის ქვეშ, აქ მეფის, როგორც ჯარების მთავარსარდლის, როლი გამოირიცხება; პოლიტიკური თვალსაზრისით, გაუმართლებელი იყო ამგვარი ინსტიტუტის არსებობა, რადგანაც დაქუცმაცებულ ეტრუსკულ ქალაქებს ჰყაედა თავისი მმართველი და ეს უკანასკნელი, თავისი პოლიტიკის გატარებისას ნაკლებად უწეედა ანგარიშს მეზობელი ეტრუსკული ქალაქების მეფეების ნებასურვილს. საეარაუდოა, რომ ვოლსინში მყოფი „არჩეული მეფის" სტატუსი რელიგიური ხასიათისა იყო (65; 115, 121). იგი გახლდათ „მეფე-ქურუმი", რომლის საქმიანობა სწორედ რელიგიური მისიით შემოიფარგლებოდა, თუ გაეიხსენებთ იმ ფაქტს, რომ მედიტერანული სამყაროსათვის არ იყო უცხო ამგვარი „მეფე-ქურუმის" ინსტიტუტის არსებობა, შეიძლება ანალოგი სწორედ აქ მოეძიოს ამ ფაქტს.[1] საინტერესოა, აგრეთვე მეფის ძალაუფლების სიმბილოების შესწავლა. ძველი ავტორების მიხედვით, ეტრუსკებს ჰყავდათ თავიანთი მეფეები, როგორც ჩანს, ისინი მათ უწოდებდნენ Lauc (Luc – ფუძიდან ნაწარმოები სახელებია – Lauxme, luxum, lucumio). შეიძლება აქედან მომდინარეობდეს – lauxumna – „სამეფო". არ არის გამორიცხული, რომ „ეტრუსკული მეფობის ინსტიტუტი", მოგვიანებით, მეტ-ნაკლები სიზუსტით განმეორდა რომის ადრეული ხანის ისტორიაში. თუ მოხერხდება „რომაული მეფობის" და, შესაბამისად, „მეფის ინსტიტუტის" შესწავლა, მნიშვნელოვნად გაიოლდება ამ საკითხის გარკვევა ეტრუსკულ საზოგადოების ის-

ტორიაშიც. ეტრუსკ მეფეებს ჰქონდათ თავისი ძალაუფლების დამადასტურებელი ინსიგნიები – სამეფო ტახტი, ტოგა და სკიპტრა (Dion. III.61, Flor. I. 1). მეფის გვირგვინს დეკორატიული მორთულობა ამშვენებდა, ოქროს ფირფიტებისაგან დამზადებული მუხის ფოთლები და რკოები (Tert. Cor. XIII. 1).

განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება მეფის ინსიგნიებს შორის ე. წ. ორმაგ ცულზე (რომაელები უწოდებდნენ „bipennis", ხოლო ბერძნები „labris"). მეცნიერებაში უკვე შენიშნულია, რომ ეტრუსკული ორმაგი ცული თავისი ფორმით და სამეფოძალაუფლების ფუნქციით, მიმართებას გვიჩვენებს მინოსური სასახლეების ლაბრისებთან (106; 66). ეს ცულები ხშირად არის ასახული კნოსოს სასახლის ფერწერაში, ისინი ხშირ შემთხვევაში ქურუმთა ატრიბუტია. ეს ცული ფიგურირებს მიცვალებულთა კულტთან – მაგალითად, პლინიუსი მოგვითხრობს, რომ კლუზიუმში მეფე პორსენას სამარხს „ლაბირინთს" უწოდებენ (ლაბირინთი – ლაბრისიდან უნდა მომდინარეობდეს) (Plin. Hist. Nat. XXXVI, 13).

ეტრუსკული საზოგადოების სოციალური სტრუქტურა იერარქიული იყო. მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა არჩევითი ხასიათისა იყო და ძირითადად არისტოკრატიული გვარის უპირატესობად ითვლებოდა (Liv. X. 13.3, II 44,6, IX 36, 3).

როგორც ჩანს, ეტრუსკული საზოგადოების იერარქიულ სტრუქტურებში გარკვეული ადგილი ეკავა მმართველობის ან მოხელეების ე. წ. „magistratus"-ის ინსტიტუტს (65; 118). მაგისტრატუსებში ერთ-ერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა უნდა ყოფილიყო „principes"-ისა. ეს ტერმინი ლათინურია და მისი შინაარსში ჩანს, რომ გარკვეულწილად შეესატყვისება ეტრუსკული უმაღლესი მოხელის თანამდებობრივ უფლებამოსილებას. ვინ იყვნენ ეს პრინცეპსები? – როგორც ჩანს, წარჩინებულნი, რომლებიც ქმნიდნენ გარკვეულ კატეგორიას ან ფენას, ვისაც სენატში ჰქონდა ყოფის უფლება და გარკვეული ფუნქციებით იყვნენ აღჭურვილი (106; 76). ამ თანამდებობის პირთა მოვალეობა და უფლებამოსილება არა არის ბოლომდე დაზუსტებული. თუმცა

---

[1] სოციალური და სამეურნეო სტრუქტურის საკითხებისათვის კრეტაზე მეადარე N. Brockmeyer Sozialgeschichte der Antike, Stuttgart 1972 42, 66, მიკენური სამყაროსათვის იქვე, გვ.75-77;

ერთ-ერთი ფუნქცია კი, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შრომისა და საბრძოლო ორგანიზაციის საკითხებით განისაზღვრებოდა. ზოგიერთი მეცნიერი იმასაც კი ფიქრობს, რომ ე. წ. „princips civitatis" („სახელმწიფოს პირველი კაცი") ეტრუსკებთან რესპუბლიკის პრეზიდენტის ფუნქციას ასრულებდა (106; 77). სავარაუდოა, რომ მათი თანამდებობა მეფის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

ეტრუსკული მაგისტრატურის სხვადასხვა თანამდებობიდან წყაროებში ფიგურირებს აგრეთვე – „zilath".[1] მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს მოხელეები თავისი ფუნქციებით შეესატყვისებოდნენ ათენში არსებული არქონტის ინსტიტუტს. ძილათები, როგორც ჩანს, ქმნიდნენ გარკვეულ კოლეგიებს, რომლის მეთაურად ზოგჯერ მოიხსენიება – „purth" ან „purthne". მეცნიერთა აზრით, ეს ტერმინი შეიძლება შემოსული ყოფილიყო ბერძნულიდან და ფუნქციონალურად შეესაბამებოდა ბერძნულ პრიტანის თანამდებობას. ამ თანამდებობაზე ინიშნებოდნენ შედარებით ახალგაზრდა მამაკაცები, 25 წლამდე (65; 127). ეტრუსკული სამარხის და მიძღვნითი ხასიათის წარწერებში ხშირად ფიგურირებს ტერმინი – „spure" („spurethi", „spureni"), რაც „ქალაქის" და სიტყვა „ქალაქიდან" წარმოებული ტერმინების – მოქალაქე, „მოქალაქეთა ორგანიზაციების" აღმნიშვნელი უნდა იყოს.

დღეს რთულია განისაზღვროს, თუ რა პრინციპს ეყრდნობოდა ეტრუსკული ქალაქების შიგნით მოსახლეობის დანაწილება, ხდებოდა ეს ეთნიკური, თუ პროფესიონალური ნიშნის საფუძველზე?!

ანტიკური ხანის ბერძენ-რომაელი ავტორები ყველანი ერთხმად აღიარებენ, რომ ეტრუსკულ საზოგადოებას ცხოვრების მაღალი დონე ჰქონდა. ზოგჯერ ერთგვარი შურითაც კი, აგვიწერენ მათ ფუფუნებას.

ალბათ, ერთ-ერთი საინტერესო პრობლემაა, თუ რას ემყარებოდა ეტრუსკული საზოგადოების კეთილდღეობა, რა ფაქტორები განაპირობებდა მათ სიმდიდრეს.

ანტიკური რომისა და საბერძნეთის წარმოებითი ურთიერთობა მონათმფლობელური იყო. ეს საზოგადოება ძირითადად, მონის

---

[1] ტერმინების შედარება მოახდინე M. Pallottino, Etruscologia 415... გვერდიდან.

მიერ წარმოებული დოვლათით არსებობდა.[1] მონა იყო მიწის მუშა, მშენებელი, შინამოსამსახურე, მებრძოლი; ბერძნულ-რომაულ საზოგადოებაში მონა იყო უუფლებო და არაფრისმქონე სრულიად დაუცველი არსება. რომაულ საზოგადოებაში „არაფრისმქონეთა ფენას" ავსებდნენ ლუმპერპროლეტარები და პლებსის წარმომადგენლებიც, თუმცა მონისაგან განსხვავებით, მათ ჰქონდათ პირადი თავისუფლება და ამ ხალხს იცავდა კანონი.

რომაული საზოგადოების დაბალ ფენას ქმნიდა აგრეთვე ხელოსან-მეწარმეთა კატეგორია, რომელთა მიერ წარმოებული დოვლათი ყიდვა-გაყიდვის საგანს, ანუ საქონელს წარმოადგენდა და მწარმოებელს, შრომის სანაცვლოდ, გარკვეული გასამრჯელო ეძლეოდა. ერთადერთი კლასი, რომლის შრომა ანაზღაურების გარეშე რჩებოდა, იყო მონათა, და სწორედ, ბერძნულ-რომაული საზოგადოების კეთილდღეობა მათ შრომაზე იყო დამოკიდებული. მონათა ჭარბი რაოდენობა განაპირობებდა იმ სიმდიდრეს, რითაც ეს საზოგადოება წარმატებით აგრძელებდა სარგებლობას.

კლასიკური მონათმფლობელური სამყაროსაგან განსხვავებით, სულ სხვა სურათს ვხედავთ ეტრუსკულ საზოგადოებაში, სადაც მონათა მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ბერძნულ-რომაული მონათმფლობელობის ფორმებისაგან.[2]

ანტიკური წერილობითი წყაროები მეტად ძუნწ ცნობებს მოიცავენ ეტრუსკულ საზოგადოებაში მონების მდგომარეობისა და მათთან დამოკიდებულების შესახებ. ერთი კი ცხადია, ბერძენ-რომაელი ავტორები გაკვირვებულნი აღევნებენ თვალყურს ეტრუსკ მეპატრონეთა ქარაფშუტობას და გამფლანგველობას, აღნიშნავენ, რომ მათი მონები გაცილებით მდიდრულად იყვნენ ჩაცმულნი, ვიდრე მათ სოციალურ მდგომარეობას შეეფერებოდა. თურმე ეტრუსკების მონები დიდი უფლებებით სარგებლობდნენ, ხშირად ბატონების გვერდით იმყოფებოდნენ და ნადიმობდნენ არისტოკრატების გვერდით (Oros. A. P. III. 5, 3-4).

ეტრუსკული სამარხის სცენებზე ხშირად ფიგურირებენ ახალგაზრდა მოსამსახურე გოგო-ბიჭები, გემოვნებით ჩაცმულნი, ისინი

---

[1] მდრ. N. Brockmeyer, Sozialgeschichte der Antike, St. 1972. იხილე, რომაულ-ბერძნულ სამყაროში ცნობები წარმოებითი ურთიერთობის შესახებ.

[2] რომაულ სტრუქტურებთან ეტრუსკული სოციალური სტრუქტურების განსხვავება და მსგავსების საკითხებისათვის შეადარე: Geza Alfoldy – "Romische Sozialgeschichte, Wiesbaden, 1984.

თავიანთი პატრონების გვერდით იმყოფებიან ნადიმებზე. ემსახურებიან და ართობენ მათ, თუმცა არსად არ ჩანს მათი დამცირების სცენები, სხვათაშორის, არც შიშველი სხეულის გამოჩენის ფაქტებიც. ეტრუსკული საზოგადოებისათვის არც ძალადობის მომენტები იყო უცხო, მაგალითად, ერთ-ერთ ფრესკაზე მონა, თუ მოსამსახურე გარკვეული დანაშაულისთვის იწკეპლება მუსიკის თანხლებით, რაც ფრიად ორიგინალური დასჯის წესია. აღსანიშნავია, აგრეთვე ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში ძნელია, ფრესკებზე სამოსის მიხედვით გაარჩიო ვინ არის პატრონი და ვინ მონა, ამ „საიდუმლოს" გამოცნობა უფრო ასაკის ფაქტორით ხდება შესაძლებელი. მოსამსახურე პერსონალი, თითქმის ყველა ფრესკაზე, ახალგაზრდაა და ლამაზი. ეს ფაქტორიც ეტრუსკების ერთგვარ გემოვნებაზე და ესთეტიკურ ფასეულობებზე მეტყველებს.

ეტრუსკული ეპიგრაფიკული მასალის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ „მონის" შესატყვისი ტერმინი არსად არ არის გამოვლენილი (65; 127). სამაგიეროდ, საფლავის ქვებზე ფიგურირებენ ტერმინები – Lautnite, lethaios, penesti – რაც მოსახლეობის დაბალი ფენების აღმნიშვნელი ტერმინები უნდა ყოფილიყო. „ლაუტნიტას" – ტერმინის გარშემო მეცნიერებს სხვადასხვა აზრი აქვთ: ერთნი ამ ხალხს გააზატებულ მონათა კატეგორიასთან აიგივებენ, მეორენი „კლასიკურ" მონებად განიხილავენ. თუ მართალია ეს უკანასკნელი პოზიცია, მაშინ რითი აიხსნება ის გარემოება, რომ „Lautnitha" (ქალს)-ს შეეძლო ქორწინებაში შესულიყო თავისუფალ კაცთან?! (65; 127).

რაც შეეხება გააზატებულ მონათა კატეგორიას, მას მეორე ტერმინი – „პენესტები" უნდა შეესატყვისებოდეს, ისინი ეტრუსკებთან ზედამხედველების, მეურნეობის მეთვალყურეების მოვალეობას ასრულებდნენ. ტერმინ „ლეთაიოსის"-ის ქვეშ ზოგიერთი მეცნიერი ეთნიკური ჯგუფის აღმნიშვნელ ტერმინს ხედავს, შესაძლებელია, რომ „Lethaios" – პელასგების ეთნონიმი ყოფილიყო (65; 127). ეტრუსკული მონათმფლობელური ურთიერთობების საკითხები, ცალკე კვლევის თემაა. ამ სფეროში ბევრი საკითხი ბუნდოვანი რჩება, მაგრამ ერთი ასპექტი უკვე ნათელია, ეტრუსკული მონათმფლობელობის სისტემა არ იყო კლასიკური ბერძნულ-რომაული მონათმფლობელური მოდელის ანალოგიური. ამას გარდა, ეტრუსკული საზოგადოების კეთილდღეობა არ ეფუძნე-

ბოდა უპირატესად მონის შრომას, ეს ძალა არ იყო განმსაზღვრელი ფაქტორი ეტრუსკული ეკონომიკისა და აი, რატომ: უწინარეს ყოვლისა, ეტრუსკულ საზოგადოებაში როგორც ასეთი – მონათა კლასი არ ჩანს, ეს უფრო ფენაა, რომლის საქმიანობა შინამოსამსახურის მოვალეობით შემოიფარგლებოდა. ისინი არ წარმოადგენდნენ მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებლებს. წყაროების მიხედვით (ჰეროდ. I 166, 167), ეტრუსკები სამხედრო გამარჯვებების შემდეგ, ტყვეებს მონებად როდი აქცევდნენ, არამედ მათ ან ადგილზე ხოცავდნენ, ანდა მსხვერპლად სწირავდნენ, რაც ჩვეულებრივ ადრეკლასობრივ საზოგადოებებს ახასიათებდა. ანტიკურ სამყაროში მონათა რიცხვის გაზრდა და შეძენა ძირითადად დამოკიდებული იყო სამხედრო გამარჯვებებზე; ომი და მისი წარმატებით დასრულება, ერთ-ერთი მთავარი წყარო გახლდათ ბერძენ-რომაელთათვის, რათა გაეზარდათ მონათა რიცხვი. როგორც ცნობილია, ბერძნები და რომაელები, მხოლოდ გარკვეული შურისძიების მიზნით თუ აწყობდნენ ტყვეების მასიურ გაჟლეტას.

საყურადღებო ფაქტია აგრეთვე ის, რომ სოციალურ კონფლიქტებში, რასაც ადგილი ჰქონდა ეტრუსკულ ქალაქებში არსად არ ჩანს ე. წ. „მონათა აჯანყების“ სურათი. ძირითადად, ეს არის პლებსის აჯანყება არისტოკრატების წინააღმდეგ. მაგალითად, ძვ.წ. 302 წ. არეცოში სოციალური უთანხმოება მოხდა ადგილობრივ არისტოკრატულ საგვარეულოსა და პლებსს შორის (Liv. 5, 3). მართალია, რომაელი ავტორების მიხედვით, ვოლსინში არეულობის დროს ეტრუსკ არისტოკრატებს დაუპირისპირდა ადგილობრივი გააზატებული მონების კატეგორია, მაგრამ ამ გადმოცემაში თავად რომაელი ავტორები გარკვეულ წინააღმდეგობაში ვარდებიან: – „ვოლსინელები, ეტრუსკებს შორის ყველაზე ძლიერნი, ძლივს გადაურჩნენ დაღუპვას, იყვნენ რა ფუქსავატნი, ისინი მონებს დიდ თავისუფლებას ანიჭებდნენ, ეპატიჟებოდნენ ნადიმებზე, ქორწინდებოდნენ მათზე. გააზატებულ ფენას ეძელოდა უფლება, მონაწილეობა მიეღო პოლიტიკურ ცხოვრებაში, სწორედ მათ გადაწყვიტეს ხელისუფლების ჩაგდება დანაშაულებრივი გზით, მოაწყვეს რა შეთქმულება და ბრძოლის გარეშე ჩაიგდეს ხელში ქალაქი, დასაჯეს არისტოკრატები და მიისაკუთრეს მათი ქონება და ცოლები“ (Oros. A.P. III 53-4; Val. M. IX.II.2). სოციალური ბრძოლის ზემოთაღწერილ სურათში ბევრი გაურკვეველი მომენტი

იჩენს თავს; კერძოდ, ძნელი წარმოსადგენია ის „ჰუმანური თანასწორუფლებიანობის პრინციპი", რომელსაც ეტრუსკი მონათმფლობელები ახორციელებდნენ მონებთან (მათთან ნადიმობდნენ, ცოლად ირთავდნენ და ასე შემდეგ). საგულისხმოა, რომ არც ერთი სხვა ისტორიული წყარო არ მიუთითებს ეტრუსკებთან შერეული ქორწინების ფაქტზე, როგორც ცნობილია, მხოლოდ „Lauthnita"-ს რომელიც თავისუფალი მეთემე უნდა ყოფილიყო, შეეძლო გაჰყოლოდა თავისუფალ კაცს, ხოლო რაც შეეხება მონაზე ქორწინების შესაძლებლობას, ეს დაუშვებელი იყო. წარმოუდგენელია, აგრეთვე ეოლსინში მონების ხელისუფლების სათავეში მოსვლაც. ვოლსინი ეტრურიის ერთ-ერთი მთავარი ქალაქი იყო, თუ მონების აჯანყება აქ წარმატებით განეითარდებოდა (რაც თითქმის დაუჯერებელია), სხვა ეტრუსკული ქალაქები არ დაუშვებდნენ, რომ მონებს თავის წარმატების ნაყოფით ესარგებლათ. ამ მოვლენას წინ აღუდგებოდა რომიც, რომელიც კლასიკური მონათმფლობელობის აკვანი იყო და ვოლსინის მაგალითი, რომაელი მონებისათვის მისაბაძი გახდებოდა მომავალში. ამდენად, ეოლსინში, როგორც სხვა ეტრუსკულ ქალაქებში, ადგილი ჰქონდა „ნახევრად თავისუფალთა" ანუ მეთემეთა აჯანყებებს, რომლებიც მიმართული იყო არისტოკრატიის ხელისუფლების წინააღმდეგ. ალბათ, ისინი იბრძოდნენ საკუთარი უფლებების გაზრდის მიზნით. მართლაც, ცნობილია, რომ ძვ.წ. III ს. დასაწყისისათვის შეუპოვარი წოდებრივი ბრძოლის შემდეგ, „მესამე წოდებამ" მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება და მონაწილეობა მიიღო ეტრუსკული ქალაქი-სახელმწიფოების მართველობაში.

ამდენად, ეტრუსკული საზოგადოების შიგნით იკვეთება ე. წ. თავისუფალ მეთემეთა დიდი ფენა (სოფლად), ხოლო ქალაქში კი, ე. წ. პლებსი, თავისუფალი, თუმცა წარმოების საშუალებას მოკლებული მასა. სავარუდოდ, სწორედ ეს ე. წ. „ნახევევრად თავისუფალნი" წარმოადგენდნენ ეტრუსკული საზოგადოების შიგნით დოვლათის ძირითად მწარმოებლებს (ამ ფაქტს საყურადღებო ანალოგიები მოეძებნება შუამდინარულ საზოგადოებაში).

ეტრუსკული საზოგადოებრივი ურთიერთობის მოდელი ანტიკური მონათმფლობელური სამყაროსათვის უჩვეულო გახლდათ, მაშინ როცა იგი ძალზე ახლოს იდგა ძვ.წ. II ათასწლეულის მინოსური საზოგადოების სტრუქტურასთან.

მინოსური კრეტა, რომელიც მედიტერანული სამყაროს ერთ-ერთი მთავარი ცენტრი იყო, თავისი დროისათვის დაწინაურებული და განვითარებული საზოგადოებრივი ურთიერთობებით ხასიათდებოდა. ლეგენდების მიხედვით, მეფე მინოსმა შექმნა უდიდესი და ძლიერი სახელმწიფო, რომლის ცენტრი კუნძულ კრეტაზე იყო. როგორც დღეს მეცნიერები ვარაუდობენ, ამ საზოგადოების კეთილდღეობა დამოკიდებული იყო ძირითადად თავისუფალ მეთემეთა შრომაზე. მონის შრომა აქ ნაკლებად იყო გამოყენებული. მონების ძირითადი წყარო რამდენადაც ცნობილია, ომები გახლდათ, ხოლო მინოსურ სამყაროში კი, იშვიათია საბრძოლო შეტაკებების, ომების ფაქტები. საზოგადოდ მიჩნეულია, რომ ტყვეების შრომა, რომელიც გამოიყენებოდა დიდ მშენებლობებზე, ნაკლებად კვალიფიცირებული გახლდათ, ამავე დროს, მათი შრომის ნაყოფიერებისა და შრომის უნარიანობის დონეც დაბალი იყო (43; 143).

ცოტა განსხვავებული სურათი გვაქვს ძველ მიკენურ საზოგადოებაში. აქ უკვე ფიგურირებენ მონები, უფრო მეტიც, აქ გამოყოფილია მონების გარკვეული კატეგორიები – „ღმერთის მონები", კერძო პირთა საკუთრება – მონები, ქალთა მონების ჯგუფი, მოსამსახურენი სასახლის კარზე, „სამეფო მონები" (50; 13).

მიკენში მონები ემსახურებოდნენ სასახლეებს, ნაწილობრივ დაკავებულნი იყვნენ სახელოსნოში, მაგრამ ძირითად მეურნეობაში – მიწათმოქმედებაში, მონათა შრომის გამოყენების ფაქტი არსად არ დასტურდება (50; 13).

საგულისხმოა, აგრეთვე ის გარემოება, რომ მიკენურ საზოგადოებაში არისტოკრატებისა და მონების გარდა ძირითად მასას წარმოადგენდა თავისუფალი მეთემეები (დ. ჩედეიკის გამოთვლით 50.000 მასა). მეთემენი უხდიდნენ სახელმწიფოს ნატურალურ გადასახადს და ჩანს, რომ მათ შორის კონტაქტები მხოლოდ ამ ურთიერთობებს ემყარებოდა.

სავარაუდოდ, ეტრუსკული საზოგადოების მოდელი, ანალოგიური უნდა ყოფილიყო ძველი მინოსური და მიკენური სამყაროსი. აღნიშნულ საზოგადოებაში, თუმცა გამოიყენებოდა მონის შრომა, მაგრამ მათ ექსპლუატაციას არ ჰქონია ისეთი ინტენსიური სახე, როგორც მოგვიანებით, კლასიკურ საბერძნეთსა და რომში. ეტრურიის ქალაქ-სახელმწიფოებში, რომლებიც საბერძნეთისა და რომის თანადროულნი გახლდნენ, წარმოებითი ურთიერთობის

ფორმები განსხვავდებოდა მონათმფლობელური საზოგადოებისაგან. ეს განსხვავება თავს იჩენდა არა მარტო წარმოებით მექანიზმის ხასიათში, არამედ იდეოლოგიაშიც; თუ რომსა და საბერძნეთში მონასთან დამოკიდებულების ფორმები უკიდურესად სასტიკი, დაუნდობელი და ჰუმანურობის პრინციპს მოკლებული იყო, ეტრურიაში მონების მდგომარეობა (რომელთა რიცხვი შედარებით მცირე იყო) მნიშვნელოვნად განსხვავებული იყო, შედარებით ერთგვარად „პრივილეგირებულიც" კი. ეტრუსკთა მონებს გარკვეული მყარი სოციალური პოზიციები ჰქონდათ მიკუთვნებული. სასახლის მსახურების რანგში, მათ კარგად კვებავდნენ, აცმევდნენ, მონები თავიანთ ბატონებს ემსახურებოდნენ ნადიმობისა და გართობების ჟამს. დიდი ნაწილი მონებისა წარმოდგენილი იყო პროფესიული ნიშნით – მუსიკოსების, მოცეკვაველების და აკრობატების სახით.

საინტერესოა ჯენდერის საკითხები, ეტრუსკული სოციალური ურთიერთობების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. ამ თვალსაზრისით, ეტრუსკები უფრო მეტ მიმართებას ავლენენ წინაბერძნულ-ეგეოსურ და ანატოლიურ სამყაროსთან, ვიდრე ანტიკურ ბერძნულ და რომაულ ცივილიზაციებთან. ჯენდერის საკითხებში ვგულისხმობთ ქალის როლს და მის განსაკუთრებულ მდგომარეობას ეტრუსკულ სამყაროში.

ეტრუსკების შეხედულება ქალზე და მის უფლებებზე რადიკალურად განსხვავდებოდა ბერძნულ-რომაული პატრიარქალური სტერეოტიპისაგან; ეს განსხვავება ნათლად აისახება ამ საზოგადოებების შეპირისპირების ფონზე:

1) ეტრუსკ ქალს, რომაელი მატრონასაგან განსხვავებით, ჰქონდა საკუთარი სახელი, რომელიც არ იყო „წარმოებული" მამის სახელიდან. საფლავის ქვის წარწერები მეტყველებდნენ იმ ფაქტზე, რომ მიცვალებულის ვინაობის მოხსენიების შემდეგ, ეტრუსკებს წესად ჰქონდათ, მშობლების,დედის და მამის, სახელის მითითება. მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ პატრონიმიკისა და მეტრონიმიკის ერთდროულ არსებობას.

ანტიკური სამყაროსათვის უნიკალურია ეს შემთხვევა, რასაც ვხედავთ ეტრუსკულ საზოგადოებაში: მაგალითად, საფლავის ქვის წარწერებზე მიცვალებული მამაკაცის სახელის გვარდით, მინიშნებულია მისი მეუღლის სახელი (მაგ: ცოლი (puia) ამა და ამ კაცისა).

2) სოციალური თვალსაზრისით, ეტრუსკულ საზოგადოებაში მამაკაცებსა და ქალებს თანასწორი უფლებები ენიჭებოდათ. ამას ადასტურებენ ის მრავალრიცხოვანი სამარხის ფრესკები, სადაც ქალი მამაკაცის გვერდით იყო გამოხატული საცირკო თუ თეატრალური წარმოდგენების დროს. ქალს აგრეთვე უფლება ჰქონდა დასწრებოდა ნადიმებსა და მამაკაცის გვერდით წამოწოლილს, დამტკბარიყო ლხინით. ამგვარი თავისუფლების გამო, ეტრუსკი ქალი არაერთხელ გაჰკიცხეს ბერძენ-რომაელმა ავტორებმა, უფრო მეტიც, ეტრუსკი ქალის პატიოსნებას კითხვის ნიშნის ქვეშაც კი აყენებდნენ სხვადასხვა ავტორები. პატრიარქალური რომისა და საბერძნეთისათვის წარმოუდგენელი იყო ქალის ესოდენ მძაფრად გამოკვეთილი „პიროვნული თავისუფლება". ადრეული რომის ისტორიაში, სადაც ჯერ კიდევ მკვეთრად შეიგრძნობა ადრეკლასობრივი საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი ერთგვარი კონსერვატიზმი, ქალის პიროვნება უგულვებელყოფილია, იგი ან მამის საკუთრებაა, ან ქმრის, შესაბამისად, მას არც ქონება აქვს, არც თავისუფლება და არც საკუთარი სახელი.

საბერძნეთში შედარებით უფრო „ლიბერალურ დამოკიდებულებას" ვაწყდებით ქალებთან მიმართებაში. სპარტაში ქალები საბერძნეთის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, მეტი უფლებებით სარგებლობდნენ, ისინი ესწრებოდნენ სპორტულ ვარჯიშებსა და თავად იღებდნენ მონაწილეობას სპორტულ ასპარეზობებზე. მაგრამ ეს ერთგვარად განპირობებული იყო სპარტაში არსებული მილიტარისტული სისტემის არსებობით, სადაც საზოგადოების ყველა წევრი „გასამხედროებული" იყო.

საბერძნეთში, გარდა „სპარტელი ქალებისა", ცნობილია ქალების ერთი სოციალური კატეგორია – ჰეტერები, რომლებსაც სხვა ქალებისაგან განსხვავებით, ჰქონდათ უფლება მონაწილეობა მიეღოთ მამაკაცების თავყრილობებზე და ნადიმებზე, უფრო მეტიც, ეს მათი პროფესია იყო. ჰეტერები ერთგვარად „თავისუფალი ყოფაქცევის" ქალების სტატუსით სარგებლობდნენ და საზოგადოების კონსერვატიულად განწყობილი წევრების აღშფოთებასაც კი იწვევდნენ, თუმცა ზოგიერთი მათგანი განსწავლულობითაც გამოირჩეოდა.

ანტიკური სამყაროსაგან განსხვავებით, ეტრურიაში ქალი გარკვეულ შემთხვევაში მამაკაცზე გაცილებით დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მაგალითად, გარდაცვალების შემდეგ ეტრუსკ

მანდილოსანს კლინოსზე დასვენებულს ათავსებდნენ სარკოფაგში (რათა უკეთ შენახულიყო ცხედარი), მაშინ როცა მამაკაცს ამგვარ პატივს არ მიაგებდნენ, ისინი კლისონის გარეშე იყვნენ დაკრძალულნი (114; 77).

ეტრუსკულ ოჯახში იკვეთება დედის კულტი, ხშირია აგრეთვე ფრესკები, სადაც ვხედავთ ეტრუსკული ოჯახების თბილ გარემოცვას: მშობლებისა და შვილების ნაზ და სათუთ ურთიერთობებს, რაც ეტრუსკი მხატვრებისათვის ძალზე ჩვეული თემაა. საგულისხმოა ისიც, რომ ამგვარი თემატიკა უცხოა იმხანის ბერძნულ-რომაული ხელოვნებისათვის. ეტრუსკული „ოჯახური სცენების" გვერდით, გვხვდება ბერძნული მოტივებიც, თუმცა აქტუალურია მინოსური თქმულებებიც, მაგალითად, ერთ-ერთ ეტრუსკულ ფრესკაზე გამოხატულია მინოსის შეულლე ჰასიფეა ჩვილი მინოგავრით ხელში, ამ საგიზღარ ურჩხულს დედა განსაკუთრებული სიფაქიზითა და სიყვარულით ეპყრობა.

დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეტრუსკი ქალის ესოდენ პრივილეგირებული მდგომარეობა რელიგიური, რწმენა-წარმოდგენებითაც იყო განპირობებული. ქალი ეტრუსკულ სამყაროში „დიდი დედა-ღვთაების", შემოქმედის, მიწიერი ორეული იყო. იგი იყო შთამომავლობის მომცემი, გამოკვები, გამზრდელი და ოჯახის კერიის მფარველი. ვოლტერაში აღმოჩენილია ერთ-ერთი ქანდაკება – ახალგაზრდა ქალი ჩვილით ხელში, რაც ძალზე ტიპურია ეტრუსკული სამყაროსათვის. „მეძუძური დედის" სკულპტურები აღმოჩენილია ეტრურიის სხვადასხვა ქალაქებში. მაგალითად, ძვ.წ. V საუკუნით თარიღდება კიუზის „დედა მატუტა" (პირობითი სახელწოდებით): სავარძელშია დაბრძანებული ახალგაზრდა ქალი, კარგად დამუშავებული კაბის ნაკეცებიდან ოსტატს გამოკვეთილი აქვს ძლიერი ფეხები, ხოლო ხელებში ქალს მოხდენილად უჭირავს ჩვილი; საოცარია ამ ქალის ფიგურა – ჯანმრთელი, სიცოცხლით სავსე, ხოლო მისი სახე კი, ზებუნებრივი სიმშვიდითა და სინაზით არის გაცისკროვნებული. ეს სკულპტურა მიწიერ ქალსა და ზეციურ ქალბატონს ერთდროულად განასახიერებს. როგორც ცნობილია, ორიენტალური და მედიტერანული სამყაროსათვის ეს თემა ძალზე ახლობელია და უძველეს წინააზიურ რელიგიურ წარმოდგენებს უკავშირდება.

თავი IX
ეტრუსკული რელიგია[1]

რელიგიური ლიტერატურა: რომაელ ავტორებთან (ლივიუსი, ციცერონი, კლავდიუს პულხერი, ნიგიდუსი, ტარკვინიუს პრისკუსი, ავლუს კაესინა, იულიუს აქვილუსი, იმპერატორი კლავდიუსი და სხვანი) საყურადღებო და მდიდარი ცნობებია დაცული ეტრუსკული რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესახებ, ისინი ეტრუსკული რელიგიის მრავალ ასპექტზე ამახვილებენ ყურადღებას. აღსანიშნავია, რომ ეტრუსკების რელიგიური წარმოდგენები დაფიქსირებული იყო წერილობით წყაროებში, რომელიც დღეს შემორჩენილია რომაელ ავტორთა თხზულებებში მხოლოდ ფრაგმენტების სახით.

ტრადიციის თანახმად, ეტრუსკების საკრალური სიბრძნე, რომელიც მათ ლეგენდარულ-მითიურმა გრძნეულებმა, ტაგესმა და ნიმფა ვეგოიამ გაანდეს, დაფიქსირებული იყო ეტრუსკთა წმინდა წიგნში – Disciplina Etrusca-ში. აღნიშნული წიგნი მოიცავდა მცირე ზომის თავებს, რომლებსაც ეწოდებოდათ – „ჰარუსპექსების წიგნები", წიგნები „ელვისნაირსახეობებზე", წიგნები „ფუგულატორთა შესახებ" – ეს ლიტერატურა გარკვეულწილად რიტუალურ-პრაქტიკული დანიშნულების სახელმძღვანელოებია. არსებობდა აგრეთვე სპეციალური სახლმძღვანელო – Libri Ritualis, რომელშიც მითითებული იყო პრაქტიკული ხასიათის რჩევა-დარიგებანი, თუ როგორ უნდა დაეარსებინათ ქალაქები, სადაც უნდა აგებულიყო ტაძრები, რა გზით უნდა წარმართულიყო თემის ორგანიზაცია და სხვ.

Disciplina Etrusca-ში გაერთიანებული იყო წიგნები Libri Fatales – მომავლის წინასწარმეტყველება და Libri Acherontici, რომელშიც იყო ცნობები იმქვეყნიურ სამყაროსა და სულებზე.

---

[1] ეტრუსკული რელიგიის შესახებ იხილე, ე. კობახიძე, ეტრუსკული საკულტო ტერმინოლოგია, თბ., 1994.

მაკრობიუსის ცნობით, ეტრუსკ სწავლულს ტარკვინიუსს პრისკუსს, შეუდგენია სახელმძღვანელო – წიგნი „ხეებზე წინასწარმეტყველებისათვის“, რასაც იყენებდნენ მომავლის განსაჭვრეტად.

პანთეონი: არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ეტრურიის თორმეტ ქალაქ-სახელმწიფოში არ არსებობდა კულტმსახურებისა და ღვთაებათა თაყვანისცემის ერთიანი სისტემა. სენეკა საინტერესო ცნობებს გვაწვდის ეტრუსკული პანთეონის შესახებ, ცნობები აქვს, აგრეთვე, პლინიუსსაც და მარციანე კაპელას "ღმერთების კატალოგში". პიაჩენცამი არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ ღვიძლის სამკითხაო მოდელზე კი, ეტრუსკული ღვთაებების თითქმის სრული ნუსხაა წარმოდგენილი (40 ღმერთის სახელი).

ციურ ღვთაებათა ჯგუფში, ე. წ. Dii Consentes-ის შემადგენლობაში, შედიოდა 12 ღმერთი, 6 მდედრი და 6 მამრი ღვთაება. მათ შორის უმაღლესი სტატუსი ჰქონდათ ტინსა და ველტუმნუსს. ღვთაება ტინი თავისი უზეანესობით ბერძნულ ზევსსა და რომაელ იუპიტერს შეესაბამებოდა. ტინი ეტრუსკული სამყაროს შემოქმედი, უზენაესი ღვთაება იყო. მას მიეწერებოდა სამყაროს შექმნა და ადამიანები მისგან მომდინარე სულით იყვნენ განარსებულნი. ტინს განასახიერებდა ერთდროულად მოხუცი და უწვერული ყმაწვილი ხელოვნების ნიმუშებზე. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ტინ-ველტუმნა სინკრეტული ღვთაებაა და ამ ღვთაების სრული სახელი – „ტინ ველთუნა“ (Tin-Velthuna) უნდა ყოფილიყო. ნაყოფიერების დიდ ქალღმერთს, ტურან-აისერას ბერძნულ-რომაული ექვივალენტი აფროდიტა-ვენერაა, ხოლო ფუძე „ტურ“ ნიშნავს „მიცემას“, „მინიჭებას“, რაც მედიტერანული დიდი დედა-ქალღმერთის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, რომელიც სამყაროს ანიჭებს დოვლათსა და სიუხვეს. ზევსი-ჰერას ეტრუსკულ პარალელად არის მიჩნეული ტინ-უნის (Tin-Uni) წყვილი. ძალზე დიდი პოლულარობით სარგებლობდა ეტრურიაში აპლუ (ელინური აპოლონი), ტურმსი (ელინური ჰერმესი), არგიმი (არტემიდა), ნეთუნი (ნეპტუნი). მათ სახელებს ხშირად ვხვდებით შესაწირ საგნებზე და ბრინჯაოს სარკეების მითოლოგიური სიუჟეტების აღწერისას. ეტრუსკული ქალ-ღვთაებები ადამიანების ბედ-იღბალს განაგებდნენ.

ეტრუსკული რელიგიური პანთეონი მრავალშრიანია. როგორც ცნობილია, უძველს ფენას წარმოადგენს დიდი დედა-ქალღმერთის დიდმედიტერანული სუბსტრატი, უფრო გვიანდელს – მამრობითი ღვთაებების სტრადი და უახლოესი შრე კი, წარმოდგენილია იტალიკურ-ბერძნულ ღვთაებათა სინკრეტული პლასტით. დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ ეტრუსკული პანთეონის ტრიადა, ორი ქალღმერთი (უნი და მენევრა) და მამრი ღვთაება (ტინი), წარმოადგენენ უზენაეს ღვთაებებს; ამ ღვთაებებმა მოგვიანებით რომაულ პანთეონშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს. უნი პოლისის მფარველ ქალღმერთად იყო მიჩნეული, იგი ქალაქ ვეის „დედა უფალი" იყო. ვიტრუვიუსის ცნობით (De arch., I,7), ეტრუსკი პარუსპექსების რეკომენდაციით, აუცილებელი იყო რომში „in excelsis simo loco იუპიტერის, უნისა და მინერვას ტაძრის აგება. სერვუსის ცნობით, „etruska disciplina"-ში მითითებული იყო ქალაქის დაარსების პროცესში სამი ტაძრის აღმშენებლობის აუცილებლობა, რომლებიც უნდა აგებულიყო იუპიტერის, იუნონასა და მინერვას სახელზე.

ეტრუსკთა ტაძრების არქიტექტურაში სამნავიანობის პრინციპი პირდაპირ კავშირშია ამ „სამების" სიმბოლიკასთან.

მარჩიელობა და წინასწარმეტყველება: ძველ რომში ეტრუსკ მარჩიელებს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. ეტრუსკების მარჩიელობის ხელოვნება მეცნიერების დონემდე იყო აყვანილი. ციცერონის ცნობით, „ეტრურია გულმოდგინედ აწარმოებდა სწავლულ დაკვირვებებს იმაზე, თუ რა ხდებოდა ცაში, ამასთანავე, ეტრუსკები გამოირჩეოდნენ ნიჭით სასწაულების გამოცნობაში. ამიტომ კარგად მოიქცა სენატი ჩვენი წინაპრების ხანაში... მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ თითოეული ეტრუსკული ტომიდან ათი ეტრუსკი წარჩინებული ვაჟი გაემწესებინათ ამ ხელოვნების შესასწავლად, რადგანაც თუკი ამ საქმეს მდაბიო მოჰკიდებდა ხელს საპატიო, წმინდა საქმიანობიდან შეიძლება სარფიან ხელობად ქცეულიყო და ანგარების მიზნით ყოფილიყო გამოყენებული" (De divin, 1,92).

ტრადიციის მიხედვით, წინასწარმეტყველება ეტრუსკებს მითიურმა ტაგესმა და ნიმფა ვეგოიამ შეასწავლათ. ღმერთი ტაგესი ტარკვინიაში მიწის ბელტიდან ამოხტა და ხალხს ჰარუსპიციის საიდუმლოებანი გაანდო. ჰარუსპექსები (მათ ეტრუსკულად netsvis

უწოდებდნენ) განთქმულნი იყვნენ ღვიძლზე მარჩიელობით. ნიმფა ეეგოიას საკრალური სიბრძნე, რომელიც Libri ritualis და Libri fulgurales წიგნებში იყო ჩაწერილი, ეტრუსკებს ცაზე და ელვაზე მარჩიელობის ხელოვნებას ანდობდა. ამ მისნებს ფულგულატორებს, ხოლო ეტრუსკულად Trunt Frontac-ის უწოდებდნენ. ეტრურიაში გავრცელებული იყო აგრეთვე მკითხაობა, რომელიც ხორციელდებოდა ფრინველების ფრენაზე დაკვირვებით. ეს ტიპი მარჩიელობისა განსაკუთრებით პოპულარული იყო მცირე აზიაში, კარიაში. რომაელები დიდი კრძალვითა და რიდით ეპყრობოდნენ ეტრუსკ მარჩიელებს. ტაციტუსის ცნობით, თვით იმპერატორი კლავდიუსი მეცენატობდა ჰარუსპექსთა კოლეგიის დაარსებას რომში, რათა დავიწყებას არ მისცემოდა იტალიაში ეს უძველესი მეცნიერების დარგი (Ann., XI.15).

ეტრუსკული ღვთაებანი	სხვა შესატყვისი ღვთაებები	ზოგადი შენიშვნები
Aita, Eita	პლუტონი (რომაული)	მიწისქვეშეთის მეუფე და მიცვალებულთა ღვთაება. მგლის თავიანი მამაკაცის გამოსახულება (ბერძნული ჰადესი)
Ani	იანუსი (რომაული)	ცის ღვთაება, ყოველივე საწყისის ღვთაება. შენიშვნა: Ani/Ana (მამრი და მდედრი ექვივალენტი)
Aplu	აპოლონი (ბერძნული)	ამინდის ღვთება, ჭექა-ქუხილის ღვთაება
Artumes/Artimi	არტემისი (ბერძნული)	ბუნების და მღვიძეების ქალღმერთი, აგრეთვე ღამისა და სიკვდილის ქალღვთაება
Atuns	ადონისი (ბერძნული)	ხელმოერედ მობილი ღმერთი, ახალგაზრდა კაცის გამოსახულებით, ტურანის მეწყვილე
Cautha Cath	–	მზის ღმერთი, ოკეანიდან ამომავალი
Cel Cilena	სელენსი	ბერძნული Gaia Ati/Apa Cel ექვივალენტი დედა/მამა მიწა
Charontes	–	სიკვდილის დემონი, სახელით ჰგავს ბერძნულ ჰარონს
Cul Culsu	–	ეტრუსკული დემონი ქალი, მიწისქვეშეთის მკვიდრი
Evan	–	ლასათა ჯგუფი, ქალღმერთი იცავს ადამიანებს
Ethausva	–	ფრთოსანი ქალი, ტინთან ერთად გამოხატული
Februus	–	გაწმენდა და განახლება, უკავშირდება თებერვალის თვეს
Feronia	–	ეტრუსკული წარმომაელობის ღვთაება ქალი,

ეტრუსკული ღვთაებანი	სხვა შესატყვისი ღვთაებები	ზოგადი შენიშვნები
		უკავშირდება ტყეებს, ცეცხლსა და ნაყოფიერებას
Fufluns	ბაქუსი? (ბერძნული)	ღვინის ღმერთი, ბუნების ღვთაება, გაშაფხულის ღვთაება სემიას ვაეი
Horta	–	მიწათმოქმედების ქალღმერთი
Hercle	პერაკლე (ბერძნული)	ძალისა და ამინდის ღვთაება (?)
Karun/Charun	–	სიკვდილის დემონი, ლურჯი დემონი (?!)
Laran	–	ომის ღმერთი. ასალგაზრდა კაცი
Lusna/Losna	–	მთვარის ქალღმერთი
Maris	მარსი (რომაული)	სოფლის მეურნეობისა და ნაყოფიერების უზენაესი ღვთაება
Menrva	მინევრა (რომაული)	სიბრძნისა და სელოვნების ქალღმერთი, ტინის თავიდან იშვა
Nethuns	ნეპტუნი (რომაული)	წყლის ღვთება, დელფინებთან ერთად გამოსახული
Nortia	ფორტუნა (რომაული)	ბედის ქალღმერთი (ახალ წელს უკავშირდება რიტუალი, ხეში ლურსმანის ჩარჭობა)
Persipnei	პერსეფონე	მიწისქვეშეთის დედოფალი
Satres	სატურნი (რომაული)	დროის ღმერთი, მოხუცი კაცის გამოსახულებით
Selva	სილვანუსი (რომაული)	მიწის ღმერთი
Thaina	–	ქალღმერთი უკავშირდება მშობიარობას
Tuchulcha	–	დემონი, ცხენის ყურებით და გველებით ხელში
Tinia Tins	იუპიტერი (რომაული)	უზენაესი ცის ღმერთი

ეტრუსკული ღვთაებანი	სხვა შესაგყვისი ღვთაებები	ზოგადი შენიშვნები
Tiv (r)	–	მთვარის ღმერთი
Turan	ვენუსი	სიყვარულის ქალღმერთი ვულჩის მფარველი, გამოხატულია ფრთოსან ქალღმერთად
Turms	მერკურ() (რომაული)	ვაჭრობის ღმერთი
Turns Aitas	–	მიცვალებულის მეუფე
Tvath	დემეტრა (ბერძნული)	სიკვდილის და სიცოცხლის ქალღმერთი
Uni	იუნონა (რომაული)	უზენაესი ქალღმერთი, კოსმოსის მფარველი, პერუჯიას დიდი-დედა ქალღმერთი
Usil	–	მზის ღმერთი
Vauth	–	სიკვდილის დემონი
Veltlıa	Voltumna (ლათინური)	ეტრუსკების მფარველი ღვთაება, ეტრუსკული ლიგის მთავარი ღვთაება, მისი სახელობის ზოედანი იყო ვოლსინში – Forum Voltumnae
Vetis	–	სიკვდილის და განადგურების ღვთაება
Lasa Vecu	ნიმფა ვეგოია (ლათინური)	აღორძინების, სიმდიდრის, კეთილდღეობის მფარველი ქალღმერთი

კოსმოგონიური და ასტრალური წარმოდგენები: ეტრუსკები, ისევე როგორც სამყაროს სხვა ძველი ხალხები, თავიანთ კოსმოგონიურ სისტემაში სამყაროსა და სიცოცხლის წარმოშობის ფენომენს მითოპოეტურ, მითოლოგიურ პრიზმაში განიხილავდნენ; მესოპოტამიური, ეგვიპტური, ანატოლიური, ბერძნულ-რომაული კოსმოგონიური წარმოდგენების გვერდით, საინტერესოა ეტ 3 უსკული წარმოდგენები სამყაროს გაჩენის, მისი ბუნებისა და, საერთოდ, კოსმოსის გააზრების შესახებ. არსებითად ამ სფეროში ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ახ.წ. X საუკუნის ბერძნულ ენაზე შექმნილი ლექსიკონი, რომელიც ცნობილია სვიდას სახელწოდებით. სვიდას ცნობები ეტრუსკთა კოსმოგონიაზე, ისევე როგორც სხვა ინფორმაცია ეტრურიის შესახებ, თავმოყრილია სიტყვაში – „ტირენია". „ტირენია, ქვეყანაა და ტირენები, ტუსკებად წოდებულნი. მათი ისტორია დაწერა სწავლულმა კაცმა. მან მოგვითხრო, თუ როგორ შრომობდა ღმერთი – ყოვლის შემოქმედი, 12000 წლის განმავლობაში თავის ქმნილებებზე, რომლებიც მან განალაგა 12 სახლში. პირველ ათასწლეულში მან შექმნა ცა და მიწა. მეორე ათასწლეულში – მთელი ხილული, ციური სამყარო, მესამე ათასწლეულში – ზღვა და წყლები, დედამიწაზე მდინარე, მეოთხეში დიდი მნათობები, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მეხუთეში – ყველა სულიერი, მფრინავი, ქვემძრომი და ოთხფეხა, ჰაერში, მიწაზე და წყალში, მეექვსე ათასწლეულში – ადამიანი; დარჩენილი ექვსი ათასწლეული ადამიანთა მოდგმის სიცოცხლისათვისაა განწესებული, სანამ არ ამოიწურება მთელი დრო 12 ათასწლეულის აღსრულებამდე".

ეტრუსკების აზრით, კოსმიურ და მიწიურ სამყაროებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა. პიაჩენცას ღვიძლის მოდელი, რომელიც ახალბედა მარჩიელთათვის იყო განკუთვნილი, კოსმოსს ასახავდა. მასზე აღნიშნული იყო სხვადასხვა პლანეტები შესაბამისი სახელწოდებებით, რომლებიც გარკვეულ ღვთაებათა ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ადამიანი, ეტრუსკთა რწმენით, დაკავშირებული იყო კოსმიურ სამყაროსთან, მისი ბედი ღვთაებრივი ძალებით იყო დეტერმინირებული. ადამიანის სიცოცხლე დაყოფილი იყო 12 შვიდწლეულად (ე. წ. hebdomades). პირველი ათი შვიდწლეული ცხოვრების ბერნიერი ხანა იყო, ხოლო ბოლო ორ შვიდწლეულში ადამიანს ჭკუა-გონება ეკარგებოდა. მეშვიდე შვიდწლეულის ბოლოს ჰარმონიული კავშირი კოსმოსსა და ადა-

მიანს შორის ირღვეოდა. სწორედ ღვთაებრივი ნების აღქმის უნარი აძლევდა ადამიანს ჭკუა-გონებას, რომელსაც იგი ბოლო ორ შვიდწლეულში კარგავდა.

თავი X
ეტრუსკული ხელოვნება.

ნატიფი ბერძნული ხელოვნების ფონზე, ეტრუსკული ხელოვნების ნიმუშები ოდნავ ტლანქი შეიძლება მოგეჩვენოთ. როგორც აღნიშნავენ სპეციალისტები, ეტრუსკულ ხელოვნებას გარკვეულწილად „ელეგანტური მოუხეშაობის“ ფორმა აქვს, რომელიც განასხვავებს მას კლასიკური ხელოენებისაგან, მისი ძირითადი ესთეტიკური პრინციპებისაგან.

ექსტაზური ჟესტებით გამოხატული ფიგურები, აბსტრაქტული ხედვა, დაუსრულებლობის შეგრძნება, მუსიკალური რიგმით აღსავსე პლასტიკა, ინტენსიური ფერები, ყოველივე ეს განსაკუთრებით გამოკვეთაედა ეტრუსკული ხელოვნების თვითმყოფად, ინდივიდუალურ საწყისებს ანტიკური ხელოვნების ფარგლებში. ხშირად განცდებისა და ემოციების ხაზგასმულად გამოხატვის მიზნით, ეტრუსკი ოსტატები განსაკუთრებულ ხერხებს მიმართავდნენ, ხდებოდა სხეულის ფორმების არაბუნებრივი სახით გადმოცემა, პროპორციადარღვეული ფორმების გამოსახვა.

ეტრუსკულ ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პლასტიკას, სკულპტურისა და მცირე ზომის ქანდაკებების სახით, რამაც ბერძნული ზეგავლენა განიცადა. მაგალითად, ეტრუსკული აპოლონის ქანდაკება ქალაქ ვეიდან იონიური სტილის გავლენით არის შექმნილი. წინგადადგმული, მიზანდასახული ნაბიჯი და ხელების მოძრაობა ქანდაკებას გარკვეულ დინამიურობას ანიჭებს. თავზე უწესრიგოდ დაყრილი კულულები და ტუნიკის ნაკეცებში გამოკვეთილი ფეხის ფორმა კი, თითქოს „აცოცხლებს“ ქანდაკებას. განსაკუთრებით სპეციფიკურია ეტრუსკული სარკოფაგები და მასზე გამოხატული სკულპტურები. ძირითადად, ეს სკულპტურები პორტრეტული ხასითისაა, თუმცა ოსტატი გარეგნული მსგავსების გამოხატვის გვერდით, ცდილობს, სკულპტურაზე ფსიქო-ინდივიდუალური საწყისებიც წარმოაჩინოს. ემოციები, განწყობილება, ხასიათი გარკვეული ეფექტური ხერხებით არის

წარმოდგენილი. მაგალითად, ერთ-ერთ სკულპტურაზე (კიუზი. ძვ.წ. IV ს. პარიზი. ლუვრი. MA. 2348) გამოხატულია წყვილი. ინტიმური გარემო, ნაზი, სათუთი ურთიერთობები ამ სკულპტურას განსაკუთრებულ ემოციურ დატვირთვას ანიჭებს. ხელჩაკიდებული წყვილი, თითქოს ოჯახურ გარემოში, მშვიდად ესაუბრებიან ერთმანეთს. მათი სიმშვიდე არაბუნებრივი და არაამქვეყნიურია. მაღალი ოსტატობით არის დამუშავებული სახის ნაკვთები, თმის ვარცხნილობა, ჟესტიკულაცია. მედარებით უგულებელყოფილია სხეულის პროპორციები, ფორმები.

ეტრუსკული ფერწერის ძირითადი ნიმუშები შემოგვრჩა სამარხის ფრესკებიდან. ძვ.წ. 530 წლით თარიღდება ე. წ. „აუგურთა სამარხი", რომელიც შედგება ორი კამერისაგან. ცენტრში გამოხატულია სპორტული ასპარეზობა – გლადიატორთა შერკინება. „ძუ ლომის" სამარხის ფრესკებზე წარმოჩენილია ეტრუსკების საყვარელი თემა – ნადიმობა და ცეკვა-თამაში. სამარხის ერთ-ერთ კედელზე გამოხატულია მუსიკოსების დასი, ლირაზე და ფლეიტაზე დამკვრელები. ლაბადამოსხმული ქალი კი, რიტმულ მოძრაობებს ასრულებს, მის გვერდით ახალგაზრდა ქალ-ვაჟი აღტკინებით ცეკვავს. ეს ფრესკები მდიდარია ექსპრესიული სცენებით და მრავალმხრივია თემატიკით. ფრესკებზე გამოხატულია მცენარეული დეკორი, უხვი და ფერადი გამა მხიარულ განწყობილებას ქმნის.

მეტად უჩვეულო და ლამაზი პეიზაჟია გამოხატული ე. წ. „ნადირობისა და თევზაობის" სამარხის ფრესკებზე. ორი მებადური ანკესმომარჯვებული გასულა ზღვაში, ლურჯ სივრცეში დაცურავენ სხვადასხვა თევზები, ცაში კი დანავარდობენ ფრინველები. ამ ხანის ეტრუსკ ხელოვანთა შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბუნებას, ჰარმონია ბუნებასა და ადამიანს შორის – ეს ეტრუსკული ფერწერის საყვარელი თემაა. ეტრუსკ მხატვრებს საკუთარი ინტერპრეტაციით აქვთ გადმოცემული სიუჟეტები, რომლებიც დაკავშირებულია ტროას ომთან. ერთ-ერთ ფრესკაზე გიგანტურ ცხენზე ამხედრებული ტროელი უფლისწული ჩასაფრებული ელოდება აქილევსს. ირგვლივ გამოხატულია მშვიდობიანი გარემო: პალმის ხე, წიწვოვანი მცენარეები, ყვავილები, მადრევანი, რაც ფრესკის დეკორაციულ ფონს ქმნის.

ბერძნული კლასიკური სტილის მიმართ გარკვეული ინტერესი ჩნდება ძვ.წ. V საუკუნის სკულპტურაში. ეს გავლენა განსაკუთრე-

ბით თვალშისაცემი ხდება „ძუ მგელისა“ და „ქიმერას“ სკულპტურებზე. „ძუ მგელის“ ავტორად მიჩნეულია ეტრუსკი სკულპტორი ქალაქ ვეიდან – ვულკა. ეტრუსკული ხელოვნების ეს ორი ძეგლი წარმოადგენს ეტრუსკული და ბერძნული ტრადიციების სინთეზის ნიმუშს. ამ სკულპტურების სტილი, რომელიც კლასიკურია, ამავე დროს, თითქოს აგრძელებს ეტრუსკული სკულპტურისათვის დამახასიათებელ დეკორატიულ-რომანტიკულ ბუნებას. ასევე, ე. წ. კლასიკური სტილისათვის დამახასიათებელი, სრულყოფილი და პროპორციული – „ძუ მგელი“, ეტრუსკული „ექსპრესიულობით“ არის გამოსატული: გაავებული, პირდაფჩენილი ხახით, მზად არის საბედისწერო შეტაკებისათვის. მისი სხეული, თმა-ბალანი დეკორატიული სტილით არის წარმოდგენილი. ასევე ეტრუსკულ მანერაშია შესრულებული ქიმერას სკულპტურა, დახვეწილი პროპორციები და კლასიკური სრულყოფილება ერწყმის ეტრუსკულ ფანტასმაგორიას. ურჩხული ქიმერა – წმინდა ეტრუსკულ-ორიენტალური მითოსის პერსონაჟია.

კლასიკური ხანის ეტრუსკული პორტრეტის საუკეთესო ნიმუშებია – „ყმაწვილის თავი“ და „ორატორის“ სკულპტურები. „ყმაწვილის თავი“ ახალგაზრდა კაცის პორტრეტია. ჭაბუკური სახე და სევდიანი მზერა მას რომანტიკულ იერს ანიჭებს, ნატიფი ნაკვთები, თხელი ტუჩები, ხშირი წარბები, მის ინდივიდუალურ-პორტრეტულ ხასიათზე მიგვანიშნებს. მართალია, ეტრუსკულ ხელოვნებას, ბერძნული ხელოვნების დარად, არ მიუღწევია სრულყოფილების უმაღლეს დონემდე, თუმცა, სილამაზე და სიმახინჯე, ჰარმონია და დისჰარმონია, ეს ორი პოლუსი ტოლფასად არის წარმოჩენილი ეტრუსკულ ხელოვნებაში. ეტრუსკები გარემომცველი, მათთვის ნაცნობი სამყაროდან ირჩევდნენ შთაგონების წყაროს. ამასთანავე, მათ არ ღალატობდათ ესთეტიზმის განცდაც. ეტრურიის პოლიტიკურ კრახთან ერთად იწყება ეტრუსკული ხელოვნების დეკადენსი. კლასიკური ხანის შემდგომ პერიოდში ეტრუსკული ტრადიციები თანდათან იკარგება, უფერულდება ეტრუსკული ფერწერისათვის დამახასიათებელი მხიარული ატმოსფერო, სჭარბობს მელანქოლიური და ტრაგიკული თემატიკა. ეტრუსკული ლიტერატურული წყაროების, ეპოსის არარსებობის პირობებში, ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ ეტრუსკული მითების გმირთა მეტად სქემატური აღწერით, რომელიც ბერძენ-რომაელმა ავტორებმა შემოგვინახეს. ეტრურიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გმირი ჰერკლეა, რო-

მელიც ჰერაკლე-ჰერკულესთანაა გაიგივებული. ძვ.წ. VI საუკუნით დათარიღებულ ჰიდრიებზე, რომლებიც ქალაქ ცერეშია აღმოჩენილი, აღწერილია მისი გმირობები. ხშირია მისი გამოსახულებები ეტრუსკულ სარკეებზე, ვერცხლისა და ბრინჯაოს ეტრუსკულ მონეტებზე. ყოველ ეტრუსკულ ქალაქს თავისი მითოლოგიური წინაპარი ჰყავდა. მაგალითად, ტარხონი იყო ქალაქ ტარკვინის დამაარსებელი და მამამთავარი. ეტრუსკულ სარკეებზე გამოხატულია მთელი რიგი მითოლოგიური სცენები, რომლებიც ანატოლიურ სამყაროს უნდა უკავშირდებოდეს. ეტრუსკულ ჭურჭელზე, ფრესკებზე ვხედავთ სხვადასხვა სიუჟეტებს და ექსპრესიულ სცენებს. ნიშანდობლივია, რომ ეტრუსკული კულტურა უკვალოდ არ გამქრალა, მან გარკვეული ზეგავლენა მოახდინა რომაელთა ყოფა-ცხოვრებაზე, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე და ზოგადად ევროპულ კულტურაზე.

თავი X
"მარადიული ეტრუსკები"- თანამედროვეთა თვალით დანახული ეტრუსკული სამყარო

(„ვირტუალური" ექსკურსია ეტრუსკულ სამარხებში)

დღეს იტალიის უძველესი მიწა-ტოსკანა ბევრ მეცნიერსა და ტურისტს ხიბლავს. ჰერკულანუმისა და პომპეის მსგავსად (ქალაქები, რომლებიც იქაური მოქალაქეების სამარხებადაც იქცნენ), მართალია, ეტრუსკული ქალაქები უკვე დიდი ხანია ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ ამ ცენტრების არსებობა დღეს ისეთივე რეალობაა, როგორც ეტრუსკების უძველესი სამარხების და აკლდამების ნაშთები თანამედროვე იტალიის ტერიტორაზე.

ეტრუსკული სამყაროს შესახებ ცოტა რამ ვიცით, ნაწილობრივ, ჩვენ ცოდნას სწორედ ეტრუსკული სამარხის ფრესკები ამდიდრებენ, ამდენად, ეტრუსკული კულტურა შეიძლება „ნეკროპოლისების კულტურადაც" მოვნათლოდ. „ნეკროპოლისების ქალაქში" ერთი დღის ექსკურსიის შემდეგ, ეტრუსკული კულტურის მკვლევარმა შეიძლება, ბევრი მისთვის უჩვეულო და საინტერესო აღმოაჩინოს ამ ხალხის შესახებ, ჩაიხედოს ამ უძველესი ეთნოსის სულში და ეზიაროს იმ სამყაროს, რომელსაც „ეტრუსკული ფენომენი" ჰქვია.

ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში გაზაფხული და ზაფხული ძალზე ცხელი სეზონებია. ლაქვარდოვანი ცა, ფირუზისფერი ზღვა და მცხუნვარე მზე ემოციებითა და ხალისით აღავსებს ადამიანებს. ალბათ, ამ უძველესი ხალხის ხასიათთან და ტემპერამენტთან ერთად, ბუნებამაც თავისი გავლენა იქონია ეტრუსკების მსოფლმხედველობითი ორიენტირისა და გემოვნების ჩამოყალიბებაზე, რითაც ისინი ასე განსხვავებულნი იყვნენ მთელს მედიტერანულ აუზში. ეტრუსკები ლაღი, ხალისიანი და მხიარული ხალხი იყო, სამყაროს ისინი ფერად ფერებში აღიქვამდნენ, არც ფანტაზია და მდიდარი წარმოსხვა აკლდათ. ეტრუსკებს სხვებისაგან განსხვავებული დამოკიდებულება ჩამოუყალიბდათ სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული კანონის მიმართ. მათი თანამედროვე ბერძნებისაგან

განსხვავებით, სიკვდილის ცნება არ ჰქონდათ დრამატიზირებულად აღქმული: ეტრუსკებთან სიკვდილი არ იყო დაკავშირებული უსხეულო სუბსტანციის მარადიულ ტანჯვასთან, საიქიოს პირქუშ გარემოსა და მის შემაძრწუნებელ ბინადრებთან. ამიტომაც თანამედროვე თვალით დანახული ეტრუსკული ნეკროპოლისები პატარა ქალაქებს მოგვაგონებს, სადაც დღესაც „ჩქეფს" „მარადიული" ეტრუსკების ცხოვრება.

ტარკვინიის ერთ-ერთი სამარხის ფრესკაზე დღესაც შემორჩენილია ეტრუსკების მიწისქვეშეთის სამყაროს ორი დემონის-ჰარონისა და ვანთის ფიგურები, რომლებიც სამარხის შესასვლელ კარებთან არიან გამოხატულნი. სამარხი ძვ. წ. III საუკუნით თარიღდება და ისტორიულად იმ ხანას უკავშირდება, როცა რომაელები ეტრუსკებს უკვე სერიოზულად ჩაგრავდნენ და ავიწროვებდნენ. ერთი შეხედვით, არაფერია უჩვეულო სამარხში მიწისქვეშეთის დემონების გამოჩენაში, თუ არ გაითვალისწინებთ მათ ხასიათსა და გამოსახვის არაგრადიციულ მანერას: ორივე დემონი ეტრუსკული სტილისაგან აშკარად იჩენს „გადახრას", პირსისხლიანი და შავფრთიანი მონსტრები სერიოზულ შეძრწუნებას და შიშს იწვევენ მნახველში. არადა, ერთი შეხედვით, ეს ძალზე არაბუნებრივია ეტრუსკული ტრადიციული სამარხეული ფერწერის ხასიათისა და თემატიკისათვის. არქაული და კლასიკური ხანის ეტრუსკული გენიები თუ დემონები ძალზე „სიმპათიური" შესახედაობისა არიან. ცერეს ერთ-ერთ სამარხში (ძვ. წ. VI „კამპანას ფირფიტა" – სამარხის სახელი) გამოხატული ორი ფრთოსანი გენია – წვეროსანი და შედარებით ახალგაზრდა მამაკაცი, ქრისტიანული ციური იერარქიის მთავარანგელოზებს უფრო მოგვაგონებენ, ვიდრე დემონებს. ახალგაზრდა უწვერულ მამაკაცს სათუთად უჭირავს ხელში გარდაცვლილი ქალის სხეული. ეტრუსკებს ყოველთვის უყვარდათ ზებუნებრივი, ფანტასტიკური და მითიური არსებების გამოხატვა. თითქოსდა ეს არსებები მათი რეალური ცხოვრების თანამგზავრები გამხდარიყვნენ, მათ ხშირად იხილავდით ადამიანთა გარემოცვაში: მაგალითად, მხიარული საგირები ცეკვავდნენ და ლაღობდნენ ვენახებში ადამიანებთან ერთად, ტერაკოტისაგან დამზადებული გორგონა-მედუზას გროტესკული სახე კი, ტაძრის ფრონტონის სივრციდან, "ნიღბიანი მასხარას" ღიმილით უმზერდა მლოცველებს, მინოსის ენებიანი მეულლე პასიფეა განსაკუთრებული მზრუნველობით ეფერებოდა

საკუთარ ურჩხულ–შვილს, მინოტავროსს. ეს ზებუნებრივი არსებები ნახატებზე ადამიანების მიმართ ყოველთვის კეთილგანწყობილებით „გამოირჩეოდნენ". ამდენად, უჩვეულოა ჰედონისტი ეტრუსკებისათვის დემონების- ჰარონისა და ვანთის ეს პირქუში სახეები, რომლებიც ადამიანს სინანულის განცდას, შიშსა და დანაშაულის გრძნობას უღვივებენ.

დიდი წარმოსახვა სჭირდება ადამიანს იმისათვის, რომ გონებაში გააცოცხლოს ეტრუსკული ქალაქების ცხოვრების სურათები: ხალხმრავალი და ხმაურიანი ტარკვინიის ქუჩებში თავს იწონებდნენ მდიდრულად ჩაცმული თავსაბურიანი ქალბატონები, საგანგებოდ პირგაპარსული, ფერადტუნიკიანი ეტრუსკი მამაკაცები და კარგად მოვლილი მსახური გოგო-ბიჭები სადღაც მიიჩქაროდნენ. ეტრუსკებს განსაკუთრებით უყვარდათ მდიდრული ჩაცმა-დახურვა, არისტოკრატ ეტრუსკ მამაკაცებს „ნესვის" მოყვანილობის ქუდები ამშვენებდათ, მათი ქალები კი, უზადო გემოვნებით დამზადებული სამკაულებით იწონებდნენ თავს. „ნეკროპოლისის ქალაქის" ფრესკებზე აირეკლებოდა ოდესღაც ცოცხალი ეტრუსკული ქალაქების ცხოვრება. სიკვდილის შემდეგ ეტრუსკების მდიდრული და კომფორტული ცხოვრება კვლავ „გრძელდებოდა"; ეტრუსკი ხელოსნები საგანგებოდ აგებდნენ სამარხებს, რომლებიც ფორმით საცხოვრებელი სახლების მაკეტებს ჰგავდა. „მიცვალებულთა ქალაქში" გაყვანილი იყო საღრენაჟო- საკანალიზაციო სისტემა, სამარხები კი, გაწყობილი იყო ავეჯითა და სხვადასხვა ნივთებით. ეტრუსკები იმდენად ტკბებოდნენ სიცოცხლით, რომ ვერ წარმოედგინათ ადამიანის ფიზიკური გარდაცვალება. დღესაც არ ვიცით, ეგვიპტელების მსგავსად, მათთაც თუ სწამდათ სულის უკვდაებისა, მაგრამ ეგვიპტელების დარად, ისინიც ხატავდნენ სამარხის ფრესკებზე მათთვის სასურველ თემატიკას, ოღონდ ერთი განსხვავებით, თავს არ ითრგუნავდნენ „რელიგიური მისტიკური ეანრით" (ეგვიპტელებისათვის სამარხის ფერწერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა). ყოველდღიური ცხოვრება, ხალისიანი გარემო, ცეკვა-თამაში, ნადიმობა, სპორტული ასპარეზობანი, დასაკრძალავი თამაშობები, სიყვარული, გარკვეული ეროტიზმიც კი – აი, ეს პოზიტიური ემოციები ყოველთვის სჭარბობდა ამ ფრესკებზე სხვა თემატიკას.

1970 წლის შემდეგ ახალი ეტრუსკული ძეგლები აღარ გამოვლენილა ტარკვინიაში. ამდენად, 1985 წელს ტარკვინიაში აღ-

მოჩენილი ახალი სამარხები სენსაციური მოვლენა გახდა. ერთ-ერთი სამარხი საზოგადოების განასკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. მის დეკორატიულ ფერწერაში მთავარი ადგილი ეკავა ე. წ „ლურჯ დემონების" სცენას. ერთ-ერთ დემონს, რომელიც სხვებს შორის ყველაზე უზენაესი უნდა ყოფილიყო, ხელში გველები ეჭირა (ხთონიური არსებები). მისგან მარცხნივ კი, ქალი და ბიჭუნა იყვნენ გამოხატულნი, რომლებიც ნავში სხდებოდნენ. იქვე შორიახლოს მდგომი ჰარონი საგანგებოდ ემზადებოდა თავისი „მისიისათვის", სიკვდილ-სიცოცხლის მდინარეში უნდა შეეცურებინა ნავი ქალითა და ბავშვით. ჰარონის მარჯვნივ საშინელი ცხოველი ჩანდა, იგი დაგეშილი იყო ადამიანებზე თავდასხმისათვის. დილეტანტი კლასიკოსიც კი მიხვდება, რომ ეს ბერძნული მიწისქვეშეთის ამსახველი დამთრგუნავი სცენებია. ცნობილია, ეტრუსკები ბერძნებს ამ „მოტივებს" მხოლოდ მაშინ დაესესხნენ, როცა ეტრუსკულ ქალაქებს (მათ შორის ტარკვინიასაც) ძვ. წ. III საუკუნეში პოლიტიკურად და ეკონომიურად გაუჭირდა. არადა ეს სამარხი ძვ. წ. V საუკუნის ბოლო წლებით თარიღდება, მაშინ როცა ეტრუსკები ჯერ კიდევ „დალხენილნი" ცხოვრობდნენ. სამარხის სხვა კედლებზე კი, უკვე „კლასიკური" ეტრუსკული მოტივებია ასახული— ნადიმობა, ცეკვა-თამაში და გართობა. ექსტაზში შესული მუსიკოსები და მოცეკვაეები რითმულ მოძრაობებს აკეთებენ, დიდებული მამაკაცი მეგობრებთან ერთად ამფორებიდან ღვინოს ეწაფება, სხვადასხვა ფერის ყვავილების გირლანდები ალამაზებს და ახალისებს გარემოს. იქვეა გამოხატული მოწიფული მამაკაცის ფიგურა, ვისაც ხელში ძალზე სათუთად უჭირავს კვერცხი. როგორც სხვა ძველ ხალხს, ეტუსკებსაც კვერცხი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოდ მიაჩნდათ. ამ კვერცხს თავისი სიმბოლური-მისტიკური დანიშნულება ჰქონდა, გარდაცვლილისთვის ის მარადიული სიცოცხლის მიმნიჭებელი ხდებოდა. ამ სცენების არსი წმინდა ეტრუსკული ფილოსოფიის შესატყვისია, მაგრამ რატომ გაჩნდა სამარხში კონტექსტიდან ამოვარდნილი, ღამის საშინელი კოშმარივით პირქუში დემონებისა და ჰარონის სურათები? რატომ მოიხიბლნენ „მარადიული" სიცოცხლის მოყვარული ეტრუსკები ბერძნების ჰადესის საუფლოს იდეით?

ამ კითხვებზე ჭეშმარიტი პასუხი ალბათ მხოლოდ ამ საფლავის პატრონს ჰქონდა, როცა ეტრუსკ მხატვრებს საგანგებოდ უკვე-

თავდა საკუთარი სამარხის ფრესკების თემატურ ქარგას. იქნებ ბერძნულ კულტურას ნაზიარები, თავს იწონებდა ახალი სიუჟეტებიო, ანდა იქნებ ბედნიერი და აღმატებული, არც კი უშინდებოდა უცხო ხალხის პირქუშ დემონებს და არც ჰადესის საუფლოსი სწამდა?! არის საზოგადოების ისტორიაში პერიოდები, როცა ინდივიდები იმდენად წარმატებულნი არიან, რომ საკუთარი სურვილითა თუ გემოვნებით ირჩევენ სხვა ხალხების ტრადიციებს, მაგრამ საზოგადოების ცხოვრებაში დგება ისეთი პერიოდებიც, როდესაც მათ უკვე ძალით ახვევს თავს გარემოება უცხოურ გავლენებს. „დემონების სცენა" ამ საფლავში პატრონის სურვილით გაჩნდა და ალბათ გაპირობებული იყო ბერძენ კოლონისტებთან აქტიური ურთიერთობებით. ბერძნული კულტურის „მოყვარული" დიდებული ეტრუსკი, ეტრუსკული მოტივების გვერდით, ბერძნულ საიქიოს ამსახველ სურათების აღბეჭვდასაც არ ერიდებოდა თაეის მარადიულ სახლში.

ტოსკანას მთებში გათხრილ სამარხებში ხშირად ჩნდება მუსიკოსებისა და მოცეკვავეების დინამიური ფიგურები. ეტრუსკები მელოდიური და მხიარული ჰანგების მოყვარული ხალხი იყო. ამ სცენების ნახვის შემდეგ, გახსენდება ათენაიოსის ერთი სარკასტული კომენტარი ეტრუსკებზე-: ისე უყვარდათ მუსიკა, რომ ორთაბრძოლის მომენტშიც და მონების წკეპლით ცემის დროსაც, სალამურის ჰანგებს აეღერებდნენო. ბერძენი ავტორი ეტრუსკებს დაუნდობლობასა და სისასტიკეშიც სდებდა ბრალს. მართლაც, ეტრუსკებს უყვარდათ მძაფრი შეგრძნებები. ეტრუსკულ ფრესკებზე ვხედავთ მეომრების დაუნდობელ ორთაბრძოლებს, სპორტის უცნაურ სახეობას-სადაც კაცი უპირისპირდება გაავებულ ძაღლს. ნორციის პლატოს ზემოთ განლაგებულ სამარხებში კი, ჩნდება ადამიანების მსხვერპლად შეწირვის სცენები, გლადიატორთა სასტიკი ორთაბრძოლები და ათლეტების შეჯიბრებები, რომელშიც ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. ეტრუსკებთან ძალზე პოპულარული იყო სპორტი, დასაკრძალავი ასპარეზობების გვერდით („ავგურების სამარხი"), გეხვდება სხვადასხვა სახის სპორტული ჩვენთვის უცნობი თამაშობები ("ქანგლიორის სამარხი"). ქანგლიორის სამარხში გამოხატული მამაკაცი მიზანმიმართულად ისვრის დისკოს ღვინის კრატერისაკენ, რომელიც თავზე ადგას ქალს. მისი მიზანია საგანი კრატერში ჩააგდოს. „ბიგასის სამარხში" აღბეჭდილია ეტლებში შებმული ცხენების რბოლა.

„ოლიმპიური თამაშების" სამარხის ფრესკებზე სპორტული ასპარეზობის დეტალების ასახვის გვერდით. გამოხატულია სანახაობაზე მისული მაყურებელთა ჯგუფი.

ეტრუსკი ქალები საკმაოდ აზარტულები იყვნენ; ქალების სამარხის განუყოფელი ინვენტარი – ბრინჯაოს სარკეები მოხატულია სპორტული სცენებისა და შეჯიბრებების ამსხველი სურათებით. ხშირად ამ სურათებს წარწერაზე ასლავს თან. ერთ სურათზე სათამაშო მაგიდასთან ქალი და მამაკაცი მოკალათებულა. ქალის გვერდით გაკეთებულ წარწერაში ეკითხულობთ: – „მე ვაპირებ რომ დაგარტყა", „ მე სწორედაც, რომ მჯერა, შენ იზამ ამას"-პასუხობს მამაკაცი. მეორე ნახატზე კი, უკვე ქალისა და მამაკაცის ჭიდაობის სცენებია გამოხატული, თუმცა წარწერების გარეშე. ეტრუსკი ქალები საკმაოდ დამოუკიდებელნი და სოციალურად აქტიურები იყვნენ. თეოპომპუსი მათ გარყვნილებაში და სექსუალურ აღვირახსნილობაში სდებდა ბრალს, ქმრების გარდა მრავალი პარტნიორები ჰყავთო. ეტრუსკულ ფრესკებზე და სარკოფაგებზე მხოლოდ მოსიყვარულე წყვილებია გამოხატული. იქ არ ჩანს ღალატის დამაინტრიგებელი სცენები, არც მოტყუებული ქმრების გაავება და ანგარიშსწორებაა ასახული.

სამარხების ინტერიერი ეტრუსკული სახლების წყობას იმეორებენ, მოხატული კედლების ფონზე, როგორც წესი, სხვადასხვა დანიშნულების ნივთებს განალაგებდნენ-: ტრიპოდებს - სამფეხა ლამაზ მაგიდებს, ბრინჯაოს დეკორატიულ ქვაბებს, ამფორებსა და მოსატ-ულ კერამიკას. უცხოური იმპორტიც გვხვდება, განსკუთრებით მახლობელი აღმოსავლეთიდან ფინიკიელი ვაჭრების მიერ შემოტანილი ფუფუნების საგნები – სტრაუსის კვერცხები დეკორატიული მორთულობებით, პუნიკური ნიღბები და ამულეტები, „ორიენტალურ სტილში" შესრულებული გრიფონები და ქიმერები – აღმოსავლური სამყაროს მითოლოგიური პერსონაჟები. სამარხებში წარმოდგენილი კერამიკა კი, ატიკური და კორინთული მაღალი ხარისხის ნაწარმია.

1981 წელს ეტრუსკების მფლობელობაში მყოფ სანაოსნო წყლებში აღმოაჩინეს ატიკური, კორინთული, მცირე აზიური, ქიოსური, სამოსური პროდუქციით დატვირთული გემი, რომელიც ქარიშხალმა იმსხვერპლა დაახლოვებით ძვ. წ. 600 წელს. ეს გემი შემოდიოდა ეტრუსკულ პორტში – კოზაში, ძვირფასი საქონელით დატვირთული და კლდეებზე დაიმსხვრა. კერამიკის გარდა გემის

ტრიუმში აღმოჩნდა რკინის საბრძოლო იარაღი, ქარვა და სპილენ-ძის ისრისპირები.

"Giglio" – პირველი ეტრუსკული სავაჭრო გემია, რომელიც დღეს აღმოაჩინეს ტირინეის ზღვაში. ეტრუსკები ფინიკიელებისა და ბერძნების მსგავსად ვაჭარი ხალხი იყო. ტარკვინიის ერთ-ერთ ცნობილ სამარხში, რომელსაც დღეს "გემის სამარხის" სახელ-წოდება აქვს, შემონახულია გემის ფრესკა. მხატვარი შესანიშ-ნავად გამოსახავს ორ გემს, რომლებიც თავისი აღჭურვილობითა და ფორმებით სავაჭრო დანიშნულების (და არა სამხედრო გემე-ბია) გემებია "Giglio"-ს მსგავსად.

ეტრუსკული პროდუქციაც გადიოდა მამინდელი მსოფლიოს ბა-ზარზე. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოქროზე მომუშავე ხელოს-ნების ნაკეთობანი, ეტრუსკული ფეხსაცმელი, ბრინჯაოს ნაკეთო-ბანი და „ბუკეროს" სტილის კერამიკა.

ბერძენი და ფინიკიელი კონკურენტებისაგან განსხვავებით, ეტრუსკებს არასდროს უფიქრიათ ეროვნული საზღვაო ფლოტილიის შექმნაზე. განსაკუთრებული ეროვნული პათოსით აღტყინებულნი არასდროს ყოფილან და არც საკუთარი ეროვნული უპირატესობის დემონსტრირებას ცდილობდნენ. მაშინაც კი, როცა აღზევებულნი იყვნენ, არ ჰქონიათ მცდელობა ეროვნული ერთიანი სახელმწიფოს შექმნისა. ქალაქ-სახელმწიფოსთან დაკავშირებულ მოსახლეობას არ ჰქონდა „ეროვნების" განცდა. ეტრუსკი ალბათ არასდროს იტყოდა, რომ „მე ეტრუსკი ვარო", ის უფრო იტყოდა „ტარკ-ვინიელი" ან „ პოპულონიელი ვარო" (თუმცა, ალბათ, ათენელი-საგან და რომაელისაგანაც ანალოგიურ გამარტებას მივიღებ-დით!). ამ ქალაქების ლიგა პოლიტიკურ-რელიგიურ-კულტურული ნიშნით გაერთიანებული ერთობა იყო, რომელთა წარმომად-გენლები ხანგამოშვებით იკრიბებოდნენ ორვიეტოში. ეტრუსკული სამყარო არ იყო ჩაკეტილი საზოგადოება, იგი არ მიისწრაფვოდა თვითიზოლაციისაკენ. განსაკუთრებით მოსწონდა ბერძნული კულ-ტურა და ხელოვნება. ბერძნული მითოლოგიური ცნობილი სიუ-ჟეტები, ეტრუსკული ინტერპრეტაციის შემდეგ, ხშირად ჩნდებოდა სამარხისა და კერამიკის ფერწერაში. ეტრუსკები სიბრძნის მოყვა-რული ხალხიც იყო, ბერძნული ფილოსოფიისა და რელიგიის გაცნო-ბის შემდეგ, მათზე უკვე ერთგვარი მენტალური გავლენა მოახდინა ბერძნულმა ოკულტურმა მეცნიერებებმა, მარჩიელობამ (დელფოს ორაკული, სიბილა), ფილოსოფიამ, საკულტო მისტერიებმა. დაახ-

ლოვებით, ძვ. წ. V საუკუნის ბოლოდან, თანდათანობით იცვლება ეტრუსკების გარემოსამყაროს აღქმის პროცესში გარკვეული ელემენტები, რაც ცნობიერებაში უწინ მარტივი და პოზიტიური ფორმით აირეკლებოდა, უკვე გარკვეულ დრამატულ და რთულ სახეს ღებულობდა. პოლიტიკურმა მარცხმა რომში, კუმესთან ბერძნებთან საზღვაო ბრძოლის შემდეგ მიღებულმა ახალმა დარტყმამ, ერთგვარი ფსიქოლოგიური ტრამვა მიაყენა ეროვნულ ცნობიერებას. ჩრდილოეთშიც უჭირდათ ეტრუსკულ ქალაქებს, გალების გააქტიურების შემდეგ გამუდმებით ირღვეოდა ეტრუსკული ქალაქების სიმშვიდე. ვეის დაცემისა (ძვ. წ. 295წ.) და სენტიუმის ბრძოლის შემდეგ, ეტრუსკების ისტორიული ბედი გადაწყდა. ცრუმორწმუნე ეტრუსკებს თავად „სწამდათ" იმ საკრალური სიბრძნისა, რომლის თანახმადაც, ღვთიურმა ძალებმა მათ არსებობისთვის მხოლოდ რვა საუკუნე დაუდგინეს. ეს დრო თანდათანობით იწურებოდა. პასიურობა და ერთგვარი აპათია ისადგურებდა ეტრუსკებთან. ეს ყოველივე კოლექტიურ, ეროვნულ სუისიდს ჰგავდა, ერმა ბოლომდე დაკარგა თვითგადარჩენის სურვილი. ტარკვინიაში, „მიცვალებულთა ქალაქში", ძვ. წ. II საუკუნით დათარიღებული „ტიფონის სამარხი" – ეტრუსკული სამყაროს დეკადენსზე მოდის. უზარმაზარი სივრცის საძვალე განკუთვნილია საგვარეულო სამარხისათვის. ეტრუსკული თემატიკა და სტილი უკვე ბერძნულ-რომაული მოტივებით არის ჩანაცვლებული. ფერებში სჭარბობს ყავისფერი და ცისფერი გამები. ტიფონის კლასიკური პროპორციებით შექმნილი ფიგურა შთამბეჭდავია, თუმცა დამთრგუნავი. ფრთოსან არსებას გველი ახვევია ფეხებზე, ხელებით კი, მძიმე თაღს იკავებს. ფრესკებზე გამოხატულ ადამიანებს რომაული სტილის ტოგები აცვიათ, სამარხის წარწერები კი, ლათინურად და ეტრუსკულად არის შესრულებული. უკვე დაკარგულია ეტრუსკული სული, ფერადი გამა, ლაღი და მხიარული გარემო. რომაულ-ბერძნული რაციონალიზმი სჭარბობს ეტრუსკულ ექლეკტიკასა და ექსპრესიონიზმს. „ტიფონის სამარხის" ფერწერის თემატიკა მისი პატრონის კეთილი ნებით, ალბათ, არ შერჩეულა, ეს უფრო ეტრუსკულ საზოგადოებაზე გარეშე ძალის მიერ „მოხვეული" განწყობა იყო. იმდროისათვის, ეტრუსკებმა სავარაუდოდ უკვე „ირწმუნეს" ჰადესის პირქუში გარემოს არსებობა. ეტრუსკები პოლიტიკურად და მენტალურად კლასიკური რომაული საზოგადოების ტყვეობაში აღმოჩდნენ.

ეტრუსკული სამარხების ტიპები და ქრონოლოგიური ჩარჩოები

პერიოდი	ცერე	ტარკვინია	სხვა ქალაქები (ვულჩი და სსვა)
ვილანოვა	კრემაცია-ბიკონისებრი ან ქოხისფორმის ურნები	კრემაცია-ბიკონისებრი ურნები	ძირითადი კრემაცია
ძვ. წ. 7 ს.	ტუმულუსები II, რეგოლინი-გალასის სამარხი ქოხის სამარხი, ხუთი სკამის სამარხი, შეღებილი ლომების სამარხი	————	იხვების სამარხი
ძვ. წ. 600-520წწ.	ბერძნული ვაზების სამარხი ჩარჩოს სამარხი	ოლიმპიადის სამარხი ავგურების სამარხი ხარების სამარხი ეანგლიორების სამარხი ძუ ლომის სამარხი	————
ძვ. წ. 520-500წწ.	არგილას სამარხი სკამების სამარხი ჯუზეპე მორეტტის სამარხი	ბარონის სამარხი კარდარელის სამარხი მოხატული ლარნაკების სამარხი თეეზაობისა და ნადირობის სამარხი	————
ძვ. წ. 5ს.	პოლიქრომული სამარხი	გემების სამარხი ტრიკლინიუმის სამარხი ავაზების სამარხი ეტლების სამარხი ლურჯი დემონების სამარხი დასაკრძალავი საწოლის სამარხი	————
ძვ. წ. 4-3სს.	რელიეფების სამარხი ზღვის ტალღების სამარხი ტასმინის სამარხი ნიშების სამარხი	ფარების სამარხი ორკუსის სამარხი	ფრანკოის სამარხი

ცერე-ან ცერეტერი

სამარხები ამ რეგიონში თარიღდება ვილანოვას ხანიდან ვიდრე გვიან რომაულ პერიოდამდე. ძირითადი სამარხები მოდის ძვ. წ. 7-6 საუკუნეებზე, როცა ცერე მდიდარი და აყვავებული ქალაქი იყო. ნეკროპოლისებს ეკავათ ფართო ტერიტორია: სორბოს ველი, სადაც აღმოჩნდა რეგოლინი – გალასის სამარხი (ძვ. წ. 650-625წწ.), მონტე აბატონეს მთა – ცნობილი ტორლონიასა და კამპანა ტუმულუსის სამარხით, და ბანდიტაჩიას ნეკროპოლისის სექტორი-სადაც გაითხარა ასამდე სამარხი, რომელებიც „მიცვალებულთა ქუჩას" მოგვაგონებს. გვიანი ხანის სამარხები უკვე მიწაშია გათხრილი და ჰუპოგეას ფორმას იღებს.

ტარკვინია

ყველაზე ადრეული სამარხები ტარკვინიაში თარიღდება ძვ. წ. 9 საუკუნით, ე. წ. ვილანოვას სამარხები. ამ პერიოდში გავრცელებულია ძირითადად კრემაცია, ხოლო ფერფლი ინახებოდა ბიკონისებრ ურებში. იშვიათია ინგუმაციის ფორმები. ცნობილი მონტეროზზის ნეკროპოლისი მდებარეობდა ტარკვინიის სამხრეთ-დასავლეთ სექტორში, სადაც აღმოჩენილია ყველაზე ცნობილი ეტრუსკული მოხატული სამარხები. უდიდესი ნაწილი ამ სამარხებისა კლდეში ნაკვეთი კამერებია, რომლებიც თარიღდება ძვ. წ. 6-4სს -ით. დღესდღეობით აღმოჩენილია 150-ამდე მოხატული სამარხი ტარკვინიის ნეკროპოლისებში. ეს ფრესკები შესანიშნავად არიან შემონახულნი და სხვადასხვა თემატიკას ასახავენ. ტარკვინიაში ფრესკების ყველაზე დიდი რაოდენობაა აღმოჩენილი; მათ შორის ცნობილი ფრესკებია: თევზაობის სამარხში, ავგურების სამარხში, ძუ ლომის სამარხში, ნადიმობის სამარხში და სხვა. ტრიკლინიუმის და ფარების სამარხები სტილით ყველაზე განსხვავებულია. ძვ. წ. 2 საუკუნის მოხატული სამარხები უკვე იშვიათია ეტრურიიდან, მათ რიცხვს მიეკუთნებიან კარდინალისა და ტიფონის სამარხები.

ვულჩი

ვულჩის ადრეული სამარხები თარიღდება ძვ. წ. 8 საუკუნით. ფრანკოის სამარხი, რომელიც თარიღდება ძვ. წ. 4-3 საუკუნეებით, უნიკალურია ადრეული ეტრუსკული ხანის ისტორიის ამსახველი

ფრესკებით. სხვა სამარხებში შემონახულია ქვის სკულპტურები და ბერძნული ლარნაკები.

ვულჩის გარშემო აღმოჩენილია ოთხი ნეკროპოლისი. ძირითადად გვხვდება ძვ. წ. 6-5 საუკუნეებით დათარიღებული სარკოფაგების ტიპის სამარხები, ასევე აქ იშვიათია იგუმაცია. ვულჩიში გავრცელებული ტრადიციების თანახმად, სამარხებში გვხვდება ცხოველების სკულპტურები, რომლებიც იცავდნენ მიცვალებულთა სიმშვიდეს. ძვ. წ. 4 საუკუნიდან აქაც ვრცელდება ე. წ. ჰუპოგეას ტიპის სამარხები, რომლებიც განასახიერებენ საცხოვრებელ სახლებს. ამ ტიპის სამარხთა რიცხვს განეკუთვნება ფრანკოის სამარხი, სადაც სხვადასხვა სცენები და სიუჟეტებია გამოსახული.

წყაროები, გამოყენებული ლიტერატურის სია

1. Apollonius Rhodius, Argonautica, ed. H. Frankel. Oxford, Clarendon Press, 1961.
2. Athenaeus, Fragmentum, FGrH – 681:+c:398.
3. Diodorus, Bibliotheca Historica (lib 1-20) ed. F. Vogel, K.T. Fischer, 5 vols. 3rd. edn. Leipzig, Teubner, I, 1888; (2:1890; 3:1893; 4-5:1906; 1:1-533; 2:1-461; 3:1-497; 4:1-426; 5:1-336).
4. Diogenes Laertius, Vitae philosopherum, ed. H.S. Long. in 2 vol., Oxford, Clarendon Press, 1964.
5. Dionysius Halicarnassensis, Antiquitatues Romanae, ed. K. Jecoby. 4 vols. Leipzig, Teubner, 1962 1: 1885; 2:1888; 3:1891; 4:1905; (1:1-403; 2:2-408; 3:1-400; 4:1-336).
6. Hecataeus, Fragmenta, ed. H. Metle. Die "Kleinen" Griechischen Historiker heute. Lustrum 21, 1978.
7. Hellanicus, Testimonia, FGrH – 4, - 323a, - 687a; 1a:104-107; 3B:40-41; +e:412. L. Pearson, Early Ionian Historians, 1939.
8. Hesiodus, Theogonia, ed. M. West. Oxford: Clarendon Press, 1966.
9. Herodotus.Historiae Libri, I-IX. ed. Henr. Rudelph Dietsch. vol.I-II; 1930-33 Teubneri, Lip. Mdeccxix I – 413; II – 400;
10. Homerus, Ilias, ed. T.W. Allen, vols 2-3. Oxford: Clarendon Press. 1935; 2:1-356; 3:1-370.
11. Homerus, Odyssea, ed. P.von der Muehll, Basel: Helbing und Lichtenhahn, 1962.
12. Livius Titus, Ab urbe condita Libri, Oxford clascical texts, 1993.
13. Lycophron, Alexandra. ed. L. Mascialino. Leipzig: Teubneri, 1964.
14. Myrsilus, Testimonia, FGrH – 417:3B:437, Fragmenta FGrH. – 477: 3b:437-442;
15. Ovidius Naso, Publius, Metamorphoses libri. Hg.G. Lafaye, Paris 1961.

16. Plinius Secundus, Gaius, Historiae Naturalis, vol. I-X, The loeb, classical lib., 1993.
17. Plutarchus, Vitae parallelae, ed. C. Sentinis, I-II-III vol., MCMVIII, MCMXI, MeMXI, I – 461, II – 556, III – 432., Teubner, 1914-35.
18. Sallustius Crispus Gaius, Bellum Iugurthinum, A.W. Ahlbery A. Kurfess in Catilinae. Lpzg. 1957.
19. Scylax, Periplus, ed. K. Muller, Geographi Graeci Minores, vol. I. Paris, 1855 (15-96).
20. Servius, Ad Aeneidus, Loeb, 1993.
21. Strabo, Geographica, ed. A. Meineke. 3 vols. Lpzg. Teubner 1877 1880,83 I – XIII-XV; II – 397-814; III – 815-1173.
22. Suetonius Tranquillus, Gaius, De vita Caesarum. J.C. Rolfe, 2Bde. Ldn/Cambridge 1914.
23. Thucydides, Historiae, ed. H. Jines and J. Powell, 2 vols, Oxford: Clarendon Press, I – 1942, II – 1944.
24. Tullius Cicero, Marcus, De divinatione. M. Komm; University of Illinois Studies in Language and Literature 6/2; 8/2. Urbana 1920-1923.
25. Vergilius, Aeneidos, Les Belles Letters, 1993.
26. ა. აფაქიძე, ნ. ბერძენიშვილი გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, ო. ჯაფარიძე, ნ. ხოშტარია, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1952.
27. ე. ავალიანი, ეტრუსკული ხელვნება – თანამედროვე ხელოვნება. ჟურნალი ხელოვნება №3, თბ., 1991.
28. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, რედ. აკად. გ, მელიქიშვილი, თბ., 1988.
29. კ. აფანასიევა, ე. ლუკონინი, ნ. პომერანცევა, ხელოვნების მცირე ისტორია, ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება თბ., 1986.
30. გ. გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსაელური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა თბ., 2002.
31. გ. გიორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა, ხეთები და ხეთური ცივილიზაცია, თბ., 1988.
32. რ. გორდეზიანი „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბ., 1970.
33. რ. გორდეზიანი, ეტრუსკული და ქართველური, თბ., 1980.

34. რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985.
35. რ. გორდეზიანი, ანტიკური სამყაროს კულტურები, ხუთ წიგნად. I წიგნი. ბერძნული ცივილიზაცია, თბ., 1988.
36. რ. გორდეზიანი, ქართველური თვითშეგენების ჩამოყალიბების საკითხები, ლიტერატურული საქართველო 7 აპრილი. თბ., 1989.
37. რ. გორდეზიანი, ეგეოსური კულტურა ბრინჯაოს ხანაში, მიმომხილველი I, თბ., 1968.
38. ა. ნემიროვსკი, ეტრუსკული სარკე, თბ., 1947.
39. ჯ. ჩედვიკი, მიკენური სამყარო, თბ., 1989.
40. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია ტ. 1, თბ., 1960.
41. Всеобщая история искусства, под ред. Чегодаева А., М., 1956.
42. История Древнего мира, под ред. Дьяконова В., Никольского Н., М., 1952.
43. История Европы, древняя Европа т. I. М., 1988.
44. Каталог выставки Государственного Эрмитажа, Культура и искусство Этрурии. Л., 1972.
45. Краткая история искусства – ред. Дмитриева Н.А., Москва, 1988.
46. Мифологический словарь, гл. ред. Мелетинский, М., 1990.
47. Словарь античности, перевод с немецкого, из. «Прогресс», М., 1989.
48. Буриан Я., Моухова Б., Загадочные Этруски. М., 1970.
49. Вазари Дж., Жизнеописание наиболее знаменитых живописцев, ваятелей и зодчих, М., 1970.
50. Гордезиани Л., Социальные отношения в микенской Греции. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Тб., 1990.
51. Гордезиани Р., Проблемы Гомеровского эпоса. Тб., 1978.
52. Ельницкий А., Этруски и греки, ВДИ, №1, 1948.
53. Залесский Н., Этруски в Северной Италии. Л., 1959.
54. Залесский Н., К Истории этруской колонизации, Л., 1965.
55. Залесский Н., Этруски в Риме, М., 1953.
56. Калитина Н., Музей Парижа, М., 1986.
57. Кондратов А., Этруски. Загадка номер один. М., 1977.

58. Лосева Н., Сидорова Н., Искусство Этрурии и древней Италии, М., 1988.
59. Леон Баттиста Альберти. Десять книг о зодчестве, I-II т., М., 1935-1937.
60. Майяни З., Этруски начинают говорить. М., 1966.
61. Модестов В., Введение в римскую историю. Петербург, 1904.
62. Монгаит Л., Археология Западной Европы, Бронзовый и железный век. М., 1974.
63. Монументальная живопись италянского Возрождения, изд. искусство, М., 1987.
64. Немировский А., Харсекин А., Этруски. Воронеж., 1969.
65. Немировский А., Этруски, М., 1983.
66. Норция (Проблемы истории древнейших классовых обществ Европейского Средиземноморья). Выпуск I. Воронеж., 1971.
67. Норция (Проблемы истории древнейших классовых обществ Европейского Средиземноморья). Выпуск II. Воронеж. 1978.
68. Пиотровский Б., Археология Закавказья, Л., 1949.
69. Пиотровский Б., Искусство Урарту, Л., 1962.
70. Проблемы античной культуры. Н.Немировский, Этруски в греческой традии, ст. 507, Н. Шенгелия, Этрусская версия теогамии Минервы и Геракла, 545 ст. Тб., 1975.
71. Проблемы этрусского языка. Тайны древных письмен. М., 1970.
72. Соколов Г., Искусство Древнего Рима. М., 1971.
73. Соколов Г., Искусство Этрусков, М., 1990.
74. Тимофеева Н., Религиозно-мифологическая картина мира Этрусков. Новосибирск, 1990.
75. Х. Закс, Донатело, изд. Хепщель. Искусство и общество. Берлин, 1988.
76. Харсекин А., Интерпретации этрусских числительных. ВДИ, №2, 1964.
77. Харсекин А., Вопросы интерпретации памятников этрусской письменности, Ставрополь, 1963.
78. Чубова А., Древнеримсская живопись, Альбом, Л., 1966.
79. Чубова А., Этрусское искусство. М., 1972.

80. Чубова А., Иванова А., Античная живопись, М., 1966.
81. Guide all' Italia Etrusca. Milano, 1985.
82. Testimonia linguae Etruscae, ed. M., Pallettino, Florence, 1968.
83. Tesaurus Linguae Etruscae I Indice Lessicale, Primo Suplemento, Roma, 1984.
84. Tesaurus Linguae Etruscae I. Indice Lessicale Ordinamento inverso dei Le MM". Roma, 1985.
85. Vatican Museums, Egyptians and Etruscans. by F. Ronealli, Florence, 1983.
86. Alberti l., The Ten book on Architecture, trans. J. Leoni. London, 1955.
87. Alföldy G., Römische Sozialgeschichte, Wiesbaden 1984.
88. Barnett R., The Sea peoples, The Cambridge ancient History v.5, 1975.
89. Brendel O., Etruscan Art. ed. by E. Richardson. Harmodsworth 1978.
90. Brockmeyer N., Sozialgeschichte der Antike. Stuttgart, 1972.
91. Chastel A., Le museo Etrusque et a Florence. Paris, 1959.
92. Cochrane E., Tradition and Enlightenment in the Tuscan Academies 1690-1800. Chicago, 1969.
93. Colacicchi P., All the Paintings of Giotto. New York, 1963.
94. Corsten, S., Die etruskische Standes – und Beamtentitel durch die inschriften beleuchtet, Copenhagen, 1925.
95. Cristofani M., Museo Guarnacci, Parte prima. Florence, 1977.
96. Cristofani M., Sugli inizi dell' Etruscheria la publicazione del' de Etruria Regali di Tomas Dempster, MEFRA 90 1978.
97. Daniel G. and Evans J., The Western Mediterranean, The Cambridge Ancient History, Cambridge, 1975.
98. Devoto G., Nomi di divinita etrusche IV: Aisera. SE 32, 1964.
99. Etruscan, Life and Afterlife. ed. by L. Bonfante. Detroit, 1986.
100. Ferri S., Citta etrusche con due nomi – Problemi di archeologia protostorica, Lincei – Rendiconti morali; Ser, VIII. vol. IX 1957.
101. Field D., Greek and Roman Mythology. London, New York, Sydney, Toronto, 1977.

102. Furnee E., Vorgriechisch – Kartvelisches, Studien zum ostmediterranen Substrat nebst einemVersuch zu einer neuen pelasgischen Theorie, Leuven – Louvain, 1979.
103. Furnee E., Die wichtigsten Konsonantischen Erscheinungen des Vorgriechischen. Den Haag, 1972.
104. Garstang J. and Gurney O., The Geography of the Hittite Empire, London, 1959.
105. Hartt F., History of Itailian Renaissance Art. New York, 1979.
106. Heurgon J., Die Etrusker. Stuttgart, 1971.
107. Isidorus of Seville. Etymologiae. W.M. Lindsay, 2Bde Oxford,. 1911.
108. Leaf W., Troy. A Study in Homeric Geography, London, 1917.
109. Mühlestein H., Die Etrusker im Spiegel ihrer Kunst. Berlin, 1969.
110. Page D., The Homeric Iliad and History, California, 1959.
111. Pallottino M., Etruscologia, ed. Holpli, Milano, 1973.
112. Panofsky E., The Mouse that Micheiangelo failed to Carve, in Essays in memory of Karl Lenmann, New York, 1964.
113. Pfiffig A., Die Etruskische Sprache, Graz, 1969.
114. Pfiffig A., Einführung in die Etruskologie, Darmstadt, 1972.
115. Pittioni R., Italien – Urgeschichtliche Kulturen, Stuttgart, 1962.
116. Schachermeyr Fr., Etruskische Frühgeschichte, Lpz.-, 1929.
117. Bonfante L., Etruscan in Reading the Past, British Museum Publications, London, 1990.
118. Cristofani M., Intraduzione allo Studio dell' Etrusco, Olschki, Firenze, 1973.
119. Pallotino M., The Etruscans, Allen Lane, London, 1975.

ინტერნეტული საიტები ეტრუსკებზე:
http://www.mysteriousetruscans.com/curtun.html;
http://www.baruch.cuny.edu/mishkin/lomba/etruscan.html;
http://www.mysteriousetruscans.com/religion.html;
http://www.mysteriousetruscans.com/curtun.html.

ილუსტრაციები



ა)

ბ)

ვალანოვის ხანის ბიკონისებრი ურნები
ა) ურნა მებრძოლის ჩაფხუტთან ერთად. ძვ. წ. IX-VIII ს.
ბ) ქოსის მოყვანილობის ურნა. ძვ.წ.IX ს.

ორი დემონი და მიცვალებული ქალი. ჩერვეტერი, ძვ.წ. VII ს.

„ეანგლიორების სამარხის“ ფრესკები. ტარკვინია, ძვ.წ. VI ს.



სამხედრო ეტლი. ბრინჯაო, ძვ.წ. VI ს.



ძუ მგელი. ბრინჯაო. ძვ.წ.V ს.



ქიმერა. ბრინჯაო, ძვ.წ. V ს.